საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფხაზეთი — ტკივილი ჩვენი

„ლაპარაკიც კი არ შეიძლება აფხაზეთში არჩევნების ლეგიტიმურობის შესახებ, სანამ იქ არ დაბრუნდებიან ლტოლვილები“

10 მარტს აფხაზმა სეპარატისტებმა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უკანონო არჩევნები გამართეს. სოხუმის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მონაცემებით, აფხაზეთში შეიქმნა 210 საარჩევნო ოლქი, რეგისტრირებულია 266 კანდიდატი, მათგან 40 ქალი. რაიონული და საქალაქო ეგრეთ წოდებული „სახალხო კრებების“ წევრობის კანდიდატთა შორის უმრავლესობა აფხაზი ეროვნების მოქალაქენი არიან. კანდიდატთა შორის არიან კომუნისტური, სახალხო, რესპუბლიკური პარტიებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის „აღორძინების“ (აფხაზთა ოპოზიციური მოძრაობა) წარმომადგენლები.

ეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეორე უკანონო არჩევნებია, რომელიც სეპარატისტებმა აფხაზეთში საბრძოლო მოქმედების დამთავრების შემდეგ გამართეს. რაიონული და საქალაქო კრებების პირველი ეგრეთ წოდებული არჩევნები (გალის რაიონის გარდა) 1998 წელს გაიმართა. სეპარატისტთა კანონების თანახმად, ამ კრებების უფლებამოსილების ვადა 3 წელია.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ არჩევნების წინ გაეროს მისიამ საქართველოში და ეუთოს ხელმძღვანელებმა გააერცელეს განცხადებები, რომლებშიც აღნიშნულია,

იხ. მე-2 გვ.

სიტუაცია

უშიშროების სამინისტრო პროკურატურისგან „60 წუთის“ წინააღმდეგ საქმის აღძვრას ითხოვს

სახელმწიფო უშიშროების სამინისტრომ ცილისწამების მუხლით სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მოთხოვნით მიმართა გენპროკურატურას, სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის გადაცემა „60 წუთში“ მოყვანილ ფაქტებთან დაკავშირებით, სადაც პანკისის ხეობაში იარაღითა და ნარკოტიკებით ვაჭრობაში სამინისტროს თანამშრომლების მონაწილეობაზეა საუბარი.

ამის თაობაზე აღნიშნული ძალოვანი უწყების წარმომადგენლებმა შაბათს პარლამენტში გამართულ თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის დახურულ სხდომაზე განაცხადეს.

როგორც ჟურნალისტებს აცნობა საპარლამენტო ფრაქცია „ერთიანი საქართველოს“ ლიდერმა გიორგი თარგამაძემ, სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო უარყოფს გადაცემა „60 წუთში“ მოყვანილ ფაქტებს და ითხოვს აღნიშნული ინფორმაციის დეტალურად გამოძიებას, და იმ პირის ვინაობის დადგენას, რომელმაც ჟურნალისტებს მსგავსი ინფორმაცია მიაწოდა.

დეპუტატის თქმით, საპარლამენტო უმცირესობა მოითხოვს, რომ პანკისის ხეობაში იარაღითა და ნარკოტიკებით ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხის შესწავლაში პარლამენტარებიც ჩაერთვნენ.

პრაიმ-ნიუსი.

ფაქტი

საბერიოში ტელეანძა ააფეთქეს

9 მარტს, გვიან ღამით, უცნობმა პირებმა გალის რაიონის სოფელ საბერიოში ტელეანძა ააფეთქეს, განუცხადა „იფრინდას“ გალის რაიონის ქართული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა მურმან ჭედიამ. ამ ანძის საშუალებით მიმდებარე სოფლების მოსახლეობა საქართველოს ტელევიზიის გადაცემებს იღებდა.

ჩვენი გაზეთი ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/sakartvelos-respublika

ამ კვირაში ჩვენს გაზეთს ინტერნეტით გაეცნო 10516 მკითხველი. მათ შორის, 63% აშშ-დან, 23% – საქართველოდან.

სნსკ
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი დაარსებულია 1919 წელს, აღდგენილია 1990 წელს. №58 (3799) კვირა, 11 მარტი, 2001 წელი. ფასი 50 თეთრი.

კანონმდებლები

შეთანხმება აუცილებელია

გუშინ საქართველოს პარლამენტში გაიმართა ბიუროს გაფართოებული სხდომა მართლმადიდებელი ეკლესიისა და ქვეყნის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობით.

განიხილეს საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების სამუშაო ვარიანტი, რომელიც პარლამენტის ინტერნაციონალურმა ჯგუფმა წარმოადგინა.

აზრთა ურთიერთგაზიარების შედეგად გამოიკვეთა საერთო აზრი ამგვარი დოკუმენტის მიღების აუცილებლობის შესახებ.

საქართველოს პარლამენტის ბიურო ამ სხდომის შესახებ ანგარიშს გაზეთის მომდევნო ნომერში წარმოგიდგენთ.

პარლამენტის პრესსამსახური.

უახლესი ისტორია

ტერაქტი ედუარდ შევარდნაძისა და ჰეიდარ ალიევის წინააღმდეგ,

რომლის შესახებ საქართველოში პირველად გაიგებთ

მზადდება უდიდესი შეთქმულება ამიერკავკასიის ორი რესპუბლიკის – საქართველოსა და აზერბაიჯანის პრეზიდენტების მოსასპობად, რადგან ისინი მზად არიან, ხელი მოაწერონ ამ ქვეყნებისთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შეთანხმებას ახალი ნავთობსადენის აგების თაობაზე, აზერბაიჯანული ნავთობის საქართველოს ტერიტორიის გავლით თურქეთისა და ევროპისათვის მისაწოდებლად, რაც ამ ორი ახლად დამოუკიდებლობამოპოვებული სახელმწიფოს ეკონომიკური გაძლიერების, მსოფლიო თანამეგობრობაში ღირსეული ადგილის დამკვიდრების საწინდარი უნდა გახდეს. მილსადენის ეს მარშრუტი ხელს არ აძლევს ზოგიერთი ქვეყნის პოლიტიკოსებს, ფინანსურ ოლიგარქებს და მაფიოზურ სტრუქტურებს. სწორედ მათი წარმომადგენელი ალბერტო ტრაპატონი შეხვდება ყოფილი საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის (სუკის) ყოფილ პოდპოლკოვნიკს იოზას გრუოდის და მისი მეშვეობით შეკრავს ყოფილი საბჭოეთის ამ „თვალისა და ყურის“ ასევე ყოფილი თანამშრომლების – მზვერავებისა და ლიკვიდატორების ჯგუფს გერმანიაში. მილიონი დოლარის ავანსით (რომელიც წარმატების შემთხვევაში ექვს მილიონამდე გაიზრდება) დაფინანსებულმა ტერორისტთა თავისებურმა „ინტერნაციონალურმა“ გუნდმა უნდა მოახერხოს ედუარდ შევარდნაძისა და ჰეიდარ ალიევის ლიკვიდაცია და ამით დიდი ეკონომიკურ-პოლიტიკური ხელშეკრულების ჩაშლა.

იხ. მე-2 გვ.

გიხაროდეს!

გვარს სამი ბიჭი გააგრძელებს

გუშინ დილით სამი შვილიშვილის პაპამ ირაკლი ნებიერიძემ ტელეფონით თავისი სიხარული გაგვიზიარა:

– ემრავლდებით, ჩემს დედისერთა ნოდარის მეუღლეს მესამე შვილი შეეძინა – ზაზას და აჩიკოს ირაკლიც მიემატა.

მჯიამ მესამე შვილს ჩემი სახელი დაარქვა. ასე რომ, ერთი კი არა სამი ბიჭი გააგრძელებს ნებიერიძეების გვარს.

გმადლობთ, ყოველ დილით რომ გვაცნობებთ ხოლმე ერის გამრავლებას (თქვენი გაზეთის მუდმივი მკითხველი ვარ), გვემატებიან ქართული გვარის გამგრძელებლები.

ვულოცავთ ნებიერიძეების ოჯახს მესამე ვაჟის შეძენას, გაიზარდოს!

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-34.

გუშინ

გატაცებული ესპანელები არ მოუკლავთ

სამართალდამცავმა ორგანოებმა განსაზღვრეს თბილისში 2000 წლის 30 ნოემბერს ორი ესპანელი ბიზნესმენის გატაცებასთან დაკავშირებულ პირთა წრე.

როგორც პრაიმ-ნიუსს უთხრა სახელმწიფო უშიშროების მინისტრმა ვახტანგ ქუთათელაძემ, დადგენილია ამ დანაშაულის დამკვეთთა და შემსრულებელთა ვინაობა.

მინისტრის ცნობით, გატაცებულები ცოცხლები არიან. იგი დარწმუნებულია, რომ ესპანელთა გათავისუფლების საკითხი დაღებითად გადაწყდება.

რაც შეეხება გატაცებულთა ძმების რამდენიმეგზის ჩამოსვლას თბილისში, ვახტანგ ქუთათელაძემ აღნიშნა, რომ ქვეყნის სამართალდამცავმა ორგანოებმა ურჩიეს მათ, არ წაეიდნენ მოლაპარაკებაზე დამნაშავეებთან გამოსასყიდთან დაკავშირებით.

პრაიმ-ნიუსი.

პროკურატურა

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელებული პრეტენზიები უსაფუძვლოა

მიმდინარე წლის 9 მარტს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელდა საქართველოს საგადასახადო შემოსავლების მინისტრის მიხეილ მაჭავარიანის განცხადება, რომ ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის მს სამმართველოს თანამშრომლების მიერ საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს თანამშრომლებისათვის 2001 წლის 16 თებერვალს ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების ფაქტთან დაკავშირებით, წინასაგამოძიებო შემოწმება სამი კვირის განმავლობაში უსაფუძვლოდ ჭიანურდება პროკურატურის ორგანოებში, მაშინ, როდესაც საკმარისი იყო ერთი დღეც კი. აღნიშნულიდან გამომდინარე, მანვე დაასკვნა, რომ საქართველოს გენერალური პროკურატურის მხრიდან თითქოს არ იგრძნობა საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროსადმი სათანადო მხარდაჭერა.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, საქართველოს გენერალური პროკურატურის პრესცენტრი უფლებამოსილია განაცხადოს შემდეგი:

იხ. მე-2 გვ.

პრობლემა

ნუ „ეხუმრებით“ სახელმწიფო საზღვარს, ბატონებო!

იხ. მე-2 გვ.

წერილების კვალზე

ნუთუ ბავშვებს მართლა წაართმევენ ზუბალაშვილების დანატოვარს?

არაფერი უნდა დაემუქროს „უსაფრთხო დედობისა და ბავშვთა გადარჩენის“ პროგრამას

იხ. მე-4 გვ.

გვწერენ

ვინ მიხედავს პიპილეთის სკოლას?

1991 წლის 29 აპრილი ქართველი ხალხის ისტორიაში შევიდა, როგორც ეროვნული ტრაგედიის დღე. ძლიერმა მიწისძვრამ მიწასთან გაასწორა წლობით ნაშენები ათასობით შენობა-ნაგებობა. უსახლკაროდ დარჩენილი ხალხი დღესაც გონს ვერ მოსულა.

მიწისძვრამ ძლიერ გაანადგურა რაჭის ზეგანის სოფლები, რადგან ზეგანს გაჰყვა დამანგრეველი ტალღა და ეპიცენტრიც სამაჩაბლო-რაჭა-იმერეთის საზღვარი იყო.

რაჭის ზეგანზე, ჯეჯორას ხეობის მარცხნივ მდებარეობს მისი ერთ-ერთი დიდი სოფელი პიპილეთი. სოფლის საშუალო სკოლა მიწისძვრამ აქაც მწყობრიდან გამოიყვანა.

იხ. მე-2 გვ.

ინფორმაცია

ტყე - საყოველთაო საზრუნავი

ექვსი მილიონი ამერიკული დოლარის მოცემას აპირებს იაპონიის მთავრობა საქართველოსთვის ქვეყნის ტყის პოტენციალის აღსადგენად. ამის საფუძველი გახდა სპეციალიზებული პროექტების შემუშავება, რომლებიც რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტისა და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სპეციალისტებმა შეიმუშავეს. ერთი მათგანი ეხება ბიოლოგიურად სტაბილური, საუკეთესო გენეტიკური თვისებების მქონე ტყის კულტურების თესლის წარმოებასა და გადამუშავებას, ტყის სანერგეთა მეურნეობების თანამედროვე ქსელის შექმნას, დახურული ფესვის სისტემიანი ნერგების გამოყვანაზე გადასვლას.

ვეტექიმები „თურქულის“ წინააღმდეგ

დაავადება „თურქულის“ გავრცელების საშიშროებასთან დაკავშირებით, გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯში ქართველ და აფხაზ ვეტერინართა შეხვედრა გაიმართა, იუწყება „იფრინდა“.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ რეგიონში დაავადების გავრცელების შემთხვევაში, ქართველი და აფხაზი სპეციალისტები ერთობლივ ღონისძიებებს განახორციელებენ მისი ლოკალიზაციისა და აღმოფხვრისათვის.

შეთანხმდნენ ურთიერთობების გაგრძელებასა და ინფორმაციის გაცვლაზე.

ინგლისელი ექსპერტები თბილისის სისუფთავეზე ზრუნავენ

12-25 მარტს, საქართველოს დედაქალაქის გარემოს დაცვის საკითხებზე იმუშავებს ინგლისის ქ. ბრისტლის მერიის დელეგაცია, იუწყება „იფრინდა“.

დელეგაციას უხელმძღვანელებს ბრისტლის მერიის გარემოს დაცვის საკითხების სამსახურის უფროსი ჯეკსონ მოუდინგი.

ინგლისელები დაათვალიერებენ თბილისს, მის ნაგავსაყრელებს, განახორციელებენ ჰაერის მონიტორინგს, ობიექტებს, რომლებიც ჰაერის პოტენციური დამბინძურებლები არიან. სტუმრებთან ერთად, თბილისში იმუშავებენ ქართველი ეკოლოგები, რომელთაც კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები ბრისტლში გაიარეს.

იარაღის განადგურება გრძელდება

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მოსახლეობის მიერ ჩაბარებული 67 ერთეული საბრძოლო მასალა და იარაღი გაანადგურეს შაბათს სამშვიდობო ძალების სამხედრო მოსამსახურეებმა.

როგორც პრაიმ-ნიუსს უთხრა შერეული სამშვიდობო ძალების მეთაურმა, გენერალ-მაიორმა ევგენი ჩურაევმა, განადგურებულია ავტომატი, კარაბინი, ყუმბარმტყორცნი, ნაღმმტყორცნის 26 ნაღმი, 3 ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი.

გასული წლის ნოემბრიდან, ეს უკვე სამშვიდობო ძალების მიერ ჩატარებული მეშვიდე მსგავსი აქცია. სულ, აღნიშნულ პერიოდში განადგურებულია 308 ერთეული იარაღი და საბრძოლო მასალა.

ევგენი ჩურაევის აზრით, ის გარემოება, რომ მოსახლეობა სამშვიდობო ძალებს აბარებს იარაღს, მიანიშნებს სწრაფვაზე 1989-1992 წლების ქართულ-ოსური შეიარაღებული კონფლიქტის შედეგების მშვიდობიანი დარეგულირებისაკენ.

ასამდე პატიმარი შიმშილობას განაგრძობს

ასამდე პატიმარი შიმშილობას განაგრძობს ქსნისა და ავჭალის კოლონიებში, მათი საქმეების ხელახალი გადასინჯვის მოთხოვნით.

პატიმრები, რომელთა უდიდესი ნაწილი „მხედრიონელია“, აცხადებენ, რომ ახლახან ეროვნული თანხმობის ფარგლებში „ზვიადისტებზე“ გავრცელებული შეწყალება მათაც უნდა შეეხოს, გარდა იმისა, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლებში აქვთ მიღებული მონაწილეობა.

როგორც, პრაიმ-ნიუსს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილემ ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხში რუსუდან ბერიძემ განუცხადა, პრეზიდენტთან არსებული შეწყალების კომისია მუშაობს მოშიმშილე პატიმრების ინდივიდუალური წესით შეწყალების საკითხებზე. მისი თქმით, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში მონაწილეობა, რა თქმა უნდა, შეღავათის ერთ-ერთი ფაქტორია. თუმცა, როგორც ბერიძემ აღნიშნა, პროტესტის მსგავსი ფორმით ხელისუფლებაზე ზეწოლა მიუღებელია და ამას შესაძლოა მდგომარეობის გართულებაც მოჰყვეს.

ბოროტმოქმედმა პოლიციელიც იმსხვერპლა

9 მარტს ზუგდიდის რაიონის სოფელ დარჩელში ყაჩაღური თავდასხმის შედეგად მოკლეს დევნილი გალის რაიონიდან გურამ უბირია, რომელმაც ზუგდიდში ჩააბარა თხილი და მიიღო საფასური 4800 ლარი. ყაჩაღებმა ეს თანხა წაართვეს და წინააღმდეგობის გაწევისას ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს იგი.

პოლიციამ ეჭვი მიიტანა რუსლან ზარქუაზე, რომელმაც მიმალვა სცადა. პოლიციის თანამშრომლებმა მიაგნეს მის კვალს და შეეცადნენ დაეკავებინათ. როცა პოლიციელი მარდონ დარასელია შევიდა სახლში, სადაც იმალებოდა რუსლან ზარქუა, ეჭვმიტანილმა ამოიღო ხელყუმბარა, თავიც აიფეთქა და პოლიციელიც იმსხვერპლა.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, იფრინდამ და პრაიმ-ნიუსმა.

ამინდი დღეს

დასავლეთ საქართველოში
დაბლობში: ღამით +1+6;
დღისით +13+18;
მთაში: ღამით -2+3;
დღისით +10+15.

აღმოსავლეთ საქართველოში
ბარში: ღამით -2+3;
დღისით +2+7.
მთაში: ღამით 0-5;
დღისით -2+3.

თბილისში
ცვალებადი მოღრუბლულობა, მცირე წვიმა.
ღამით +1+3;
დღისით +5+7.

საქართველოს ჰიდრომეტცენტრი.

ლარის კურსი

11 მარტიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:

ინგლისური გირვ.	1	3.0738	ლარი
გერმანული მარკა	1	0.9967	ლარი
აშშ დოლარი	1	2.0900	ლარი
ევრო	1	1.9493	ლარი
რუსული რუბლი	1	0.0729	ლარი.

განვიხილავთ კანონპროექტს

პენსიონერს პენსია სიცოცხლეში სჭირდება

ქვეყანაში შექმნილი რთული ეკონომიკური პირობების გამო პენსიონერები არსებული ისედაც მცირე პენსიით და მიზერული შეღავათებით სრულყოფილად ვერ სარგებლობდნენ. მდგომარეობის გამოსწორების მიზნით გამოქვეყნდა კანონპროექტი სახელმწიფო პენსიების შესახებ („საქართველოს რესპუბლიკა“ 22.09.-2000 წ.); რომელმაც პირიქით, დიდი უკმაყოფილება გამოიწვია პენსიონერებს და ამ საკითხით დაინტერესებულ პირებში. ბევრ პუნქტში არის გაუგებრობები. ამის შესახებ იმსჯელა პენსიონერთა და ვეტერანთა პროფესიული კავშირების გამგეობამ და გამოთქვეს აზრი, რომ პროექტი ვერ ასახავს პენსიების შესახებ მისაღებ კანონს და გასათვალისწინებელია სხვადასხვა მოსაზრებები და შენიშვნები ამ საკითხთან დაკავშირებით.

იხ. მე-2 გვ.

გვირეკავენ, გვეკითხებიან

– მყავს სამი შვილი, რომლებიც ცალკე ცხოვრობენ, როგორც მარტოხელა ვღებულობდი დახმარებას („წითელი ჯვრიდან“). წლეულს მითხრეს, აღარ გეკუთვნისო.

გთხოვთ, განმიმარტოთ, ისევ მეკუთვნის თუ არა დახმარება?

ანა ალიაშვილი.

– კანონმდებლობის შესაბამისად, მარტოხელად ითვლებიან ის შრომისუუნარო, არამომუშავე პენსიონერები, რომლებიც ცხოვრობენ მარტო, პენსია დანიშნული აქვთ თვეში 14 ლარის ოდენობით და არ ჰყავთ კანონით ვალდებული მარჩენალი, ამ უკანასკნელის საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად.

ვინაიდან თქვენ სამი შვილი გყოლიათ, მარტოხელად არ ჩაითვლებით და სოციალური (საოჯახო), ან ჰუმანიტარული დახმარება არ გეკუთვნით.

ირინე ღლონტი.

დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-16-90; 93-28-54.

უკანასკნელ საათს



პალესტინის ლიდერმა იასირ არაფატმა გუშინ განაცხადა, რომ ისრაელის მიერ გამოცხადებული ეკონომიკური ბლოკადა პალესტინელებს 3 მილიარდი დოლარი დაუჯდათ. მისი თქმით, იგი მზად არის დაუყოვნებლივ განახლდეს მოლაპარაკება ისრაელის პრემიერ-მინისტრთან არიელ შარონთან.



წუხელ გარდაიცვალა ცნობილი ტელეჟურნალისტი, პოპულარული გადაცემის „სად? რა? როდის?“ შემქმნელი და წამყვანი ვლადიმერ ვოროშილოვი.

ინტერპანორამა



გუშინ რუსეთმა ოფიციალური პროტესტი გამოთქვა აშშ მიმართ. ამერიკელმა მოსამართლემ უარი განაცხადა პაველ ბოროდინის საწინდარით გათავისუფლებაზე.



გუშინ იაპონიის პრემიერ-მინისტრმა იოსირო მორიმ განაცხადა, რომ შესაძლოა გადადგეს. მან მმართველი ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის უმაღლეს წევრებს აცნობა, რომ დანიშნავს პარტიის ლიდერის ვადამდელ არჩევნებს, რომელიც ტრადიციისამებრ პრემიერ-მინისტრის პოსტს დაიკავებს.



უკრაინის პრეზიდენტმა ლეონიდ კუჩმამ გუშინ თქვა, რომ არ აპირებს გადადგომას. ამ განცხადებით იგი გამოვიდა წინა დღეს გამართული მრავალათასიანი საპროტესტო დემონსტრაციის საპასუხოდ. გუშინვე კუჩმა შევებულებაში გავიდა.

„საქართველოს რესპუბლიკა“ — ავიაკომპანია „აირზენა-საქართველოს ავიახაზების“ თვითმფრინავებში.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 58. კვირა. 11 მარტი. 2001 წელი.

აფხაზეთი — ტკივილი ჩვენი

„ლაპარაკიც კი არ შეიძლება აფხაზეთში არჩევნების ლეგიტიმურობის შესახებ, სანამ იქ არ დაბრუნდებიან ლტოლვილები"

(პირველი გვერდიდან)

რომ ეს არჩევნები „დაუშვებლად და უკანონოდ ჩაითვლება, ისევე როგორც ადრინდელი ამგვარი არჩევნები", ვინაიდან მასში „ვერ მონაწილეობს აფხაზეთის ომამდელი მოსახლეობის უმრავლესობა, რომელიც ლტოლვილია კონფლიქტის შედეგად".

გაეროს უშიშროების საბჭომ რამდენჯერმე დაადასტურა თავის რეზოლუციებში აფხაზეთში კონფლიქტის შედეგად მომხდარი დემოგრაფიული ცვლილებების დაუშვებლობა, აგრეთვე კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ლტოლვილთა უფლება ღირსეულ პირობებში დაბრუნდნენ თავიანთ სახლებში და მიიღონ უსაფრთხოების გარანტიები.

10 მარტს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ „ფარსი" უწოდა აფხაზეთში ამ არჩევნების გამართვას, რადგან „მისი მოსახლეობის უმრავლესობა დევნილია მშობლიური ადგილებიდან აფხაზეთში ეთნიკური წმენდის შედეგად". ჟურნალისტებთან საუბრისას მან აღნიშნა, რომ „ლაპარაკიც კი არ შეიძლება აფხაზეთში არჩევნების ლეგიტიმურობის შესახებ, სანამ იქ არ დაბრუნდებიან ლტოლვილები".

საქინფორმი.

უახლესი ისტორია

ტერაქტი ედუარდ შევარდნაძისა და ჰეიდარ ალიევის წინააღმდეგ

(პირველი გვერდიდან)

ტერორისტული ჯგუფის ამოქმედების პირველსავე ნაბიჯებს ეწირება აზერბაიჯანის შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი პოდპოლკოვნიკი, იმჟამად მოსკოვში მცხოვრები ვლადიმერ აბრამოვი, რომელმაც უარი თქვა ბაქოში დაბრუნებასა და შეთქმულებთან თანამშრომლობაზე. სასწაულებრივ გადაურჩება სიკვდილს საქართველოს უშიშროების ორგანოების ყოფილი პოლკოვნიკი დავით ალექსიძეც. მან კატეგორიულად უარყო მაცდური წინადადება — თუ დაბრუნებოდა საქართველოში, მას პრეზიდენტ შევარდნაძის დაცვამიც დააბრუნებდნენ. მკვლელს მოსკოვში მცხოვრები „კანონიერი ქურდი", ნარკობარონი კოჭლი გიეი — გიეი კობახიძე მიუგზავნეს.

მოსალოდნელი ტრაგედიის შესახებ გაიგებენ პოლონეთის უშიშროების სამსახურში და დაუყოვნებლივ აცნობებენ რუს კოლეგებს — ფედერალური უშიშროების სამსახურისა და საგარეო დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელებს.

სწორედ მათი მოწვევით ამ პოლიტიკური შეთქმულების აღკვეთაში ებმება ექსტრაკლასის მზვერავი, ანალიტიკოსი დრონგო.

როგორ განვითარდება მოვლენები ამის შემდეგ, დაინტერესებული მკითხველი გაიგებს ჩინგიზ აბდულაევის დოკუმენტური ბესტსელერიდან „სისხლის სამი ფერი", რომლის ერთი ნაწილის თარგმანს „საქართველოს რესპუბლიკა" სამშაბათის ნომრიდან შემოგთავაზებთ.

თურქული ქერი

თურქეთი კვლავ უწევს საქართველოს ჰუმანურ დახმარებას 2000 წლის გვალვასთან დაკავშირებით. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის თავმჯდომარემ სიმონ უზუნაშვილმა საქინფორმის კორესპონდენტს აცნობა, რომ თურქეთიდან მიღებულია 700 ტონა ქერის თესლი. ქერს უსასყიდლოდ გაუნაწილებენ ფერმერებს მომავალი საგაზაფხულო თესვისათვის.

ევერესტს სამ ტონამდე ნაგვისგან გაწმენდენ

იაპონიაში გამოაცხადეს, რომ ეწყობა ექსპედიცია ევერესტზე, რათა იქაურობა გაწმინდონ ალპინისტების მიერ დატოვებული ნაგვისგან. იაპონელმა კენ კოგუტიმ და სამხრეთკორეელმა ლი სანმა გუმინ განაცხადეს, რომ 21 მარტს დაიწყებენ მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალის დასუფთავებას. მათ ჩინელი და ქართველი კოლეგები დაეხმარებიან.

ევერესტზე დიდძალი რაოდენობითაა ცარიელი ჟანგბადის ბალონები, მიტოვებული კარვები, საჭმლის ნარჩენები, რომლებიც აბინძურებს მდინარეებს. კოგუტი აპირებს სამ ტონამდე ნაგვის შეგროვებას და იაპონიასა და სამხრეთ კორეაში ამ ნარჩენების გამოფენის მოწყობას მოქალაქეთა შეგნების ასამაღლებლად.

ინფორმაციები მოგვაწოდა საქინფორმმა.

პროკურატურა

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელებული პრეტენზიები უსაფუძვლოა

(პირველი გვერდიდან)

2001 წლის 1 თებერვალს აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულმა მოქალაქე მ. შენგელიამ განცხადებით მიმართა ქ. თბილისის დიდუბის რაიონის პროკურატურას, რომელშიც მიუთითებდა, რომ 2001 წლის 24 იანვარს ე. წ. „დეზერტირების ბაზრის" მიმდებარე ტერიტორიაზე სიგარეტის რეალიზაციის დროს მას ყაჩაღურად თავს დაესხა რამდენიმე პირი, მათ შორის, ა. სხირტლაძე და გ. დევდარიანი, რომლებიც, მისივე ვარაუდით, საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს თანამშრომლები იყვნენ. აღნიშნულმა პირებმა მ. შენგელიას სცემეს და გაიტაცეს 447 ლარის ღირებულების სიგარეტი.

იმავე წლის 2 თებერვალს დიდუბის რაიონის პროკურატურამ დასახელებულ პირთა ვინაობის დადგენა და მათი დიდუბის რაიონის პროკურატურაში გამოცხადების შესახებ გაფრთხილების უზრუნველყოფა დაავალა ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის შინაგან საქმეთა სამმართველოს.

2001 წლის 12 თებერვალს ანალოგიური შინაარსის განცხადებით მიმართა დიდუბის რაიონის პროკურატურას მოქალაქე დ. ინაკაევამ.

დიდუბე-ჩუღურეთის შინაგან საქმეთა სამმართველოს თანამშრომლებმა დაადგინეს, რომ მ. შენგელიასა და დ. ინაკაევას მიერ დასახელებული პირები — ამირან სხირტლაძე და გოჩა დევდარიანი ნამდვილად მუშაობენ საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საგანგებო ლეგიონში. 2001 წლის 16 თებერვალს კი გოჩა დევდარიანი თავის თანამშრომლებთან დავით კახაძესა და კახა კერესელიძესთან ერთად წარმოადგინეს დიდუბე-ჩუღურეთის შს სამმართველოში, ნაცვლად იმისა, რომ გაეფრთხილებინათ ისინი დიდუბის რაიონის პროკურატურაში გამოცხადების თაობაზე.

დიდუბე-ჩუღურეთის შს სამმართველოს შენობაში პოლიციის მუშაკებსა და საგანგებო ლეგიონის თანამშრომლებს შორის მოხდა ურთიერთშელაპარაკება, რასაც შედეგად მოჰყვა ერთმანეთისათვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება.

აღნიშნულ ინციდენტთან დაკავშირებით, მასალები 2001 წლის 17 თებერვალს გადაეგზავნა ჩუღურეთის რაიონის პროკურატურას, ხოლო 21 თებერვალს იმავე პროკურატურას გადაეგზავნა დიდუბის რაიონის პროკურატურაში მ. შენგელიასა და დ. ინაკაევაძის განცხადებებთან დაკავშირებით არსებული მასალებიც.

ვინაიდან დადგინდა, რომ ამირან სხირტლაძე და გოჩა დევდარიანი ნამდვილად მუშაობდნენ საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საგანგებო ლეგიონში, მ. შენგელია და დ. ინაკაევაძე მათ ამხელდნენ კანონმდებლობის დარღვევაში, კერძოდ, სარეალიზაციოდ გამოტანილი სიგარეტის უკანონოდ ამოღება-მითვისებაში, ასევე, ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებაში. მათი ქმედების მართლზომიერების დადგენის მიზნით, 2001 წლის 23 თებერვალს საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს დაევალა სამსახურებრივი მოძიების ჩატარება ამ საკითხთან დაკავშირებით, რადგანაც საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის 66-ე მუხლის „ე" პუნქტისა და „საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს გენერალური ინსპექციის დებულების" მე-15 მუხლის პირველი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, აღნიშნული სამინისტრო ახორციელებს სამსახურებრივ მოკვლევას საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს მოსამსახურეების მიერ კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევის ფაქტების გამოვლენისა და მხილებულ პირთა პასუხისგებაში მიცემის მიზნით.

ანალოგიურად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა, პოლიციის მუშაკთა ქმედების მართლზომიერების დასადგენად ეწარმოებინა სამსახურებრივი მოძიება.

საგადასახადო შემოსავლების სამინისტროდან, ამ საკითხთან დაკავშირებული შემოწმების მასალები პროკურატურაში დღემდე შემოსული არ არის. მათ გარეშე კი ვერც პოლიციის მუშაკების და ვერც საგანგებო ლეგიონის თანამშრომლების ქმედებას სამართლებრივი შეფასება ვერ მიეცემა.

ამდენად, საქართველოს პროკურატურის ორგანოების მიმართ, ამ საკითხთან დაკავშირებული პრეტენზიები, რომლებიც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელდა, უსაფუძვლოა.

საქართველოს გენერალური პროკურატურის პრესცენტრი.

პრობლემა

ნუ „ეხუმრებით" სახელმწიფო საზღვარს, ბატონებო!

თანამედროვე იარაღი, ახალი სამხედრო ფორმა, ბრწყინვალე ეკიპირება, საუკეთესო საჭმელი, სითბო, შუქი, სპეცტრანსპორტი... ეს რუსეთ-საქართველოს საზღვარია, რუსეთის მხრიდან...

გაძვალტყავებული, სიცივისა და შიმშილისგან წელში მოხრილი მეომრები, ესეც იგივე საზღვარია, ოღონდ საქართველოს მხრიდან...

ალბათ, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, როგორ დაიცავს მშიერ-მწყურვალი ქართველი ჯარისკაცი ქვეყნის საზღვარს. ამასობაში კი, უხვად მოედინება ნარკოტიკი და იარაღი; შემოდიან არალეგალური ემიგრანტები თუ ჯაშუშები... მხოლოდ კონტრაბანდული საქონლისგან საქართველო ყოველწლიურად მინიმუმ 100 მილიონი დოლარით ზარალდება!

მესაზღვრეთა უწყება წელიწადში 22 მილიონ ლარს ითხოვს და კონტრაბანდის სანახევროდ მაინც მოსპობას გვპირდება. ეგებ, ღირდეს ამ თანხის გაღება 90 მილიონი დოლარის სანაცვლოდ. რატომღაც, ასეთი მარტივი არითმეტიკული ამოცანის ამოხსნა, შესაბამის სახელისუფლო სტრუქტურებში მეტისმეტად უჭირთ...

— გასაგებია, რომ საქართველოს ბიუჯეტი ყველაფერს ვერ გასწვდება, მაგრამ არსებობს პრიორიტეტული მიმართულებები, რომლებიც პირველ რიგში, უნდა დაფინანსდეს. სპეციალისტები (გარდა ფინანსისტებისა) ერთხმად ამტკიცებენ, რომ საზღვარი სწორედ ასეთი, პრიორიტეტული სფეროა, ამის მიუხედავად, მესაზღვრეთა მდგომარეობა წლიდან წლამდე უარესდება.

მახსოვს, ზუსტად ერთი წლის წინათ, საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე, გენერალ-ლეიტენანტი ვალერი ჩხეიძე აცხადებდა, ხაზინის უფროსი ნახუცრიშვილი დასაჭერიაო (ის მხოლოდ მოგვიანებით დააკავეს). საქმე ის იყო, რომ მესაზღვრეებისთვის განკუთვნილი 340 ათასი ლარიდან მან დაგვიანებით მხოლოდ ამ თანხის ნახევარი მოგვცა.

ჩვენში ამჟამად ბევრს საუბრობენ იმის შესახებ, რომ საქართველო საკუთარ საზღვრებს ვერ აკონტროლებს, მაგრამ, რატომღაც, სიღრმისეულად პრობლემას არავინ განიხილავს. მესაზღვრეებს მუშაობა უაღრესად მძიმე და სპეციფიკურ პირობებში უწევთ. საგუშაგოების ნაწილი მთებში, ზღვის დონიდან 3000 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს, სადაც არათუ ზამთარში, ზაფხულშიც კი ჭირს ცხოვრება და ღამის თევა. გარდა ამისა, რუსეთ-საქართველოს საზღვრის გასწვრივ ტერიტორიის გარკვეული მონაკვეთი დანაღმულია. პრობლემების ჩამოთვლა უსასრულოდ შეიძლება.

საქართველოში — ასას ხეობაში შეიარაღებული ჩეჩნების გამოჩენის გამო, ხელისუფლების არაერთი წარმომადგენელი პანიკაში ჩავარდა, ყველამ დაინახა, რომ საზღვრის დაცვის დეპარტამენტს დახმარება სჭირდება, მაგრამ ეს მოხდა მას შემდეგ, როცა ურემი გადაბრუნდა. კიდევ სად, როდის და რამდენი ურემი გადაბრუნდება ამ მსგავსი მიდგომით, არავინ იცის ჩვენს გარდა, მაგრამ ჩვენ რომ არ გვისმენენ.

ჩვენს უწყებაში ვარაუდობენ, რომ მესაზღვრეებისადმი მსგავსი დამოკიდებულება სულაც არ არის გამოწვეული ბიუჯეტის სიმწირით. გარკვეულ ძალებს კარგა ხანია საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ხელში ჩაგდება სურთ და ამისათვის ნებისმიერ ხერხს იყენებენ. დეპარტამენტის დღევანდელი ხელმძღვანელობა მცდელობას არ აკლებს სასაზღვრო სამსახურის ახალ გზაზე დასაყენებლად, რასაც აუცილებლად უნდა ახლდეს ღრმა ცოდნა, ანალიზის, პროგნოზების უნარი.

საქართველოდან გაყვანილი რუსეთის სასაზღვრო ნაწილები განლაგდნენ, უმთავრესად, საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის გასწვრივ ისეთ ადგილებზე, სადაც არ არსებობდა არავითარი პირობები ნორმალური სასაზღვრო სამსახურის პროცესის ჩატარებისა, უფრო მეტიც, — ცხოვრებისა, არსებობისა.

და აი, ადგილობრივმა მმართველობამ, ხალხმა, რუსეთის მესაზღვრეებს გადასცეს სამი დიდი შენობა, ერთი სამხედრო ქალაქი, ხოლო იაფ ფასებში მესაზღვრეებმა შეიძინეს 7 სამხედრო ქალაქი და 456 ბინა. ჩრდილო კავკასიის რეგიონული სასაზღვრო სამმართველოსთან მოკლე ხანში შეიქმნა 90 ყმაწვილთა სასაზღვრო კლუბი, და ა. შ.

ნუთუ, ჩვენ არ უნდა გვქონდეს ამის საშუალება?

დღეს საქართველოს სახელმწიფო საზღვრებს მრავალი გარეული თუ შინაური საეჭვოდ დაჰყურებს. სამწუხაროდ, მათ ვინმე ხელს კი არ უშლის, არამედ პირიქით, ხელსაც კი უწყობენ.

მსოფლიოს ყველა ქვეყანაში სახელმწიფო საზღვარს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა და დღესაც ექცევა. წარმოიდგინეთ, ჩვენ რომ საზღვრების დახურვა-გამაგრებიდან დავეწყო, ის უზარმაზარი თანხები და სახსრები (რომლებიც ვინ იცი, რას და როგორ მოხმარდა), საზღვრების გამაგრებისთვის გამოგვეყენებინა, დღეს საქართველო არ აღმოჩნდებოდა სავალალო მდგომარეობაში.

სასაზღვრო რეჟიმი ერთ-ერთი უმთავრესი ელემენტია სახელმწიფო საზღვრის დაცვისა და კონტროლის სისტემაში. დიახ, სახელმწიფო საზღვარი ქვეყნის წმიდათაწმიდა ზღვარია და ის უნდა იყოს ხელუხლებელი და დაურღვეველი წლობით, საუკუნეებით. აი, რატომ უნდა იცავდეს სახელმწიფო საზღვარს ქვეყნის სწორედ „ელიტარული ჯარები" — სასაზღვრო ჯარები, რომლებიც სახელმწიფოსგან უპირველესი ყურადღებითა და უზრუნველყოფით უნდა სარგებლობდნენ.

თუკი საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვისა და კონტროლის ბოლო სამი წლის პრაქტიკას მიმოვიხილავთ, ჩვენთვის სახარბიელოსა და სასარგებლოს ვერაფერს ვნახავთ. საქართველოს სასაზღვრო ჯარები დღეისთვისაც კი, სხვასთან შედარებით, როგორც პირადი შემადგენლობით, ისე შეიარაღებით თუ ტექნიკით, ცუდად გამოიყურება.

რომ არა ზოგადი დახმარება ჩვენი მეგობარი ქვეყნებისაგან... მაგრამ როდემდე, ბატონებო, როდემდე?

გივი კოხრეიძე,
საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლებრივი განყოფილების უფროსი, პოლკოვნიკი.

განვიხილავთ კანონპროექტს

პენსიონერს პენსია სიცოცხლეში სჭირდება

(პირველი გვერდიდან)

მათ შორის:

კანონპროექტში (თავი II, მუხლი 10) აღნიშნულია, რომ ასაკით პენსიის მიღების უფლება აქვთ ქალებს და მამაკაცებს, რომლებსაც შეუსრულდათ 65 წელი... ცივილიზებულ საზოგადოებაში ქალებს, მათი სუსტი ბუნებიდან გამომდინარე, ჰქონდათ და აქვთ შეღავათები სხვადასხვა სფეროში და პენსიების მიღების დროსაც. სასურველია, ქალებისათვის პენსიის მიღების ასაკი განისაზღვროს 55 წელი, მამაკაცებისათვის 60 წელი, სხვა შემთხვევაში: ქალებისათვის — 60, მამაკაცებისათვის კი — 65 წელი. კანონპროექტში შრომით სტაჟში ითვლება სამხედრო სამსახურში ყოფნის პერიოდი, რატომ არ უნდა ითვლებოდეს შინაგან საქმეთა ან უშიშროების სამინისტროების ორგანოებში მუშაობის პერიოდი. აღნიშნულის შინაარსობრივად გაფართოება უფრო ნათელს გახდის მის დანიშნულებას. ასევე ოცდამესამე მუხლის პირველ პუნქტში ვკითხულობთ: „სისტემაში ჩართვისათვის მინიმალური სტაჟია 10 წელი". რას ნიშნავს ტერმინი „სისტემაში ჩართვა". ამ მუხლის ქვესათაურია „ასაკით პენსიის გამონაგარიშება", ხოლო თავის სათაური „პენსიის გამონაგარიშება". ტექსტში კი არსად არ გვხვდება ტერმინი „პენსიის გამონაგარიშება". მის ნაცვლად რატომღაც იხმარება „სისტემაში ჩართვა". რატომ? ჯერ პენსია უნდა გამოიანგარიშო, შემდეგ უნდა დანიშნო და მერე უნდა ჩაირთოს სისტემაში. ალბათ, უფრო სწორი იქნებოდა, პუნქტი ასე დაწყებულიყო „ასაკით პენსიის დანიშვნისათვის მინიმალური სტაჟია 10 წელი".

ოცდამესამე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, თუ პირს პენსიაზე გასვლის მომენტისათვის არა აქვს 10 წლის სტაჟი, უნდა მიეცეს სახელმწიფო სოციალური პენსია. ტერმინი „სახელმწიფო სოციალური პენსია" გვხვდება მხოლოდ ამ მუხლში. ყველა სხვა მუხლებში იხმარება ტერმინი „სოციალური პენსია". უხერხულია, როცა ერთი და იგივე კანონი ერთი და იმავე ცნებას სხვადასხვა ფორმით ხმარობს. იქნებ მართლაც ვინმეს სხვადასხვა ცნებები ეგონოს მაშინ, როცა ყველგან იგულისხმება სახელმწიფო სოციალური პენსია.

ტექსტიდან გამომდინარეობს, რომ თუ მოქალაქეს ასაკით პენსიის გამოანგარიშებისას პენსიაზე გასვლის მომენტისათვის, ე. ი. 65 წლის ასაკში 10 წლის ნაცვლად აქვს 9, 8 ან 7 წლის სტაჟი, ასაკის მიუხედავად მაინც ენიშნება სოციალური პენსია.

ოცდამეთერთმეტე მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით, პენსიის დამნიშვნელი ორგანოს მიზეზით დაგვიანებით დარიცხული პენსიის თანხების ერთდროულად 3 თვის ოდენობით გაცემა მოქალაქის უფლებების ორმაგი დარღვევაა. ასეთი წესი მხოლოდ დროებით, განსაკუთრებული პირობების არსებობისას შეიძლება იქნას შემოღებული, თანაც როგორც გამონაკლისი.

ოცდამეჩვიდმეტე მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით, სოციალური პრემიები ქალებს და მამაკაცებს ენიშნებათ 70 წლის ასაკში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ასაკობრივი განსხვავება ქალებს და მამაკაცებს შორის, ასევე, სიცოცხლის ხანგრძლივობის საშუალო ასაკი. პენსიონერებს პენსია სიცოცხლეში სჭირდებათ.

საპენსიო კანონს ერთი ან ორი წლით ხომ არ ვიღებთ. იგი, როგორც ყველა კანონი, ხანგრძლივი დროით შედის მოქმედებაში. თანაც მისი ძირითადი პარამეტრები მხოლოდ 2-3 წლის შემდეგ უნდა ამოქმედდეს. მართალია, დღეს ჩვენს ქვეყანაში მეტად მძიმე ეკონომიკური მდგომარეობაა, მაგრამ ნუთუ 5-6 წლის შემდეგაც არ ველოდებით მის გაუმჯობესებას? მაშ, რატომ ვაკანონებთ ამ გაჭირვებას? ან, რით არის გამოწვეული მთელი რიგი ახალი პრინციპების დაკანონება, რომლებიც მოსახლეობის უმეტესი ნაწილის აზრით, დროებით იყო შემოღებული?

განა, შეიძლება, რომ მაღაროებში თუ ცხელ საამქროებში მომუშავე ადამიანებისათვის, მათ შორის ქალებისათვის საპენსიო ასაკი გაიზარდოს მთელი 20 წლით?

ხომ შეიძლება, თუნდაც ისეთი მექანიზმის შემუშავება და მისი კანონში ჩადება, რომ მძიმე პირობებში მომუშავე პირთათვის დასანიშნი პენსიები გარკვეულწილად თვით დამსაქმებლებმა შეავსონ? თუნდაც იმიტომ, რომ შეძლონ კვალიფიციური კადრების შენარჩუნება?

იქნებ სჯობდეს, საწყისად აგველო თითოეული მოქალაქის საშუალო გამომუშავება ერთი, ორი ან ხუთი წლის განმავლობაში.

გამართლებულად არ მიგვაჩნია, აგრეთვე, III ჯგუფის ინვალიდებისთვის პენსიის დანიშვნის ნაცვლად მხოლოდ ჯანმრთელობის რეაბილიტაციის და დასაქმების სოციალური პროგრამების შემოღება. განა, აღნიშნული პროგრამები არ უნდა შემუშავდეს I და II ჯგუფის ინვალიდებისათვის, რომელთაც ინვალიდობა მუდმივად არა აქვთ დადგენილი?

ან კიდევ, პენსიის გაანგარიშების დროს, განა, არის დადგენილი 2000 წლის საშუალო გამომუშავება?

როგორც ჩანს, იგულისხმება 60 ლარი, ე. ი. პენსიის ოდენობა ისევ ყველასათვის ერთნაირი — 21 ლარი უნდა იყოს, განურჩევლად იმისა, თუ ვინ სად მუშაობდა, ან ვის რა ხელფასი თუ გამომუშავება ჰქონდა.

იქნებ სჯობდეს, საწყისად აგველო თითოეული მოქალაქის საშუალო გამომუშავება ერთი, ორი ან ხუთი წლის განმავლობაში.

ან, შეიძლება, დაგვეწესებინა პენსიის მინიმუმი (თუ მოქალაქის საშუალო გამომუშავება მეტად დაბალი იქნებოდა) და ზედა ზღვარი, თუ გამომუშავება საკმაოდ მაღალი იქნებოდა და იგი ქვეყნის შესაძლებლობებს აღემატებოდა. ამ პროცესების მოწესრიგება შემდგომ თანდათანობით შეიძლებოდა.

ან იქნებ, არა 2000 წლის საშუალო გამომუშავება, არამედ საარსებო მინიმუმი აგველო საწყის წერტილად და პროცენტები იქიდან გამოგვეყვანა, ხოლო განსაკუთრებული დამსახურების მქონე პირებისათვის, როგორიც არიან სახელმწიფო პრემიის ლაურეატები, სოციალისტური შრომის გმირები, საპატიო წოდების მქონე პირები, დამსახურებული გამომგონებლები და სხვა — ეს პროცენტი კიდევ უფრო გაიზრდებოდა.

იოსებ ხაზარაძე,
საქართველოს შრომის ვეტერანთა და პენსიონერთა პროფესიული კავშირების თავმჯდომარე, ღირსების ორდენოსანი.

გვწერენ

ვინ მიხედავს პიპილეთის სკოლას?

(პირველი გვერდიდან)

პიპილეთის საშუალო სკოლაში ჯეჯორას ხეობის ცხრა სოფლის მოსწავლეთა კონტინგენტი სწავლობდა.

ბრმა უნდა იყო კაცი, ჯეჯორას ხეობაში მოხვდე და ათი წლის შემდეგ მიწისძვრიდან დღემდე აქ მდგომი ორიოდე ვაგონი არ შენიშნო, მიწისძვრის შემდეგ დღემდე აქ არის პიპილეთის საშუალო სკოლა შეხიზნული. უყურებდე „მომავლისაც ნამდვილ ხატს" და ხმას არ იღებდე. როდემდე გაგრძელდება ასე? ვინ მიხედავს პიპილეთის საშუალო სკოლას?

ამ საქმეში მოსახლეობასთან ერთად სიტყვა საქმედ უნდა აქციოს პიპილეთის საკრებულოს გამგებელმა და უპირველეს ყოვლისა ამ სოფლის სკოლას უნდა მიხედოს საქართველოს განათლების სამინისტრომ, არადა ისე გავიდა ათი წელიწადი, პიპილეთის სკოლა არავის გახსენებია. ეს ხომ ერთად საკეთებელი საქმეა!

...წლები გარბიან, თუმცა იმედს გვიტოვებს, რომელიც ესოდენ საჭიროა რაჭველი კაცისათვის.

პიპილეთის საშუალო სკოლა ისეთი ბიოგრაფიისაა, უსათუოდ უნდა ჩადგეს მწყობრში, ამ სკოლას რამდენიმე წელიწადი დირექტორობდა კოწია (კონსტანტინე) ლობჟანიძე. სასურველია (იმედიც მაქვს) პიპილეთის სკოლას მისი სახელი მიენიჭოს ამაგდარი კაცის უკვდავსაყოფად.

მაია რეხვიაშვილი.

ყმაწვილების ენით

რუბრიკას უძღვება ნათელა ფაილოძე

რაზე ოცნებობ?

ამ შეკითხვას უპასუხებენ თბილისის პირველი ექსპერიმენტული საშუალო სკოლის მეოთხეკლასელები:

დათო ზანზულიძე: — მსურს, გავხდე პრეზიდენტი, აფხაზეთში ლტოლვილები უნდა დავაბრუნო, და კიდევ, არ ჩაქრეს შუქი და არ იყვნენ ქუჩაში მათხოვრები და ღარიბები...

ნათია სვანიძე: — ვოცნებობ სახლში არავინ გახდეს ავად და ყველამ ტკბილად ვიცხოვროთ...

ყველას ერთმანეთი უყვარდეს...

ნიკა ბერიაშვილი: — ეკლესიაში პირჯვარს გადავიწერ და ვამბობ: ღმერთო, კარგად იყოს ჩემი ძამიკო ირაკლი, დედიკო, მამიკო, პაპა, ბებია, სუყველა, სუყველა.

რეზო კახიანი: — მინდა, ყველას ერთმანეთი უყვარდეს და არ იჩხუბონ... და კიდევ მინდა, მყავდეს ცხენი, ძაღლი და პატარა ლომი.

ბერდია კუნელაური: — ვიცოდე ბევრი ენა, რომ ვიმოგზაურო ამერიკაში, პარიზში, ავსტრიაში, გერმანიაში და ისრაელში. აუ... რამდენ რამეს ვნა-ხაა-ვ!...

პენიტენციური სისტემა

კრიმინალური ავტორიტეტები მალე ძალაუფლებას დაკარგავენ

როგორც სასჯელთა აღსრულების დეპარტამენტის რეფორმათა მთავარი სამმართველოს უფროსმა გიორგი არველაძემ განაცხადა, სამინისტრო მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ინიციატივით წარსდგება პარლამენტის წინაშე, რომლის საფუძველზე მსჯავრდებულთა მიერ სასჯელის მოხდის რეჟიმის და მათი ამა თუ იმ დაწესებულებაში განთავსება უშუალოდ იუსტიციის სამინისტრომ უნდა განსაზღვროს. ეს დღემდე სასამართლოს პრეროგატივას წარმოადგენდა და ხშირ შემთხვევებში ათას გაუგებრობასთან იყო დაკავშირებული.

ახალი პროექტი პატიმრის უფლებებს არ ზღუდავს. პირიქით, იგი მას იუსტიციის სამინისტროს მიერ მიღებული გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების ნებას რთავს. ამის განხორციელება კი ჩვენს პენიტენციურ სისტემას საშუალებას მისცემს კიდევ უფრო მიუახლოვდეს დასავლურ მოდელს. ამასთან ეს იქნება ამ სისტემის მართვის ყველაზე ეფექტური საშუალება, როგორც პატიმრების რეაბილიტაციის, ისე მათი უსაფრთხოების თვალსაზრისითაც და, რაც მთავარია, ამით კრიმინალური ავტორიტეტები სულ მალე ძალაუფლებას დაკარგავენ.

სამწუხაროდ, დღეს არსებული კანონმდებლობის პირობებში სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სიტუაციას კრიმინალური ავტორიტეტები ფლობენ, რომელთა მართვა უმრავლეს შემთხვევაში გარე ძალების მიერ ხდება, რაც დესტაბილიზაციის სერიოზულ საფრთხეს ჰქმნის.

სამინისტროში ამჟამად ოპერატიულ ინფორმაციას ფლობენ იმის თაობაზე, რომ ზოგიერთ საპატიმროში გაქცევის მიზნით ახლაც თურმე სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს. იმის გამო, რომ სასამართლო პროცედურით დღეს დამნაშავის ერთი რეჟიმიდან ან დაწესებულებიდან მეორეში გადაყვანა ძალიან ჭიანურდება, მათ არ გააჩნიათ საშუალება, დროულად და ოპერატიულად აღკვეთონ პატიმრების გაქცევის მცდელობა.

გარდა ამისა, ისიც ითქვა, რომ დღეს ყოვლად დაუშვებელია საერთო რეჟიმის კოლონიაში 20 წელ-მისჯილთან ერთად სასჯელს მცირე ვადით დაპატიმრებულებიც რომ იხდიან. ეს პრობლემაც, იმედია, სულ მალე გადაწყდება.

სამომავლოდ კი გათვალისწინებული აქვთ შედარებით მსუბუქი დანაშაულის ჩამდენი პირების სხვადასხვა სამუშაოებზე გამოყენება, მათი დასაქმება.

იმედია, სამინისტროს მიერ პენიტენციურ სისტემაში გარდაქმნის თვალსაზრისით განხორციელებული ღონისძიებები სულ მალე თავის ნაყოფს გამოიღებს და ჩვენს პატიმრებსაც ცივილიზებულ პირობებში მოუწევთ სასჯელის მოხდა.

თეიმურაზ კინწურაშვილი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

სხვა გაზეთებიდან

ჩვენ თავიდან ავიცილეთ სოციალური კატასტროფა

ყველაფერი „ნულოვანი ვარიანტის" შესახებ

ახალი საუკუნის დასაწყისშივე საქართველოს რამდენიმე ტალღამ გადაუარა, რომელთაც საკმაო სკანდალი და აჟიოტაჟი მოჰყვა. ერთი მათგანია ე. წ. „ნულოვანი ვარიანტი", რომლის რატიფიცირება ჩვენმა პარლამენტმა 16 თებერვალს მოახდინა. დასამალი არაა, რომ ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ წავიდა არა მარტო უმცირესობა, არამედ უმრავლესობის ნაწილიც, თვით მმართველი პარტიის ფრაქციის რამდენიმე წარმომადგენელიც კი. ისიც საინტერესოა, რომ დეპუტატთა ერთმა ჯგუფმა საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი შეიტანა და რატიფიკაციის გაბათილება მოითხოვა. მეხლა-შემოხლა, დავა-კრიტიკა ჯერ არ შემწყდარა. მაინც რა არის ეს „ნულოვანი ვარიანტი", საიდან მოდის იგი? ამ კითხვებზე ამომწურავ პასუხს გაგცემთ მასალა, რომელიც მომზადებულია საქართველოს უშიშროების სამინისტროს მიერ ჩატარებული მოკვლევის საფუძველზე.

ბოლო პერიოდში, საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთდამოკიდებულების დაძაბვეის პირობებში, წინა პლანზე წამოიწია საკითხმა ე. წ. „ნულოვანი ვარიანტის" შესახებ. თავისთავად „ნულოვანი ვარიანტი" წარმოადგენს 1993 წლის 14 სექტემბრის ხელშეკრულებას „საქართველოს და რუსეთის შორის ყოფილი სსრკ-ს საგარეო სახელმწიფო ვალისა და აქტივების სამართალმემკვიდრეობის საკითხთა შესახებ". ამ ხელშეკრულების მიხედვით რუსეთი კისრულობს ყოფილი საბჭოთა კავშირის საგარეო ვალში საქართველოს წილის გადახდას, იმის სანაცვლოდ, რომ საქართველო გადასცემს მას კუთვნილ წილს იმავე სსრკს აქტივებში.

ნიშანდობლივია, რომ ხელშეკრულების თემის განხილვა დაიწყო ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში. კერძოდ, 1991 წლის ოქტომბერში, ერთი მხრივ, „დიდი შვიდეულის" ქვეყნების, ხოლო, მეორე მხრივ, სსრკ და საკავშირო რესპუბლიკების დელეგაციებს შორის. საქართველოს დელეგაციას ხელმძღვანელობდა იმხანად ვიცე-პრემიერი და საგარეო საქმეთა მაგისტრი მურმან ომანიძე. დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ საგარეო საქმეთა სამინისტროს მთავარი სამმართველოს უფროსი მიხეილ უკლება და მისი მოადგილე ვალერი ჩეჩელაშვილი.

ხედავდნენ რა იმპერიის დაშლის რეალურ პერსპექტივას, „დიდი შვიდეულის" წარმომადგენლები ცდილობდნენ მოკავშირე რესპუბლიკებისაგან პასივების სამართალმემკვიდრეობის გარანტიების მიღებას. მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა, რადგანაც არ იყო განსაზღვრული სსრკ აქტივების რაოდენობა, ცალკეული რესპუბლიკების ხვედრითი წილი პასივებსა და აქტივებში და ა. შ. ასეთ პირობებში რესპუბლიკების წარმომადგენლებმა არ ისურვეს პასივებზე პასუხისმგებლობის ბრმად აღება. საკითხის მოგვარების მიზნით, გადაწყდა შერეული მუშა ჯგუფის შექმნა, რომელიც მოკლე დროში (ორი კვირა) მოამზადებდა სათანადო ხელშეკრულების პროექტს. საქართველოს მხრიდან ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობდა ვ. ჩეჩელაშვილი. მართლაც მომზადდა ხელშეკრულება „ყოფილი სსრკ საგარეო სახელმწიფო ვალისა და აქტივების სამართალმემკვიდრეობის შესახებ", რომლის ხელმოწერა მოხდა, ასევე, მოსკოვში 1991 წლის 4 დეკემბერს. ქართული მხრიდან მას ხელი მოაწერა მურმან ომანიძემ. ამ დოკუმენტში სსრკ საგარეო ვალის და აქტივების ცნება მოცემულია I მუხლის „ა" და „ბ" პუნქტებში და განსაზღვრულია შემდეგნაირად:

— „სსრკ სახელმწიფო საგარეო ვალი ნიშნავს სსრკს ან მის მიერ კანონიერი წესით რწმუნებული პირების მიერ აღებულ ნებისმიერ ფინანსურ ვალდებულებას სხვა სახელმწიფოს, საერთაშორისო ორგანიზაციის ან ნებისმიერი უცხოელი კრედიტორის მიმართ;

— სსრკ აქტივები წარმოადგენენ მისი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ არსებულ მოძრავ და უძრავ სახელმწიფო საკუთრებას, სსრკ ოქროს, სავალუტო ფონდებს და რეზერვებს, საზღვარგარეთ ჩადებულ ინვესტიციებს, სხვა სახელმწიფოს საერთაშორისო ორგანიზაციის ან ნებისმიერი უცხოელი დებიტორის ნებისმიერ ფინანსურ ვალდებულებას სსრკ-ს მიმართ".

ეს ხელშეკრულება რატიფიცირებულია საქართველოს 1991 წლის შემადგენლობის პარლამენტის მიერ. „ნულოვანი ვარიანტი" სწორედ ამ ხელშეკრულებას ეყრდნობა, მაგრამ მისგან განსხვავებით იგი ორმხრივ შეთანხმებას წარმოადგენს.

ამას წინათ გავრცელდა ხმები, თითქოსდა „ნულოვანი ვარიანტის" დედანი დაიკარგა, არსებობს განსხვავება პარაფირებულ დოკუმენტსა და ხელმოწერილ დედანს შორის და ა. შ. სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს დაევალა ამ საკითხების გარკვევა. მან გამოითხოვა სათანადო მასალები სახელმწიფო კანცელარიიდან, საგარეო საქმეთა, ეკონომიკის, ვაჭრობისა და მრეწველობის, ფინანსთა სამინისტროდან, საქართველოს ეროვნული ბანკიდან. გამოიკითხნენ საქართველოს ოფიციალური დელეგაციის წევრები, რომლებიც მონაწილეობდნენ ამ შეთანხმების ხელმოწერაში 1993 წლის სექტემბერში, მოსკოვში და ის პირები, რომლებიც უშუალოდ მუშაობდნენ შეთანხმების პროექტის მომზადებაზე ქართული მხრიდან.

ჩატარებული სამუშაოების შედეგად დადგინდა, რომ 1992 წლის 5 ნოემბერს რუსეთის ფედერაციის დსთ წევრ სახელმწიფოებთან ეკონომიკური თანამშრომლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ვ. პოკროვსკიმ გამოაგზავნა წერილი საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის თ. სიგუას სახელზე, რომელსაც თან ერთვოდა „ნულოვანი ვარიანტის" ხელშეკრულების პროექტი. ბატონი პოკროვსკი გვთავაზობდა პროექტის განხილვას და აღნიშნავდა: რადგანაც საქართველო შეუერთდა 1991 წლის 4 დეკემბერს ხელშეკრულებას ყოფილი სსრკ საგარეო სახელმწიფო ვალისა და აქტივების სამართალმემკვიდრეობის შესახებ, „ნულოვანი ვარიანტის" ხელმოწერა მიზანშეწონილი იქნებოდა 1992 წლის ნოემბერში. შეთანხმების პროექტის ძირითადი პოზიციები ჩამოყალიბებულია ასეთი სახით:

პრეამბულაში ნათქვამია, რომ მხარეები ითვალისწინებენ 1991 წლის 28 ოქტომბრის მემორანდუმს „სსრკ და მისი სამართალმემკვიდრეების უცხოელი კრედიტორებისადმი ვალის მიმართ ურთიერთგაგების შესახებ" 1991 წლის 4 დეკემბრის ხელშეკრულებას და ხელმძღვანელობდნენ დსთ წევრი სახელმწიფოების მეთაურთა 1992 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილებით იმის თაობაზე, რომ ყოფილი სსრკ ვალებისა და აქტივების სამართალმემკვიდრეობის საკითხები წყდება ორმხრივ საფუძველზე.

მუხლების რედაქციაში საყურადღებოა შემდეგი დებულებები:

— „წინამდებარე შეთანხმების მიზნებისათვის ყოფილი სსრკ საგარეო სახელმწიფო ვალი და აქტივები გაგებული უნდა იქნეს ისე, როგორც ისინი განისაზღვრებიან 1991 წლის 4 დეკემბრის ხელშეკრულების პირველი მუხლის „ა" და „ბ" პუნქტებში" (მუხლი 1);

— რუსეთის ფედერაცია და საქართველოს რესპუბლიკა ადასტურებენ, რომ საქართველოს რესპუბლიკის წილი ყოფილი სსრკს საგარეო სახელმწიფო ვალსა და აქტივებში, განისაზღვრება 1991 წლის 4 დეკემბრის ხელშეკრულებით და ერთიანი აგრეგირებული მაჩვენებლის საფუძველზე შეადგენს 1,62 პროცენტს" (მუხლი 2);

— „რუსეთის ფედერაცია თავის თავზე იღებს ვალდებულებას უცხოელ კრედიტორებთან ყოფილი სსრკს საგარეო სახელმწიფო ვალში საქართველოს რესპუბლიკის წილთან დაკავშირებული საკითხების რეგულირების შესახებ და საქმის კურსში ჩააყენებს ამის თაობაზე მსოფლიო თანამეგობრობის შესაბამის ორგანიზაციებს" (მუხლი 3);

— „საქართველოს რესპუბლიკა გადასცემს რუსეთის ფედერაციის საკუთარ წილს ყოფილი სსრკს აქტივებში, 1991 წლის 1 დეკემბრისათვის არსებული მდგომარეობით" (მუხლი 4);

— „საკითხი ალმასის ფონდის მეფასებისა და გაყოფის შესახებ დარეგულირდება სპეციალური შეთანხმებით, ხოლო შიდა სავალუტო ვალის რეგულირების საკითხზე შეიქმნება ერთობლივი მუშა ჯგუფი" (მუხლი 5).

ფაქტობრივად, „ნულოვანი ვარიანტის" არსი ჩადებულია შეთანხმების პროექტის მე-3 და მე-4 პუნქტებში.

ქართული მხარის მიდგომა ამ დოკუმენტისადმი ეყრდნობოდა ქვეყნის ინტერესების მაქსიმალურ გათვალისწინებას, რამაც განაპირობა შეთანხმების პროექტის საკუთარი ვარიანტის შემუშავება. ეს ამოცანა დაეკისრა საგარეო საქმეთა და ფინანსთა სამინისტროებს.

შეთანხმების ქართული ვარიანტის დასახელება ჩამოყალიბებულია ასე: „შეთანხმება რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს რესპუბლიკას შორის ყოფილი სსრკ საგარეო ვალის მომსახურების შესახებ". მისი პრეამბულა ეყრდნობა 1991 წლის 4 დეკემბრის ხელშეკრულებას და მის 1992 წლის 13 მარტის დამატებას.

მუხლების რედაქციაში ნათქვამია:

— „საქართველოს რესპუბლიკა გადასცემს რუსეთის ფედერაციას, ხოლო ეს უკანასკნელი თავის თავზე იღებს ვალდებულებას ყოფილი სსრკ საგარეო სახელმწიფო ვალში საქართველოს რესპუბლიკის წილის გადახდის თაობაზე, 1993 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოს რესპუბლიკის წილის ჩათვლით პურპროდუქტების მიწოდებაში 1992 წელს, ყოფილი სსრკს მიერ დადებული საკრედიტო ხელშეკრულებების თანახმად.

რუსეთის ფედერაცია თავის თავზე იღებს ვალდებულებას უცხოელ კრედიტორებთან ყოფილი სსრკს საგარეო სახელმწიფო ვალში საქართველოს რესპუბლიკის წილთან დაკავშირებული საკითხების რეგულირების შესახებ და საქმის კურსში ჩააყენებს ამის თაობაზე მსოფლიო თანამეგობრობის შესაბამის ორგანიზაციებს" (მუხლი 2);

— „საქართველოს რესპუბლიკა გადასცემს რუსეთის ფედერაციას კუთვნილ წილს ყოფილი სსრკ აქტივებში 1991 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით.

საკითხი ალმასის ფონდის, ოქროს და სსრკ ფარგლებს გარეთ არსებული უძრავი ქონების მეფასებისა და გაყოფის შესახებ დარეგულირდება ცალკე შეთანხმებებით" (მუხლი 3);

— „მხარეების მიერ წინამდებარე შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ რუსეთის ფედერაცია თავის თავზე იღებს ვალდებულებას 1993 წლის 1 ივლისამდე აღადგინოს, განბლოკოს და გადარიცხოს ქართული მხარის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშებზე საქართველოს რესპუბლიკის ფიზიკური და იურიდიული პირების თანხები, რომლებიც ირიცხებიან ყოფილი სსრკ „ვნეშეკონომბანკში" წინამდებარე შეთანხმების ხელმოწერის მომენტისათვის, „ვნეშეკონომბანკის" თბილისის განყოფილების, მისი სამართალმემკვიდრეების და სხვა ბანკების საკორესპონდენტო ანგარიშებზე რიცხული თანხებისა და იმ თანხების ჩათვლით, რომლებიც გამოუყვეს საქართველოს უცხოეთის სახელმწიფოებმა სტიქიურ უბედურებებთან დაკავშირებით დახმარების აღმოჩენის სახით. აქვე გათვალისწინებულია თანხები, რომლებიც ირიცხება „ვნეშეკონომბანკში" საქართველოს რესპუბლიკისათვის გახსნილ ანგარიშზე №74132261" (მუხლი 4);

„ნულოვანი ვარიანტის" პარაფირებული ტექსტის საბოლოო სახე ჩამოყალიბდა მოსკოვში და იგი მნიშვნელოვნად განსხვავდება ქართული მხარის მიერ შემუშავებული პროექტისაგან.

ვ. ჩეჩელაშვილი აღნიშნავს, რომ საკითხი ოქროს მარაგისა და ალმასის ფონდის თაობაზე იმთავითვე მოითხოვდა დამატებით განმარტებას. კერძოდ, 1990-1991 წლებში სსრკს ოქროს მარაგი მნიშვნელოვნად შემცირდა, რის გამოც „ნულოვანი ვარიანტის" ზოგიერთი სხვა აქტივების დარად ითვალისწინებდა მის ჩათვლას პასივებში. ამით ყოველგვარი პრეტენზია ოქროს მარაგის მიმართ იხსნებოდა, მაგრამ თუ დადასტურდებოდა ოქროს მარაგის არსებობა განსხვავებული ოდენობით, ამ საკითხის მოგვარება მოითხოვდა დამატებით რეგულირებას.

წინააღმდეგობა წამოიჭრა ალმასის ფონდის საკითხის მიმართაც. რუსი ექსპერტები თვლიდნენ: ვინაიდან ალმასის მოპოვება წარმოებდა მხოლოდ რუსეთის ტერიტორიაზე, მათი აღრიცხვა ყოფილი საბჭოეთის აქტივებში არ უნდა მომხდარიყო. ამის საპასუხოდ ქართულმა მხარემ განაცხადა, რომ ალმასების მოპოვება ფინანსდებოდა საკავშირო ბიუჯეტიდან, რომლის ფორმირება ხდებოდა რესპუბლიკების ბიუჯეტების ხარჯზე, ამდენად, საქართველოს ერგებოდა პროპორციული წილი სსრკ-ს ალმასის ფონდიდან. ეს საკითხები განაპირობებდნენ მათი რეგულირების საჭიროებას პარაფირებული ტექსტის ჩარჩოებს მიღმა.

საბოლოოდ პარაფირებულ შეთანხმებაში არ ფიგურირებს საკითხი ალმასის ფონდის შესახებ, რადგანაც 1991 წლის 4 დეკემბრის კოლექტიური შეთანხმების თანახმად, მისი რეგულირება ცალკე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს. სამაგიეროდ, ტექსტის რედაქციას დაემატა მე-6 მუხლი, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირების ინტერესებს. იგი ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად:

„მხარეები შექმნიან ერთობლივ მუშა ჯგუფს საქართველოს რესპუბლიკის იურიდიული პირების მიმართ ყოფილი სსრკს შიდა სავალუტო ვალის საკითხების რეგულირებისათვის. იმ ნაწილში, რომელიც ეხება საგარეო-ეკონომიკური ბანკის დავალიანებას ფიზიკური პირების — სსრკს ყოფილი რეზიდენტების მიმართ, გადახდა იწარმოებს 1993 წლის 1 ივლისიდან რუსეთის ფედერაციის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯზე, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის 1992 წლის 7 დეკემბრის №565 ბრძანებულების „ყოფილი სსრკ-ს შიდა სავალუტო ვალის რეგულირების ზომების შესახებ" საფუძველზე".

ქართული ვარიანტი შეთანხმდა რუსეთის მხარესთან, რის შედეგადაც 1993 წლის 19 მარტს საქართველოს და რუსეთის სახელმწიფო დელეგაციების შეხვედრის მორიგი რაუნდის ფარგლებში (მოსკოვში) მოხდა მისი პარაფირება. ქართულ დელეგაციას ხელმძღვანელობდა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მიხეილ უკლება, ხოლო რუსულ დელეგაციას — საგანგებო დავალებათა ელჩი ფ. კოვალიოვი. შეხვედრის დონე განისაზღვრებოდა, როგორც საექსპერტო. შეთანხმების პარაფირებულ ტექსტს ქართული მხრიდან ხელი მოაწერა ვ. ჩეჩელაშვილმა. თავის ახსნა-განმარტებაში ვ. ჩეჩელაშვილი იხსენებს, რომ დოკუმენტი პარაფირებულ იქნა მხოლოდ რუსულ ენაზე და ტექსტების აუტენტურობის შემოწმების შემდეგ მას მოეწერა ხელი მთავრობების დონეზე. გაფორმდა პარაფირებული ტექსტის ორი დედანი. ერთი დაიტოვა რუსეთის მხარემ, ხოლო მეორე ჩვენმა დელეგაციამ ჩამოიტანა თბილისში და შესანახად გადასცა საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების დეპარტამენტის დსთს ქვეყნებთან ეკონომიკური თანამშრომლობის სამმართველოს. ვ. ჩეჩელაშვილი აღნიშნავს, რომ საერთაშორისო ნორმების თანახმად, იგი უნდა გადასცემოდა საგარეო საქმეთა სამინისტროს სამართლებრივი დეპარტამენტის არქივს, მაგრამ 1993 წლის გაზაფხულზე ასეთი დაწესებულება სამინისტროში არ არსებობდა.

საყურადღებოა, რომ პარაფირებული დოკუმენტის დედნის მოძიება დღემდე ვერ მოხერხდა. იმავე დროს უშიშროების სამინისტრომ მოიძია მისი ქსეროასლი, რომელიც ინახებოდა საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო სამმართველოში. ბანკის თანამშრომლების ინფორმაციით, ეს დოკუმენტი მიღებულია ფინანსთა სამინისტროდან. გამოკითხულია ფინანსთა ყოფილი მინისტრი კახი პოპიაშვილი, რომლის მონაცემებით, ამ უწყებაში ინახებოდა ანალოგიური სახის დოკუმენტების მთელი პაკეტი. ამის გათვალისწინებით უშიშროების სამინისტრომ მიმართა სათანადო შეკითხვით ფინანსთა სამინისტროს, მაგრამ პაკეტის მოძიება ამ ეტაპზე ვერ მოხერხდა.

1993 წლის 13-15 სექტემბერს მოსკოვში იმყოფებოდა საქართველოს ოფიციალური დელეგაცია, პრემიერ-მინისტრის ოთარ ფაცაციას ხელმძღვანელობით. დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ: კახი პოპიაშვილი, მურთაზ ზაქალიანი, ნუგზარ ფიფია, ვილენ ალავიძე და მიხეილ ჯიბუტი. უნდა აღინიშნოს, რომ დელეგაციის ზუსტი შემადგენლობის დადგენა ჯერჯერობით ვერ მოხერხდა მოვლენათა ხანდაზმულობის და მონაწილეთა ახსნა-განმარტებებში გამოვლენილი განსხვავებების გამო. ვიზიტის ძირითად მიზანს შეადგენდა საქართველოსთვის რუსული კრედიტების მიღება. ვიზიტის პროცესში, 14 სექტემბერს, ხელი მოეწერა შეთანხმების პაკეტს, კერძოდ:

1. არასავაჭრო გადახდების შესახებ;
2. ეროვნული ვალუტის შემოღებასთან დაკავშირებით ურთიერთვალდებულებებისა და ურთიერთმხარდაჭერის შესახებ;
3. საქართველოში ეროვნული ვალუტის შემოღებასთან და ქვეყნის ტერიტორიაზე მანეთის საგადასახადო საშუალების სახით გამოყენების შეწყვეტასთან დაკავშირებით ურთიერთვალდებულებებისა და მოთხოვნების შესახებ;
4. ყოფილი სსრკ სახელმწიფო ვალისა და აქტივების მიმართ სამართალმემკვიდრეობის საკითხების რეგულირებასთან დაკავშირებით („ნულოვანი ვარიანტი");
5. ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ეკონომიკის აღდგენის შესახებ;
6. ბანკთაშორისი შეთანხმება საქართველოში ეროვნული ვალუტის შემოღების შემდეგ ბანკთაშორის ანგარიშსწორების წესის შესახებ;
7. 1993 წელს საქართველოსთვის კრედიტის მიცემის შესახებ;
8. 1992 წლის შედეგების მიხედვით ტექნიკურ კრედიტებში არსებული დავალიანების სახელმწიფო კრედიტში გადაფორმების შესახებ;
9. ოქმი 1993 წელს სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ.

ამ დოკუმენტების პაკეტი, რომელიც ინახება სახელმწიფო კანცელარიის არქივში, ქართული მხრიდან ხელმოწერილია იმხანად საქართველოს პრემიერ-მინისტრის ო. ფაცაციას, ხოლო რუსეთის მხრიდან ვიცე-პრემიერის ა. შოხინის მიერ. პაკეტში შედის შეთანხმება ე. წ. „ნულოვანი ვარიანტის" შესახებ, რომელშიც მხარეების მიერ პარაფირებულ შეთანხმებასთან განსხვავებით, დაუდგენელი მიზეზების გამო, ამოღებულია მე-6 მუხლი.

ამ გარემოებასთან დაკავშირებით უშიშროების სამინისტრომ მიმართა ქართული მხრიდან პარაფირებული ვარიანტის ავტორს, ამჟამად შავი ზღვის აუზის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ვალერი ჩეჩელაშვილს, რომელსაც გაეგზავნა მოძიებული პარაფირებული ვარიანტი. თავის ახსნა-განმარტებაში ვ. ჩეჩელაშვილი ადასტურებს მის ხელმოწერას მოძიებულ დოკუმენტზე და აღნიშნავს, რომ მის მიერ პარაფირებული ტექსტი საბოლოო ხელშეკრულებისგან განსხვავებით მოიცავს შემდეგ დებულებებს:

— საქართველოს იურიდიული პირების ანგარიშების კომპენსირების საკითხს (დაახლოებით 40 მლნ. აშშ დოლარი).

— საქართველოს ფიზიკური პირების ანგარიშების კომპენსირების საკითხს (დაახლოებით 12 მლნ. აშშ დოლარი);

1993 წლის ოქტომბერში მთავრობამ გადაუგზავნა შეთანხმების ხელმოწერილი ვარიანტი საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომელმაც დაუყოვნებლივ აცნობა პარაფირებულ და ხელმოწერილ ტექსტებს შორის არსებული სხვაობაზე სპეციალური წერილით (3-05/128 06. 10. 93). მისი ავტორია ვ. ჩეჩელაშვილი, ხოლო ხელი მოაწერა მ. უკლებამ. წერილს თან ერთვოდა პარაფირებული ტექსტის ასლი. წერილში, კერძოდ, აღნიშნულია: „... შეთანხმება არ შეესაბამება ექსპერტთა მიერ პარაფირებულ ტექსტს. ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება იმაში მდგომარეობს, რომ მთლიანად არის ამოღებული მუხლი, რომლითაც რეგულირდება რუსეთის პასუხისმგებლობის საკითხი ჩვენი რესპუბლიკის იურიდიულ და ფიზიკურ პირთა ამჟამად „ვნეშეკონომბანკში" გაყინულ თანხებზე.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მინისტრთა კაბინეტმა მიიღოს შემდეგი გადაწყვეტილება:

მიეცეს რეკომენდაცია პრემიერ-მინისტრს გამართოს დამატებითი კონსულტაციები რუსეთის ფედერაციის მთავრობასთან, რათა აღდგენილ იქნას საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის ყოფილი სსრკს სახელმწიფო ვალისა და აქტივების თაობაზე შეთანხმების ტექსტში სახელმწიფო დელეგაციების მოლაპარაკების მე-4 რაუნდის შედეგად ექსპერტების მიერ პარაფირებული ტექსტის დებულებები".

ამ წერილის საფუძველზე სახელმწიფოს მეთაურმა 1994 წლის 2 თებერვლის რეზოლუციით დაავალა ბატონებს ფაცაციას და კერვალიშვილს აღნიშნული გარემოების გათვალისწინება რუსეთის ვიცე-პრემიერთან ო. სოსკოვეცთან მოლაპარაკების პროცესში. გარდა ამისა, საგარეო საქმეთა სამინისტროს დაევალა ვერბალური ნოტის გაგზავნა რუსეთის მხარისადმი. დადგინდა, რომ ნოტა გაიგზავნა, მაგრამ მისი ამსახველი დოკუმენტები საგარეო საქმეთა სამინისტროს დღეისათვის არ მოეპოვება. რუსეთის მხარემ ნოტაზე რეაგირება არ მოახდინა.

1994 წლის 24 აპრილს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ო. ფაცაციამ გაუგზავნა წერილი რუსეთის მთავრობის თავმჯდომარეს ვ. ჩერნომირდინს, რომელშიც სთხოვდა საგარეო-ეკონომიკურ ბანკს და საქართველოს იურიდიულ და ფიზიკურ პირთა შორის ურთიერთვალდებულებების მოწესრიგებას, საქართველოსა და რუსეთს შორის ყოფილი სსრკს საგარეო ვალებისა და აქტივების შესახებ ხელშეკრულების ძალაში შესვლის დაჩქარების მიზნით. ბატონი ფაცაცია აღნიშნავდა, რომ წინასწარი სამუშაო ჩატარებულია და საჭიროა ორი ქვეყნის მთავრობათა გადაწყვეტილება, რისთვისაც მიზანშეწონილად მიიჩნევდა სრულუფლებიანი წარმომადგენლების შეხვედრის ორგანიზებას უახლოეს პერიოდში.

პასუხად, 1994 წლის 3 ივნისს, რუსეთის ფედერაციის დსთ წევრ-სახელმწიფოებთან თანამშრომლობის მინისტრის მოადგილე მ. ხუსნუტდინოვი ატყობინებს ო. ფაცაციას, რომ დსთ წევრი სახელმწიფოების საკოორდინაციო-საკონსულტაციო კომიტეტის 1994 წლის 2 მარტის გადაწყვეტილების „ყოფილი სსრკს შიდა სავალუტო ვალის რეგულირების ზომების შესახებ" საფუძველზე, იმავე წლის 25-26 მაისს მოსკოვში შედგა დსთ წევრი-სახელმწიფოების სრულუფლებიანი წარმომადგენლების თათბირი, რომელზეც საქართველოს დელეგაციას ხელმძღვანელობდა ფინანსთა მინისტრის მოადგილე ნ. ბაგრატიონი. თათბირის მსვლელობაში განხილულ იქნა შეთანხმების ორი პროექტი „ყოფილი სსრკს შიდა სავალუტო ვალის რეგულირების საკითხების პრაქტიკული მექანიზმის შესახებ". ერთი მათგანი მომზადებულია სომხეთის რესპუბლიკის მიერ, ხოლო მეორე მოამზადა საგარეო-ეკონომიკურმა ბანკმა. მოლაპარაკების მონაწილეები მივიდნენ საერთო დასკვნამდე იმის შესახებ, რომ ხელშეკრულების საგანს უნდა წარმოადგენდეს საკითხი ყოფილი სსრკს შიდა სავალუტო ვალის რეგულირების შესახებ მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც ეხება ფიზიკურ პირებს — ყოფილი საბჭოეთის მოქალაქეებს. ამასთანავე გადაწყდა, რომ მოლაპარაკება ხელშეკრულების შეთანხმებული ვარიანტის განხილვის თაობაზე შედგებოდა 1994 წლის 15 ივლისამდე (შედეგი უცნობია. არ გამოირიცხება, რომ განხილვა საერთოდ არ შემდგარა).

1995 წლის 30 ნოემბერს რუსეთის მხარემ ნოტით აცნობა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომ დაასრულა საჭირო მიდასახელმწიფოებრივი პროცედურები „ნულოვანი ვარიანტის" ძალაში შესვლისათვის. იმავე ნოტაში მითითებულია, რომ ხელშეკრულება შევა ძალაში საქართველოს მხრიდან საპასუხო ნოტის მიღების დღიდან. საქართველოს მხარემ არ უპასუხა არც ხსენებულ და არც მის მომდევნო ნოტებს, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის საელჩოს თანამშრომლები დაჟინებით ითხოვდნენ პასუხს ამ საკითხზე. რუსეთის მხარე აღნიშნავდა, რომ ჩვენი მხრიდან საჭირო პროცედურების განუხორციელებლობის შემთხვევაში, იგი იძულებული გახდებოდა ეცნობებინა პარიზის და ლონდონის კლუბებისათვის, რომ საქართველო თავად არის პასუხისმგებელი ყოფილი სსრკ-ს საგარეო ვალის მასზე გაპიროვნებული წილის გადახდაზე.

თ. ბაქრაძის მოხსენებით ბარათში არსებული მონაცემებით, ქართული მხარის დუმილი რუსეთის ნოტების მიმართ აიხსნებოდა რამდენიმე გარემოებით. ჯერ ერთი, საგარეო საქმეთა სამინისტროს არ მოეპოვებოდა ხელშეკრულების დედანი, რის გამოც შეუძლებელი იყო რაიმე პროცედურის განხორციელება მის მიმართ. მართალია, სამინისტრომ გამოითხოვა რუსეთიდან ხელმოწერილი დოკუმენტის დამოწმებული ასლი, რომელიც მიიღო კიდეც, მაგრამ იმავე დროს რუსეთის მხარემ თავი აარიდა პარაფირებული დოკუმენტის ასლის გამოგზავნას. კერძოდ, 1997 წლის 25 ივლისს რუსეთის საელჩოს საქართველოში გაეგზავნა ნოტა (№ 7/1482), რომელიც შეიცავდა თხოვნას პარაფირებული დოკუმენტის გადმოცემის თაობაზე. პასუხად რუსეთის მხარემ განაცხადა, რომ „... ძიების შედეგად რუსეთის ფედერაციის სამინისტროებისა და უწყებების არქივებში პარაფირებული ტექსტი ვერ იქნა აღმოჩენილი". გარდა ამისა, საგარეო საქმეთა სამინისტრო თვლიდა, რომ შეთანხმების რატიფიცირება მოუსპობდა ქვეყანას პოლიტიკური მანევრის საშუალებას რუსეთთან ურთიერთობაში. საყურადღებოა, რომ დღემდე არ არის ცნობილი ყოფილი სსრკს აქტივების ზუსტი ოდენობა, რაც სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენდა ხელშეკრულების რატიფიცირების გზაზე.

საკითხის ღიად დატოვებას ხელს უწყობდა ისიც, რომ ხელმოწერილი დოკუმენტის ტექსტი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა პარაფირებული ტექსტისაგან. საგარეო საქმეთა სამინისტროს ექსპერტები აღნიშნავენ, რომ თვით საერთაშორისო სამართლის რუსი სპეციალისტების აზრით, პარაფირების შემდეგ ხელშეკრულების ტექსტის შეცვლა დაუშვებელია, უფლებამოსილ პირთან შეთანხმებითაც კი.

სავარაუდოა, რომ ხელშეკრულების ხელმოწერის პროცესში საქართველოს პრემიერ-მინისტრს არ ჰქონდა ტექსტის აუტენტურობის შემოწმების საშუალება. უცნობია, რატომ არ მოახდინეს ტექსტის აუტენტურობის საექსპერტო შეფასება დელეგაციის წევრებმა. ნიშანდობლივია, რომ „ნულოვანი ვარიანტი" ემყარება დსთს ფარგლებში დადებულ რამდენიმე მრავალმხრივ ხელშეკრულებას, რომლებიც მოყვანილია შეთანხმების პრეამბულაში. საკითხის დეტალური ანალიზი ცხადყოფს, რომ ამ ხელშეკრულებების არსი გარკვეულწილად ეწინააღმდეგება „ნულოვანი ვარიანტის" დებულებებს. კერძოდ, პრეამბულაში მითითებული დოკუმენტები განსაზღვრავენ ყოფილი საბჭოეთის აქტივების განაწილების პრინციპებს, რომლებსაც პრაქტიკულად აბათილებს 1993 წლის 14 სექტემბრის შეთანხმება.

ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ შესაბამის არგუმენტებს, პრეამბულაში ნახსენები დოკუმენტების გამოყენებით:

1. 1991 წლის 4 დეკემბრის კოლექტიური ხელშეკრულება „ყოფილი სსრკს სახელმწიფო ვალისა და აქტივების სამართალმემკვიდრეობის შესახებ".

დოკუმენტის პრეამბულაში ნათქვამია, რომ „შეუძლებელია სსრკს საგარეო ვალის დაფარვის გარანტირება, სსრკს აქტივების გაყოფის გარეშე". იქვე მითითებულია, რომ ხელშეკრულება ემყარება საერთაშორისო სამართლის ნორმებს და ვენის კონვენციას „სახელმწიფო საკუთრების, არქივებისა და ვალების სამართალმემკვიდრეობის შესახებ" (საქართველო შეუერთდა ამ კონვენციას 1993 წლის 9 ივნისს). როგორც შემოთაა ნათქვამი, ხელშეკრულების პირველი მუხლის „ბ" პუნქტი განსაზღვრავს ყოფილი საბჭოეთის აქტივებს, რომლებიც ექვემდებარებიან გაყოფას.

ხელშეკრულების მე-4 მუხლით დადგენილია თითოეული მონაწილის წილი სსრკს ვალებსა და აქტივებში. საქართველოს წილმა ერთიანი აგრეგირებული მაჩვენებლის საფუძველზე შეადგინა 1,62 პროცენტი. წილების აბსოლუტური გამოხატულება უნდა დადგენილიყო 1992 წლის 20 დეკემბრისთვის. ამ პროცედურის შედეგები ჩვენთვის უცნობია ისევე, როგორც უცნობია, ვინ და რა გზით გამომუშავა ხელშეკრულების დანართში მოყვანილი მონაცემები და საქართველოს წარმომადგენლების მონაწილეობა მათ დადგენაში.

მონაცემების თანახმად, სსრკს ვალი შეადგენდა 81 მილიარდ აშშ დოლარს. საქართველოს ვალი, დაუზუსტებელი მონაცემებით, 1, 389 მილიარდ აშშ დოლარს (833 მლნ. მანეთს). იმავე მონაცემების საფუძველზე საქართველოს ერგებოდა განვითარებადი ქვეყნებისაგან 719,28 მლნ. მანეთი, ხოლო ყოფილი სოციალისტური ქვეყნებიდან 775,98 მლნ. მანეთი, გარდა ამისა, საქართველოს ეკუთვნოდა 2,4 ტონა ძვირფასი ლითონები.

სსრკს არაფულადი აქტივები, მათ შორის, ალმასის ფონდი, ისევე როგორც საზღვარგარეთ არსებული ქონება შეფასებული არ ყოფილა. სადღეისოდ ამ შეთანხმების არც ერთი მუხლი შესრულებული არ არის.

2. 1992 წლის 13 მარტის შეთანხმება „ყოფილი სსრკს საგარეო სახელმწიფო ვალისა და აქტივების სამართალმემკვიდრეობის შესახებ ხელშეკრულების დამატების შესახებ".

შეთანხმება მოიცავს დებულებას სახელმწიფოთაშორისო საბჭოს შექმნის თაობაზე, რომელიც უზრუნველყოფს საგარეო ვალის მომსახურების სპეციალურად განსაზღვრული წესის რეალიზებას.

დღემდე უცნობია საქართველოს წარმომადგენლის ვინაობა, რომელმაც ხელი მოაწერა ამ დოკუმენტზე.

განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ შეთანხმებაში მოყვანილი აგრეგირებული მონაცემების განსაზღვრის პრინციპს არ დაეთანხმა უზბეკეთი, რომელმაც გააკეთა სპეციალური განცხადება და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ხელი არ მოაწერა 1991 წლის 4 დეკემბრის ხელშეკრულებას. უზბეკეთი, ასევე, არ დაეთანხმა სახელმწიფოთაშორისო საბჭოში გადაწყვეტილებების მიღების წესს, რომლის მიხედვითაც რუსეთს შეეძლო ნებისმიერი გადაწყვეტილების დაბლოკვა ხმათა უმრავლესობის (61,34 პროცენტი) ფლობის ხარჯზე.

3. 1991 წლის 30 დეკემბრის „დსთ წევრი სახელმწიფოების მეთაურთა შეთანხმება ყოფილი სსრკს საზღვარგარეთ არსებული საკუთრების შესახებ".

შეთანხმებაში დეკლარირებულია, რომ „დსთ წევრი სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული მათგანის უფლებას შესაბამისად ფიქსირებულ სამართლიან წილზე ყოფილი სსრკს საზღვარგარეთ არსებულ საკუთრებაში და ხელს შეუწყობენ ამ უფლების რეალიზებას". ამავე შეთანხმებით იქმნებოდა სახელმწიფოთაშორისო კომისია სსრკს საზღვარგარეთ არსებული საკუთრების განაწილების პრინციპებისა და კრიტერიუმების გამომუშავების მიზნით.

საქართველოს ამ დოკუმენტზე ხელი არ მოუწერია, მაგრამ იგი მაინც ფიგურირებს „ნულოვანი ვარიანტის" პრეამბულაში.

4. 1992 წლის 6 ივლისის „შეთანხმება ყოფილი სსრკს საზღვარგარეთ არსებული მთლიანი საკუთრების განაწილების შესახებ".

საქართველოს წარმომადგენლებს აღნიშნული დოკუმენტისათვის ხელი არ მოუწერიათ. საყურადღებოა, რომ უზბეკეთმა ამ შეთანხმებასაც გაუკეთა შენიშვნა იმის თაობაზე, რომ არ ეთანხმება აგრეგირებული მონაცემების საფუძველზე ჩამოთვლილ მის წილს ყოფილი სსრკს ქონებაში.

5. 1991 წლის 28 ოქტომბრის „მემორანდუმი სსრკ და მისი სამართალმემკვიდრეების უცხოელი კრედიტორების ვალის მიმართ ურთიერთგაგების შესახებ".

საქართველო შეუერთდა მემორანდუმს 1992 წლის 28 ოქტომბერს, მაგრამ ჩვენი მხრიდან ხელმომწერის ვინაობა აქაც უცნობია. მემორანდუმი ითვალისწინებს სპეციალური ორგანოს შექმნას დასავლეთის ქვეყნებისადმი ვალის გადახდის მომსახურებისთვის.

6. 1993 წლის 2 აპრილის „მონაწილე კრედიტორი ქვეყნების წარმომადგენელთა განცხადება".

მასში პარიზის კლუბი სსრკს ქონების გაყოფის აუცილებელ პირობად მიიჩნევს ორმხრივი შეთანხმებების გაფორმებას რუსეთის ფედერაციასა და ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს შორის.

გასათვალისწინებელია „ნულოვანი ვარიანტის" ხელმოწერილი ტექსტის მე-5 მუხლის რედაქცია, რომელშიც ნათქვამია: „წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლის მომენტიდან მხარეებს შორის არსებული ყველა საკითხი ყოფილი სსრკ საგარეო სახელმწიფო ვალისა და აქტივების მიმართ, რომელიც ნახსენებია მის პრეამბულაში ჩამოთვლილ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებში, ითვლება სრულიად დარეგულირებულად".

დღევანდელი გადმოსახედიდან შეიძლება ითქვას, რომ „ნულოვან ვარიანტზე" ხელის მოწერა საქართველოს მხრიდან განპირობებულია პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების ანალოგიური პოზიციით, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის აზრით და რუსეთის მხარის ზეწოლით. უკანასკნელ თეზისს ადასტურებს ის გარემოებაც, რომ საქართველოს და რუსეთის მხარის მთავრობების წარმომადგენელთა შეხვედრაზე ქალაქ სოჭში 1993 წელს, რუსეთის მხარემ არაოფიციალურ საუბრებში ცალსახად მიანიშნა, რომ „ნულოვან ვარიანტზე" შეუთანხმებლობის შემთხვევაში იგი არ აპირებდა რეალური აქტივების გადმოცემას საქართველოსთვის, რაც ჩვენთვის ეკონომიკურად არახელსაყრელი იყო (კ. პოპიაშვილის ახსნა-განმარტება).

აღსანიშნავია, რომ „ნულოვანი ვარიანტის" რატიფიცირება დღემდე არ მოუხდენია უკრაინას. ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის ხელისუფლება მოითხოვს სსრკს აქტივების საბაზრო ღირებულების დადგენას საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით. ისიც საინტერესოა, რომ საქართველომ და უკრაინამ გააგზავნეს სათანადო ნოტები საზღვარგარეთის მრავალ სახელმწიფოში და წინ აღუდგნენ ამ უკანასკნელების ტერიტორიაზე არსებული ყოფილი სსრკს ქონების გადაფორმებას რუსეთზე, როგორც სსრკს ერთადერთ სამართალმემკვიდრეზე. ნოტებს რამდენიმე ქვეყანა გამოეხმაურა კიდეც.

* * *

მამასადამე, საქართველომ მოახდინა „ნულოვანი ვარიანტის" პარაფირება. ბოლო მონაცემებით, უკრაინაც აპირებს „ნულოვანი ვარიანტის" პარაფირებას. როგორც ჩანს, უკრაინაც ხედავს, რომ ამ საქმიდან დიდი ვერაფერი გამოდნება.

უნდა ითქვას, რომ „ნულოვანი ვარიანტის" პარაფირების წინაშე თვით ცხოვრებამ, ჩვენმა დღევანდელმა მეჭირვებამ დაგვაყენა. საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციები უამისოდ გვიჩერებდნენ დაახლოებით 140 მლნ. დოლარის მოწოდებას. მეორე მხრივ, რუსეთი გვაიძულებდა მისი ვალის გადახდას. რუსეთს შეიძლება მოჰყოლოდა ავსტრია, თურქმენეთი, სომხეთი და ა. შ. საბოლოო ჯამში, უნდა გადაგვეხადა დაახლოებით 600 მილიონი ლარი. ეს მაშინ, როცა ჩვენი ბიუჯეტი ძლივს აჭარბებს 800 მილიონს. საიდან უნდა გაგვეცა ხელფასები, პენსიები, დახმარებები და სხვა. ქვეყანა დგებოდა სოციალური კატასტროფის წინაშე, რასაც ჩვენი მოსახლეობა ველარ გაუძლებდა.

საქართველოს პრეზიდენტმა ეს მომენტი ასე შეაფასა: „შედეგი იქნებოდა უმძიმესი, შესაძლებელია, კატასტროფულიც. კატასტროფული — ქვეყნისათვის და არა მხოლოდ ხელისუფლებისათვის".

ამასთან, ზღაპარია ისიც, თითქოს ჩვენ რუსეთის აქტივებს (7 მილიარდს) წავგლეჯდით. ცოცხალი თავით იგი ამას არ გააკეთებდა. და საბოლოოდ აჯობა იმ ვარიანტმა, რაც 16 თებერვალს დავაკანონეთ.

„სრულიად არასაიდუმლოდ".
№ 2. 2001 წ.

იბეჭდება რედაქციის თავაზიანი ნებართვით.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

პრობლემა

ახლახან პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტში განხილულმა საკითხმა — გვჭირდება თუ არა სამხედრო კათედრები — კიდევ ერთხელ თვალნათლივ დაგვანახა ამ პრობლემის სირთულე.

ანტიკორუფციულმა შეიდკაცამ თავის პროგრამაში ერთმნიშვნელოვნად, დამაჯერებლად მიუთითა, რომ უმაღლეს სასწავლებლებში (განსაკუთრებით, იმ კომერციულ ანუ „საერო" სასწავლებლებში, რომლებსაც, ვითომ, სამხედრო კათედრები აქვთ!) არსებული სამხედრო განათლების სისტემა კორუფციის ბუდეა და უნდა გაუქმდესო!

ჩვენ ინტელექტუალი ჯარისკაცები გვჭირდება და ისინი მხოლოდ განათლებულმა ოფიცრებმა უნდა აღზარდონო — ერთხმად ამბობენ უმაღლესი სასწავლებლების სამხედრო კათედრათა გამგეები და თვით რექტორებიც კი.

თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძე მხარს უჭერს ანტიკორუფციულ ჯგუფს და პარლამენტის კომიტეტში შეკრებილ „მოწინააღმდეგე მხარის" წარმომადგენლებს ხაზგასმით ეუბნება: თქვენ ვერ ზრდით ისეთ კვალიფიციურ ოფიცრებს, ჩვენს ჯარს, მის ახალ ყაიდაზე გარდაქმნის ზესახელმწიფოებრივ მოთხოვნებს რომ უპასუხებსო.

კამათი კამათად, მაგრამ, გენერალ-ლეიტენანტი დავით თევზაძე, ამ შემთხვევაში, ცამდე მართალია.

თუმცაღა, ისიც უთუოდ გასათვალისწინებელია, რაიც ჩვენი დედაუნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა ბრძანა: სამხედრო კათედრების დაშლა ადვილია, მაგრამ... აი, მალე, ისევ აღდგენა რომ დაგვჭირდეს, ძალიან გაგვიჭირდებაო.

რამდენიმე სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებელს, ალბათ, მართლაც უნდა ჰქონდეს სამხედრო კათედრა, მაგრამ იქ სწავლების სისტემა მთლიანად გარდასაქმნელია, რომ კორუფციის ყოველგვარი შესაძლებლობა გამოირიცხოს...

ვნახოთ, ამ პრობლემების გარშემო დისკუსია სად მიგვიყვანს... მანამ კი, გთავაზობთ თსუ სამხედრო კათედრის ხელმძღვანელის თვალსაზრისს.

სპარტაკ ძოგულია.

გვჭირდება თუ არა სამხედრო კათედრები

სახელმწიფო სახელმწიფოს ჰგავს მაშინ, თუ მას ძლიერი ჯარი ჰყავს. დღეს კი, საქართველოს ჯარს, რეალურად, დაშლა ემუქრება. თავი და თავი ყოველგვარი გაჭირვებისა, ეკონომიკური სიდუხჭირეა. მოსახლეობის უმეტესი ნაწილი სიღატაკის ზღვარს მიღმაა, ზოგიერთებისთვის კი, კორუფცია და მომხვეჭელობა ცხოვრების წესად იქცა. ქართული ჯარიც სწორედ ამას ეწირება.

ეროვნული ანტიკორუფციული პროგრამის ძირითადი მიმართულებების პროექტში პირდაპირ არის მინიშნებული ქართველი და უცხოელი ექსპერტების მიერ შემუშავებული რეკომენდაციების განხორციელების აუცილებლობა. შეიარაღებული ძალების ეფექტიანობის ასამაღლებლად და სამოქალაქო კონტროლის ქმედითი სისტემების ჩამოსაყალიბებლად ითხოვენ სამხედრო კათედრების გაუქმებას. ამ წინადადებას კატეგორიულად ვერ დავეთანხმებით. ამას წინათ ტელევიზიით ვიხილე თავდაცვის სამინისტროს კადრების მთავარი სამმართველოს უფროსის, პოლკოვნიკ დ. ლეჟავას გამოსვლა იმის თაობაზე, რომ, თითქოსდა, დღეს საქართველოს ჰყავს 80.000 რეზერვის ოფიცერი და ამის გამო შეიარაღებულ ძალებში სავალდებულო სამხედრო სამსახურისათვის წვევამდელთა გაწვევის გეგმა ვერ სრულდება! ძირითადად, ამ ნაგეტი ოფიცრების მიზეზით უნდა გაუქმდესო სამხედრო კათედრები! იქვე მინიშნებული იყო, რომ ტექნიკური უნივერსიტეტის სამხედრო კათედრის ბაზა დარჩება ოფიცერთა გადამზადების ცენტრად... იბადება კითხვა, — სადღაა ის 80.000 რეზერვის ოფიცერი? უმეტესი ნაწილი ახალგაზრდა რეზერვის ოფიცრებისა ხომ გასულია საზღვარგარეთ, ხოლო რაც-დარჩა, მუშაობს სხვადასხვა ძალოვან სტრუქტურაში და ირიცხება მათ პირად შემადგენლობაში. პარადოქსია ისიც, რომ შეიარაღებულ ძალებში გაწვევა ამის პარალელურად ხდება და წვევამდელები იკავებენ იმ დეზერტირების ადგილს, რომლებმაც თვითნებურად მიატოვეს სამხედრო ნაწილები!

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის სახე ჩვენი მომავალი თაობისა, რომელიც მუდამ მზად უნდა იყოს საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და ეროვნული ინტერესების დასაცავად.

უნივერსიტეტის სამხედრო კათედრა 1943 წელს გაიხსნა. მან მრავალი საჭირო სპეციალობის ოფიცერი გაზარდა, რომლებიც თავისი ცოდნითა და ინტელექტით არ ჩამოუვარდებოდნენ ყოფილი საბჭოთა კავშირის სამხედრო სასწავლებლებში მომზადებულ ოფიცრებს. ჩვენ ვამაყობთ, რომ უნივერსიტეტის სამხედრო კათედრა დაამთავრეს თავდაცვის მინისტრმა, გენერალ-ლეიტენანტმა დ. თევზაძემ, გენერალური შტაბის უფროსმა, მინისტრის პირველმა მოადგილემ, გენერალ-ლეიტენანტმა ჯ. ჯორჯხალაიშვილმა. სამხედრო კათედრას სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ გენერალ-მაიორი გ. ყურაშვილი, გენერალ-ლეიტენანტი ა. ჯანჯღავა, გენერალ-მაიორი გ. კობერიძე, გენერალ-მაიორი მ. ბაიაძე... დღეს, დამოუკიდებელ საქართველოს კიდევ უფრო მეტად სჭირდება დაცვა, ხდება კი პირიქით. ვისაც სურს სამხედრო კათედრები კორუფციის წყაროდ წარმოაჩინოს, ძალიან ცდება. სამხედრო კათედრების გაუქმებამ ფრიად სავალალო მდგომარეობამდე შეიძლება მიგვიყვანოს. კმარა ის უბედურება, რაც საქართველომ აფხაზეთის ომში განიცადა. მაინც, რა იყო მიზეზი ომის ასე სამარცხვინო წაგებისა? მიზეზი მრავალია — ყველაზე მთავარი კი მაინც ის არის, რომ მებრძოლთა უმეტესმა ნაწილმა არ იცოდა ელემენტარული საბრძოლო მოქმედება, არ იცოდა საბრძოლო იარაღის გამოყენება. ჩვენ უნდა ვიზრუნოთ არა სამხედრო კათედრების გაუქმებაზე, არამედ მათ გაძლიერებაზე, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფაზე. მართალია, ეკონომიკურად უჭირს საქართველოს, უჭირს თავდაცვის სამინისტროს და შეიარაღებული ძალების დაფინანსებაც უმოწყალოდ შემცირებულია, მაგრამ ყველამ ერთად უნდა ვეძებოთ გამოსავალი.

სამხედრო კათედრების შესაძლო გაუქმებას ფართოდ გამოეხმაურა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამხედრო კათედრის ყველა კურსანტი, სასწავლო ოცეულებში ყოველდღიურად იმართებოდა შეხვედრები, დისპუტები. კურსანტები მსჯელობდნენ თსუ-ში სამხედრო კათედრის არსებობის მიზანშეწონილობის შესახებ, უმწვავესი საუბარი იყო არა მარტო სამხედრო კათედრის ადგილსა და როლზე საქართველოს ჯარის ჩამოყალიბების საქმეში, არამედ იმ სენზეც, რომელსაც კორუფცია ჰქვია. მათი დასკვნა ასეთია: რადაც უნდა დაგვიჯდეს, სამხედრო კათედრა უნდა შევინარჩუნოთ, რადგანაც სამხედრო სწავლების გაუქმება სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში ზურგში სამხედრო რეზერვის მოსპობას გამოიწვევს. ეს უკანასკნელი კი, ერთადერთი საშუალება გახლავთ, საგანგებო მდგომარეობისას გააწონასწოროს საქართველოს სამხედრო შესაძლებლობები, თუნდაც მეზობელ სახელმწიფოებთან.

აუცილებელია დაჩქარდეს რეფორმები თვით თავდაცვის სამინისტროში. სამინისტრო უნდა გაიწმინდოს არაპროფესიონალი, შემთხვევითი ოფიცრებისა და მაღალჩინოსნებისგან, თავდაცვის სამინისტროში უნდა დაბრუნდნენ მაღალი ინტელექტის, პატრიოტული სულისკვეთებით აღსავსე ოფიცრები, თავდაცვის სამინისტრომ უნდა შექმნას ყოველგვარი პირობა, რათა ჯარისკაცმა აღარ მიატოვოს მისთვის ჯოჯოხეთად ქცეული სავალდებულო სამხედრო სამსახური.

თავდაცვის სამინისტროს, ჩვენი აზრით, უნდა აეკრძალოს სამხედრო კათედრების ბაზაზე სასწავლო შეკრებების გამართვა და ისინი სამხედრო ნაწილებში გაიმართოს. ასევე, რეზერვის ოფიცრების მომზადებისა და მათზე წოდების მინიჭების თავიდან აცილების მიზნით, ყველა სამხედრო კათედრაგავლილი სტუდენტი უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ გაწვეულ იქნეს შეიარაღებულ ძალებში დადგენილი წესით, ხოლო სამსახურის შემდეგ, თავდაცვის სამინისტრომ ჯარისკაცებს შერჩევით მიანიჭოს რეზერვის ოფიცრის წოდება, დანარჩენები ჩაირიცხონ რეზერვში. ეს თავისთავად შექმნის საფუძველს, რომ გვყავდეს განათლებული, ძლიერი არმია.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტში, ძირითადად, სწავლობს ის ჯანსაღი და პროგრესულად მოაზროვნე ახალგაზრდობა, რომელსაც შესწევს უნარი დაიცვას საქართველოს დამოუკიდებლობა, ერთიანობა და თვითმყოფადობა, როგორც სიტყვით, ისე საქმით, ამისთვის საჭიროა ყველა ახალგაზრდამ ნებაყოფლობით გაიაროს სამხედრო კათედრაზე სწავლება. ეს საშუალებას მოგვცემს აღვზარდოთ ისეთი დონის სპეციალისტები, რომლებიც თავიანთი ცოდნითა და ქცევით დადგებიან ერთი საფეხურით მაღლა, ვიდრე მოქმედ ჯარში მომსახურე პერსონალი.

გივი ამირხანაშვილი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამხედრო კათედრის უფროსი, პოლკოვნიკი.

დაბეჭდილი და შემოსული წერილების კვალდაკვალ

ნუთუ ბავშვებს მართლა წაართმევენ ზუბალაშვილების დანატოვარს?

არაფერი უნდა დაემუქროს „უსაფრთხო დედობისა და ბავშვთა გადარჩენის" პროგრამას

სამი წლის წინათ „საქართველოს რესპუბლიკის" 17 სექტემბრის ნომერში ქართველი ინტელიგენციის ცნობილმა წარმომადგენლებმა განგაშის ზარი შემოჰკრეს ძმები ზუბალაშვილების ქუჩაზე მდებარე თითქმის საუკუნოვანი ბავშვთა პირველი საავადმყოფოს გადასარჩენად. ქვეყნის პრეზიდენტის, ჯანდაცვის სამინისტროს, თბილისის მერიისა და საკრებულოს მესვეურთა ჩარევით ბავშვთა პირველი საავადმყოფო მაშინ პრივატიზაციას გადაურჩა, უზრუნველყოფილი იქნა ბავშვთა გადაუდებელი დახმარების ფედერალური და მუნიციპალური პროგრამით. თბილისის საკრებულოს მიერ მიღებული საგანგებო გადაწყვეტილების საფუძველზე მაშინ მფარველი ვალდებულებებიც იქნა აღებული, მაგრამ უკანასკნელ პერიოდში ჩვენთან კვლავ შემოვიდა მოსახლეობის ხელმოწერებით კორესპონდენციები, მოგვმართავენ თვით ზუბალაშვილების შთამომავლებიც. ისინი შიშობენ, რომ ამ ისტორიულ, რეგიონული მნიშვნელობის საავადმყოფოს კვლავ საფრთხე ემუქრება და ქვეყნის ხელისუფალთა ყურადღებას ითხოვენ.

ადამიანების მეხსიერებაში ზოგიერთი მოვლენა იმ სიმკვიდრითა და სიმტკიცით იწერება, რომელზეც დრო არ მოქმედებს.

ეს ეხება თბილისის ბავშვთა პირველ კლინიკურ საავადმყოფოსაც, სადაც მუდამ ერთმანეთს ეჯახება წარსული და მომავალი.

მომავალი წარსულის გარეშე არ არსებობს და ცნობილმა ძმებმა ზუბალაშვილებმა ისე, როგორც არაერთ კეთილ საქმეს საქართველოში, მას საფუძველი ჩაუყარეს. საავადმყოფოს შენობაც 1902-1906 წლებში მათ უპოვართათვის ააგეს. 1937 წლიდან კი ის პედიატრიის მესვეურთა ძალისხმევით ბავშვთა ჯანმრთელობის სამჭედლოდ იქცა. დაფუძნდა ქართული პედიატრიის ფუძემდებლის სიმონ გოგიბეძის მოსწავლის ილია ლორთქიფანიძის თაოსნობით. 150-საწოლიან საავადმყოფოს ჰქონდა თერაპიული, ქირურგიული, ნერვული, ყელ-ყურის განყოფილებები; კლინიკურ-დიაგნოსტიკური, ბიოქიმიური, ბაქტერიოლოგიური, ექსპერიმენტული ლაბორატორიები; ფიზიოთერაპიის, რენტგენის კაბინეტები... მის ჭერქვეშ 64-ე წელიწადია ბევრის სიცოცხლე გადარჩენილა.

ამის დავიწყება არ შეიძლება

სამი წლის წინათ, როცა ამ ღირსეული ფუნქციის მატარებელ საავადმყოფოს განადგურების რეალური საფრთხე შექმნა, ჩვენს რედაქციას თხოვნით მომართეს ჭაბუა ამირეჯიბმა, ვახტანგ ბერიძემ, მერაბ ბერძენიშვილმა, მარიამ ლორთქიფანიძემ, ნოდარ გაბუნიამ, გიორგი გეგეჭკორმა, რისმაგ გორდეზიანმა, ტასო ზუბალაშვილმა (ზუბალაშვილების შთამომავალმა), ოთარ მელვინეთუხუცესმა, მედეა ჩახავამ, დოდო ჭიჭინაძემ, მანანა დოიჯაშვილმა და სხვებმა (თხოვნას ხელს აწერდა ინტელიგენციის 60 წარმომადგენელი), მათ შემოჰკრეს მაშინ განგაშის ზარი — ბავშვებს ზუბალაშვილების დანატოვარს ართმევენო! საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის, ჯანმრთელობის სამინისტროს, თბილისის მერიისა და საკრებულოს ჩარევით საავადმყოფო ამ საფრთხეს გადაურჩა.

საზოგადოებრივ აზრს მხარს უჭერენ

ამ პერიოდს დაემთხვა საავადმყოფოს იუბილე. მაშინ იქ, ზუბალაშვილების შთამომავლების ტასო და ნინო ზუბალაშვილების თანდასწრებით იმედისმომცემად გაისმა თბილისის მესვეურთა და ჯანდაცვის მინისტრის სიტყვები:

ივანე ზოდელავა, თბილისის მერი: — ...გამოიყოფა თანხა საავადმყოფოს კაპიტალური რემონტისათვის, არ მოაკლდება ყურადღება. მერია იზრუნებს ლამარა გვენცაძის წიგნის „ბავშვთა პირველი საავადმყოფო 60 წლისაა" გამოსაცემად (საავადმყოფოს კოლექტივს სჯერა მერის, რომლის წინაპრებმა დიდი ამაგი დასდეს ამ დაწესებულებას. თუმცა მოხდა კი ისე, რომ წიგნი გერმანიაში მოღვაწე მაგული გორდელაძის პაციენტთა დანაზოგით გამოიცა).

ლადო კახაძე, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე: — ...ყველა გზას ამ გარდამავალ, რთულ პერიოდში ფულთან მივყავართ. ვეცდებით, მეწარმეები დავაინტერესოთ... ვეცდებით, ყველაფერი გაკეთდეს ბავშვთა პირველი საავადმყოფოს სასარგებლოდ. აქ ხომ ერთმანეთს ხვდება წარსული და მომავალი... მომავალ თაობას ქველმოქმედების სული უნდა დახვდეს (საავადმყოფოს კოლექტივმა მაშინაც დაიჯერა და დღესაც სჯერა მისი კეთილმოსურნეობის).

ავთანდილ ხორბენაძე, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრი: — ... მიუხედავად ყველაფრისა, ვერ დავივიწყებთ მათ, ვინც ამაგი დასდო პედიატრიას. დიდებული ტრადიციის მქონე ამ საავადმყოფოში დროის მოთხოვნის მიხედვით არის აუცილებელი ტექნოლოგიის განვითარება. უნდა შედგეს საგანგებო პროგრამა, გამოიკვეთოს ამ დაწესებულების პროფილი, თუნდაც მიუსაფარ ბავშვთა მოვლა, მკურნალობა. თუ შეთანხმება იქნება, თანხის ნაწილს მერია გაიღებს, ჯანდაცვის სამინისტროც (საავადმყოფოს კოლექტივმა მაშინ დაიჯერა და დღესაც სჯერა თავისი მინისტრის სიტყვებისა)...

ესეც უნდა გახსოვდეს!

იუბილედან ერთი თვის შემდეგ საკრებულომ 1999 წლის 12 იანვარს, იმისათვის, რომ საავადმყოფოს ტრადიცია არ დარღვეულიყო და არ გაკოტრებულიყო, საგანგებო დადგენილების საფუძველზე საავადმყოფო თბილისის მერიას ადგილობრივ საკუთრებაში გადასცა და მისი არსებობისათვის აუცილებელი მფარველი ვალდებულებებიც ითავა. საავადმყოფოს თანამშრომლები განსაკუთრებული მადლიერებით აღნიშნავენ მაშინდელ საკრებულოს მდივნის ნანა დევდარიანის წვლილს. საქართველოს პრესამ და ტელევიზიამაც მაშინ ფართოდ გააშუქა ეს მოვლენები...

დანაპირები უნდა შესრულდეს

დღეს კვლავ ღელავს საავადმყოფოს კოლექტივი, მის მომსახურებას მიჩვეული მოსახლეობა, ღელავენ ზუბალაშვილების შთამომავლები, რადგან შიშობენ, რომ საავადმყოფო კვლავ საფრთხის წინაშეა. ისინი ითხოვენ პრეზიდენტის, პარლამენტის, შესაბამისი სამინისტროს, თბილისის მერიისა და საკრებულოს მესვეურთა ყურადღებას და კვლავ მწვავედ დგება ბავშვთა პირველი საავადმყოფოს გადარჩენა-შენარჩუნების აუცილებლობა. გვესაუბრება **საავადმყოფოს პედიატრიული განყოფილების ხელმძღვანელი, ეგნატე ფიფიას სახელობის სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორი დალი ლეჟავა:** — კანონზომიერად მიგვაჩნია საზოგადოების გამოკვეთილი აზრი ჩვენი საავადმყოფოს მიმართ, რადგან ის უნიკალური შენობაა და აღიარებულია როგორც არქიტექტურის ისტორიული ძეგლი. მას სახელმწიფო იცავს. ნუ დაგვავიწყდება, რომ დედაქალაქის ადმინისტრაციულ ცენტრში მეტად მოხერხებული მდებარეობის გამო დიდია მისი, როგორც ბავშვთა გადაუდებელი დახმარების გარანტის რეგიონული ფუნქციაც; ადვილად მისადგომია არა მარტო თბილისის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისათვის (მთაწმინდა, სოლოლაკი, ვერა, ვაკე, აგრეთვე, კრწანისის, ჩუღურეთის, საბურთალოს რაიონები), არამედ 60 წელიწადზე მეტია იგი მოხერხებული რეგიონული სტაციონარია თბილისის შემოგარენისათვის (წავკისი, მინდელი, ტაბახმელა, სართიჭალა, თელეთი, ფონიჭალა, ოქროყანა, წყნეთი, კოჯორი).

კლინიკა, მიუხედავად მცირე მოცულობისა, მრავალპროფილიანია და ასრულებს გადაუდებელ ზოგადსომატურ-პედიატრიულ, ქირურგიულ, ნევროლოგიურ, ოტორინოლარინგოლოგიურ დახმარებას, ასევე ოფთალმოლოგიურ, დერმატოლოგიურ, სტომატოლოგიურ, რეაბილიტაციურ მომსახურებას; სამი ათეული წელიწადია იგი პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კლინიკური ალერგოლოგიისა და იმუნოლოგიის განყოფილებასთან ერთად გამორჩეულად ეწევა ბავშვთა ალერგიულ მომსახურებას, მუშაობს ბავშვთა ალერგიის პრობლემებზე და ბავშვთა რესპუბლიკურ ალერგოლოგიურ ცენტრად ითვლება, საავადმყოფოს სტრუქტურაში შედის ალერგიული დისპანსერი, სადაც აღრიცხვაზეა სხვადასხვა ალერგიული დაავადებებით 3000-მდე ბავშვი. უკვე გაიხსნა და წარმატებით მუშაობს სამშობიარო განყოფილებაც. კლინიკა არის პედიატრიის სკპ-ის, სამედიცინო ინსტიტუტებისა და კოლეჯების სასწავლო-კვლევითი ბაზა.

მიუხედავად გამორჩეულობისა, ჯანდაცვის სისტემაში შექმნილი პრობლემების გამო პერიოდულად სულ დგება ფედერალური პროგრამით საავადმყოფოს უზრუნველყოფის პრობლემა. თავისი დანაპირების შესრულება ვერც მერიამ და საკრებულომ მოახერხეს. 2001 წლის იანვრიდან — 0-3 წლამდე ბავშვთა უფასო გადაუდებელი დახმარების პროგრამა და სახელმწიფო სადაზღვევო კომპანიასთან ხელშეკრულება კვლავ შეწყვეტილია. ფინანსდება მხოლოდ უკიდურესად მძიმე, კრიტიკული მდგომარეობები. სასწრაფო დახმარების სამსახურს, რომლის 0-3 წლამდე ბავშვთა გადაუდებელი მომსახურების მორიგეობის განრიგში ჩვენი საავადმყოფო, მოხერხებული მდებარეობის გამო, სხვა კლინიკებისგან განსხვავებით ყოველდღიურად იყო ჩართული, პროგრამის შეჩერების შემდეგ ავადმყოფი ვეღარ მოჰყავს. იძულებულები ვართ, თვითდინებით მოსული პატარა პაციენტებს უარი ვუთხრათ. სიძნელეებს ვაწყდებით ალერგიულ ავადმყოფებთან, რადგან მშობლებს არ უნდათ მათი სხვა კლინიკებში მოთავსება (ადრეულ ასაკში კი გახშირდა კანის მძიმე ალერგიული, პულოგური, ტოქსიკური დაზიანებები, ბრონქული ასთმა).

საერთოდ პათოლოგიური მდგომარეობები ადრეული ასაკის ბავშვებში განსაკუთრებულად სწრაფი და სახიფათო დინამიკით ხასიათდება და არ შეიძლება სამედიცინო პერსონალს სამუშაო ადგილზე არ ჰქონდეს საშუალება, საფუძვლიანი კვლევა და მკურნალობა გაუწიოს ასეთი მაღალი რისკის კონტინგენტს, რათა თავიდან აიცილოს ის კრიტიკული მდგომარეობები, რომელთა მკურნალობა ბევრად დიდ თანხებს მოითხოვს და ნაკლები წარმატებითაც მთავრდება.

დღეს, როდესაც საავადმყოფოში გადახდისუნარიანი პაციენტი პრაქტიკულად არ მოდის, გაჭირვებულ ოჯახებს კი ავადმყოფი ბავშვის შორს წაყვანის საშუალება არა აქვთ, ჰოსპიტალიზაციაზე უარი დიდ პრობლემებს ქმნის, რაც გამოხატულებას პოულობს ავადმყოფ ბავშვთა მდგომარეობის დამძიმებაში, მოსახლეობასა და ექიმებს შორის კონფლიქტებში, საჯაროდ გამოხატულ უკმაყოფილებაში ქუჩასა თუ პრესაში. შეშფოთებულია მოსახლეობაც და სამედიცინო პერსონალიც, რადგან ბავშვთა პირველი საავადმყოფოსათვის პროგრამის შეწყვეტა არა მხოლოდ მისი მუშაობის შეფერხებას გამოიწვევს, არამედ ლიკვიდაციასაც. არ ვფიქრობ, რომ ეს არის მიზანმიმართული სხვა მავანთა და მავანთათვის ახალი მისასაკუთრებელი შენობის გამოსათავისუფლებლად, მაგრამ ეს ლამაზი შენობა მუდმივი სამიზნეა მათთვის. იმასაც ვამჩნევთ, რომ პროგრამის შეწყვეტის მორიგ სამინისტროებასთან ერთად კვლავ დაუფარავი ფუსფუსია განახლებული და საეჭვოა, საავადმყოფოს პარალიზების შემთხვევაში ვინმემ შეძლოს მათი შეჩერება.

მიჭირს დავეთანხმო შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს განმარტებას პროგრამის შეჩერების საფუძვლის შესახებ: „თანხა ბევრ დაწესებულებაზე ნაწილდება, ვერ ფინანსდება პროგრამები და სწორედ ეს აყენებს მოსახლეობას მძიმე მდგომარეობაში. ამიტომ სჯობს იმდენი საავადმყოფო დაფინანსდეს, რამდენსაც ბიუჯეტში გათვალისწინებული თანხა ეყოფა". ვფიქრობ, დედაქალაქის ბავშვთა მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება, თუ 0-3 წლის ასაკის ბავშვთა გადაუდებელი დახმარების პროგრამა ამორჩევით წარიმართება (როგორც ეს სამინისტროს აქვს გადაწყვეტილი) — მხოლოდ ქალაქის დასავლეთ ნაწილში განლაგებულ ბავშვთა საავადმყოფოში „რესპუბლიკა", რადგან ამით პაციენტებს მოესპობათ ადვილად მისადგომ სტაციონარებში გადაუდებელი სამედიცინო დახმარების მიღების შესაძლებლობა. ბავშვთა სამედიცინო მომსახურებისათვის საჭირო რესურსების ასეთი დისპროპორციული განაწილების ფონზე, სასწრაფო დახმარების სამსახურის მაქსიმალური მობილიზების პირობებშიც კი (რაც აგრეთვე ფინანსურ სიძნელეებთან არის დაკავშირებული), ვერ მოხერხდება ამ მეტად მაღალი რისკის კონტინგენტის დროული გადაუდებელი დახმარების გაწევა. ეს აშკარად ვერ შეუწყობს ხელს სახელმწიფოს უპირველეს მოვალეობად მიჩნეულ **„უსაფრთხო დედობისა და ბავშვთა გადარჩენის"** პროგრამის განხორციელებას, რომლის მთავარი გარანტი სწორედ 0-3 წლამდე ბავშვთა გადაუდებელი დახმარების უზრუნველყოფა უნდა ყოფილიყო.

ვიცით, რომ ჯანდაცვის რეფორმა თბილისის საავადმყოფოს ქსელის ოპტიმიზაციას ითვალისწინებს, რაც უთუოდ სტაციონარული საწოლების შემცირებას გულისხმობს, მაგრამ დაუშვებელია, ეს მოხდეს სამედიცინო დაწესებულებების რეგიონული თანაბარზომიერი განლაგების პრინციპის დარღვევით და ამის შედეგად განსაკუთრებულად სამიში რისკის ბავშვთა კონტინგენტის ურგენტული დახმარების გაუარესებით, ქვეყნის ისტორიული ღირებულებების უგულებელყოფით. მაინც გვჯერა, რომ ისტორიულად და რეგიონულად მნიშვნელოვანი ბავშვთა პირველი საავადმყოფო არ დარჩება პროგრამის მიღმა და დაუყოვნებლივ (რომ არ დაირღვეს დაფინანსების უწყვეტობის პრინციპი) მოხერხდება ხელშეკრულების დადება სახელმწიფო სადაზღვევო კომპანიასთან. ჩვენი საავადმყოფო მცირე მოცულობისაა და დიდ ტვირთად არ დააწვება პროგრამის ბიუჯეტს. ეს იქნება არა მარტო პატივის მიგება ისტორიისადმი, არამედ ზრუნვაც დღევანდელობასა და მომავალზე. მთავარია დღეს არ გავანადგუროთ ის ფასეულობები, რომელსაც შემდეგ ვეღარასოდეს აღვადგენთ. ბავშვთა პირველი საავადმყოფო ისევე უნდა დავუტოვოთ თბილისს და გადავცეთ მომავალს, როგორც გადავცემთ პირველი ქართული კლასიკური გიმნაზია, რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრები...

...ძნელია არ დაეთანხმო ქალბატონ დალი ლეჟავას. ისტორიამ და განგებამ ხომ ამ კლინიკას განსაკუთრებული მისია დააკისრა — ყოფილიყო საქართველოში ბავშვთა პირველი საავადმყოფო. მოსახლეობას სწორედაც რომ სასიცოცხლოდ სჭირდება დედაქალაქის ცენტრში ეს პედიატრიული კლინიკა. ამას თავად მოსახლეობა ითხოვს, რათა აღარასოდეს წაერთვათ მათ შეჭირვებულ პატარებს აქ კარის უფულოდ შეღების კანონიერი საფუძველი — სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამები. მათ თხოვნას ზუბალაშვილების შთამომავლებიც უერთდებიან.

დროთა ცვალებადობამ არ შეიძლება მისადმი დამოკიდებულება შეცვალოს, მოსახლეობისა კი არა, მათი, ვისაც მისადმი დახმარება და ყურისგდება ევალებოდა და ევალება. დავიწყებას არ უნდა მიეცეს და შესრულდეს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, მერიის, საკრებულოს დანაპირებიც, რომელიც ამ სამი წლის წინათ საავადმყოფოს იუბილეზე ითქვა. ყურადსაღებია საავადმყოფოს მაღალპროფესიული მედიკოსების მიერ განსაზღვრული კლინიკის სამომავლო გზა და გეგმები. სწორედ ამით თუ მოსცილდება ამ ლამაზ შენობას გარემონადირის თვალი და მათთვის ერთხელ და სამუდამოდ გახდება საცნაური — წარსულისათვის და იმისათვის, რაც ბავშვებს ეკუთვნის, პაი-პარად არ შეიძლება ხელის ხლება. თბილისის ბავშვთა პირველი საავადმყოფო საქართველოს ისტორიის კუთვნილებაა. იგი ბავშვების სიცოცხლის გადარჩენას ემსახურებოდა და ემსახურება. ასეთი მიზნის შესასრულებლად ის მომავალშიც უნდა დარჩეს. არ შეიძლება მოზარდ თაობას წავართვათ ქველმოქმედ ზუბალაშვილების დანატოვარი!

ნათელა ფაილოძე.

სამართალი

რა ბედი ელის ექსპერტიზას საქართველოში?

ნ. ახლა ლიცენზირების უფლების დაპატრონებას ცდილობენ — ფიქრობს გამოცდილი ადვოკატი გოგმარ გაბუნია

უდავოდ საყურადღებოა, რა აზრისანი არიან ამ საკითხებთან დაკავშირებით ადვოკატები, ვისაც ხშირად ექსპერტებთან ერთად უხდებათ რთული ბარიერების გადალახვა. საბედნიეროდ, დაგვიდგა დრო, როდესაც სამართალწარმოების ამ უმნიშვნელოვანესმა ნაწილმა თავისი სიტყვის რეალურად თქმა დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ არც ადვოკატურის შესახებ კანონი არსებობს, დღეს უკვე სახეზეა ადვოკატთა მიერ მოპოვებული თვალსაჩინო წარმატებები და სასამართლოში მიღწეული რეალური შედეგები. ამ თვალსაზრისით, და ჩვენი მოსაზრებით, საინტერესოა, რას გვეტყვის ცნობილი ადვოკატი **გოგმარ გაბუნია**, რომელიც ადვოკატობამდე პრაქტიკული ექსპერტიზის, გამოძიებისა და სასამართლოს გაელით მოვიდა, ანუ მან კარგად უწყის სამართალწარმოების ყველა ლაბირინთი.

— ბატონო გოგმარ, ამ ბოლო ხანებში იმდენი ახალი კანონი მივიღეთ, მათ დამახსოვრებას როგორ აუდიხართ, გასაკვირია. რას იტყვით, გვჭირდება თუ არა კიდევ ახალი კანონი ან შესწორებები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ექსპერტიზასთან დაკავშირებით?

— ალტერნატიული ექსპერტიზა, როგორც ასეთი, რომ საჭირო და აუცილებელია, ეს სადავო არ არის, ამიტომ ყველაფერი, რაც კანონით მოწესრიგებას მოითხოვს, უნდა მოწესრიგდეს, მაგრამ ამჟამად ეს საკითხი ითხოვს თუ არა მოწესრიგებას, გადაწყვეტით ჯერ ვერ გეტყვით.

— რატომ?

— საქმე ის არის, რომ არის საკითხები, რომელიც საპროცესო კოდექსმა ან ცალკე კანონმა უნდა მოაწესრიგოს. სწორედ ამ საკითხების გამიჯვნის შემდეგ იქნება შესაძლებელი კანონზე ლაპარაკი. ჯერ საპროცესო კოდექსმა უნდა მოაწესრიგოს ექსპერტიზასთან თავისი დამოკიდებულება.

— რამდენად შეუძლის ხელს ამ საქმეს ფინანსური პრობლემები?

— რასაკვირველია, მნიშვნელოვანია მატერიალური უზრუნველყოფა, მაგრამ კანონის მიღება-არმიღების დაყვანა მხოლოდ ამ ფაქტორზე, ალბათ, სწორი არ იქნება. უფულობის გამო ყველა საკითხი შეიძლება ჩიხში შევიდეს. მაშინ ნურაფერს გავაკეთებთ და ვიყოთ ასე — ვუცადოთ, როდის გვექნება ფული. კანონს ვერ მივიღებთ იმიტომ, რომ ფული არა გვაქვს და ფული არ გვექნება, იმიტომ, რომ არა გვაქვს კანონი?!

— მოსამართლეთა აზრით, დღეს დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ მტკიცებულებების მოპოვების პროცედურა დახვეწას მოითხოვს, თქვენი აზრითაც ასეა?

— კანონი ამ საკითხს აგვარებს. ეს არის მტკიცებულებათა შეფასების შესახებ მეცნიერება. მტკიცებულება ყოველთვის უნდა შეფასდეს მოსამართლის შინაგანი რწმენით. კვალიფიციური მოსამართლისათვის ეს პრობლემას არ წარმოადგენს.

— არის აზრი, რომ საჭიროა, მოსამართლეებს ტრენინგები ჩავუტაროთ, რათა ისინი ექსპერტიზის საკითხებში უფრო ღრმად განვსწავლოთ...

— თუ მოსამართლე თავის საქმეს პატიოსნად აკეთებს და ის კვალიფიციურია, მას არანაირი ტრენინგი არ სჭირდება. პატიოსნების ტრენინგების ჩატარება შეუძლებელია.

— თქვენი აზრით, დიდ ვნებათაღელვას გამოიწვევს ექსპერტთა ლიცენზირების საკითხიც?

— ეს ვნებათაღელვა უკვე სახეზეა. ყველას უნდა, ეს უფლება მოიპოვოს, მაგრამ ავიწყდებათ, რომ საქართველო პატარა ქვეყანაა და აქ, დიდი-დიდი, ასი-ასოცი ექსპერტი იყოს სალიცენზიო, ასე რომ, „ჩიტი ბდღვნად არა ღირს" — აქ დიდ ფულს ვერავინ გააკეთებს.

ესაუბრა
ელზა ჯმუხაძე.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" № 43, 50-51, 57.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

№ 58. კვირა, 11 მარტი, 2001 წელი.
ეროვნული ბიბლიოთეკა

საინფორმაციო მოზაიკა
BBC, CNN, საქინფორმი.

ბოროდინს გირაოთი გამოშვებაზე უარი ეთქვა

შეერთებულ შტატებში დაპატიმრებულ რუსეთ-ბელორუსიის კავშირის სახელმწიფო მდივანს პაველ ბოროდინს უარი უთხრეს გირაოთი გამოშვებაზე. მოსამართლის თქმით, რომელმაც მისი საჩივარი განიხილა, ძალზე დიდია რისკი, რომ განთავისუფლების შემდეგ ბოროდინმა გაქცევით უშველოს თავს, რათა გადაურჩეს შვეიცარიისათვის გადაცემას, რომლის ხელისუფალნი ბრალად სდებენ დიდძალი თანხების გატაცებას, მექრთამეობას და ფულის წმენდას. ბოროდინის გადაცემის საკითხს სასამართლო აპრილის დამდეგს განიხილავს. ამერიკის ოფიციალური პირნი ხაზს უსვამენ, რომ მათ არა აქვთ არავითარი პრეტენზია ბოროდინის მიმართ და იგი მხოლოდ შვეიცარიის თხოვნით დააკავეს.

კორუფცია საფრთხეს უქმნის ქვეყნის არსებობას

პეკინის უმაღლესმა იურიდიულმა ხელისუფლებმა განაცხადეს, რომ საჭიროა დაუნდობელი ბრძოლა კორუფციისა და ორგანიზებული დამნაშავეობის წინააღმდეგ, რომელიც საფრთხეს უქადის ქვეყნის სტაბილურობას. მათ აღნიშნეს, რომ უკვე დაპატიმრებულია ასამდე კაცი ფუძიანის პროვინციაში თაღლითობის საქმის გამო, რომლის საერთო თანხა 6 მილიარდ დოლარს შეადგენს. პარასკევს ლი პენმა, ჩინეთში მეორე კაცმა, მიმართა რა სახალხო წარმომადგენელთა კრების სესიას, განაცხადა: თუ კორუფცია არ შევაჩერეთ, თვით ქვეყნის არსებობას საფრთხე შეექმნებაო.

ჯაშუში კი არა, მოღალატე ყოფილა

აშშ სამხედრო სასამართლომ რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობის ბრალდება მოუხსნა სამხედრო მეზღვაურს დანიელ კინგს, რომელიც მშიფრავად მუშაობდა. მას ევალებოდა უცხოური კოდების გაშიფვრა, და 1999 წელს დააპატიმრეს მას შემდეგ, რაც ვერ გაუძლო სიცრუის დეტექტორზე გამოცდას. ოფიციალური პირები ამბობენ, რომ ბრალდების მოხსნის მიუხედავად, იგი მაინც მოღალატედ მიაჩნიათ. სამხედრო ხელისუფლებმა განაცხადეს, რომ კინგის გასამართლებას შეიძლება მოჰყვეს ამერიკის სამხედრო საიდუმლოებათა გამჟღავნება.

„თურქულის" ახალი ტალღა

ბრიტანეთში დადასტურდა „თურქულის" 20 ახალი შემთხვევა, რომელიც წვრილჩლიქოსან პირუტყვს ასნებოვნებს. ამრიგად, დაავადების კერების რიცხვმა 127-ს მიაღწია. ბრიტანეთის მთავარმა ვეტერინარმა განაცხადა, რომ მოსალოდნელია სიტუაციის შემდგომი გამწვავება და აუცილებელია, მკაცრად დაიცვან პირუტყვის გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვები.



კომენდანტის საათი კაცებისათვის

გუშინ ბოგოტაში ექსპერიმენტის სახით შემოიღეს თავისებური კომენდანტის საათი 5-მილიონიანი მამაკაცთა მოსახლეობისათვის. კოლუმბიის დედაქალაქის მერმა ანთანას მოკასმა ძლიერი სქესის წარმომადგენლებს მოუწოდა, ქუჩაში არ გამოჩნდნენ ერთი საღამოს განმავლობაში, რათა შეამცირონ ძალადობის შემთხვევების რიცხვი და მისცენ ქალებს შესაძლებლობა, მშვიდობიანად დატკბნენ ცხოვრებით. კულტურულ და თავშესაქცევ ღონისძიებებზე — კონცერტებზე, კინოსეანსებზე, აგრეთვე, რესტორნებსა და მაღაზიებში ამ საღამოს მამაკაცებს არ შეუშვებენ. ქუჩებში იმორიგევებს ათას ხუთასი პოლიციელი ქალი. ბოგოტის მერს უყვარს ასეთი ინიციატივები — მის აქტივშია საავტომობილო მოძრაობის აკრძალვის დღეები და დედაქალაქის ქუჩებში ჯამბაზებისა და მსახიობების გამოყვანა იმათდამი ყურადღების მისაპყრობად, ვინც არღვევს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ყოფაქცევის წესებს.

ბალკანეთის კვანძი იკვრება

ალბანეთის პარლამენტმა დაგმო მაკედონიის მოქმედება ალბანელ მოთარეშეთა წინააღმდეგ. მაკედონიის გადაწყვეტილებას — დახუროს თავისი საზღვარი კოსოვოსთან, და მის მოწოდებას — შექმნან ბუფერული ზონა საერთაშორისო ძალების კონტროლით, — ტირანამ ერთხმად მიღებული საპარლამენტო რეზოლუციით „უგუნური" უწოდა.

ალბანელი კანონმდებლები აცხადებენ, რომ მაკედონიის მთავრობა აღვივებს საფრთხეს, ვინაიდან ცალკეული ინციდენტები შეიძლება, საერთო-ბალკანურ კრიზისად გადაიქცეს. დეპუტატებს მიაჩნიათ, რომ ბუფერული ზონა დაარღვევს ეთნიკური ალბანელების მომოსვლის თავისუფლებას.

ალბანეთის პარლამენტის წევრებმა, ასევე, დაგმეს მაკედონიის შეიარაღებულ ძალებსა და პარტიზანებს შორის მომხდარი შეტაკებანი და ხაზი გაუსვეს, რომ ისინი მაკედონიაში სტაბილურობას უჭერენ მხარს.

აქამდე კი მაკედონიაში გრძელდებოდა საბრძოლო მოქმედება. იგი დაიწყო ხუთშაბათ საღამოს, მას შემდეგ, რაც ნატომ იუგოსლავიის სამხედროებს ნება დართო, შესულიყვნენ კოსოვოსა და სამხრეთ სერბეთს შორის მდებარე ბუფერულ ზონაში.

მაკედონიის პოლიციის დასახმარებლად, რომელსაც თავს დაესხნენ ალბანელი სეპარატისტები, სკოპიედან გაიგზავნა ქვეგანაყოფები.

გარდა ამისა, მაკედონიამ პარასკევს გამოაცხადა, რომ კვლავ ხურავს კოსოვოსთან საზღვარს უშიშროების მოსაზრებებით. ხელისუფლებმა, აგრეთვე, ნატოს მიმართეს თხოვნით, დაეხმაროს მდგომარეობის სტაბილიზაციისა და „ალბანელი ექსტრემისტებისაგან" ტერიტორიის დაცვისათვის. ნატომ უპასუხა, რომ ამ თხოვნას განიხილავენ.

ხუთშაბათ საღამოს მაკედონიის პოლიციის ერთ-ერთი ჯიპი, რომელიც თან ახლდა ჰუმანიტარული ორგანიზაციების მუშაკთა და ოფიციალურ პირთა ჯგუფს, მაკედონიის სოფელ ბრესტის მახლობლად დადებულ ნაღმზე აფეთქდა. აფეთქებისთანავე, კოლონას თავს დაესხნენ ალბანელი მეამბოხენი.

სროლამ, რომელშიც ალბანელებმა ნაღმსატყორცნები გამოიყენეს, მთელ ღამეს გასტანა და არც მეორე დილას შეწყდარა.

სოფელი ბრესტი სულ ოთხ კილომეტრზეა მაკედონიის დაბა ტანუშევცისაგან, სადაც ხუთშაბათს ჩაიდგა 300 ამერიკელი ჯარისკაცი KFOR კონტინგენტიდან. ტანუშევცი სეპარატისტთა ძირითადი ბაზა იყო. იმავდროულად ნატომ ბუფერულ ზონაში შესვლით „მწვანე შუქი" მისცა იუგოსლავ სამხედროებს.

„ჩვენ ვიღებთ ნატოს წინადადებას, მაგრამ უნდა გავაფრთხილოთ, რომ იუგოსლავიის ჯარები დაუშვებს ბუფერული ზონის მხოლოდ ერთ — ყველაზე საშიშ უბანზე. ასე რომ, ნატოს გადაწყვეტილება შეიძლება მივიჩნიოთ იმის მორიგ დასტურად, რომ KFOR კონტინგენტი თავს ვერ ართმევს შექმნილ სიტუაციას", — განაცხადა იუგოსლავიის პრეზიდენტმა ვოისლავ კოშტუნიცამ.

თვით ალბანელი მეამბოხენი აცხადებენ, რომ იუგოსლავიის ჯარებისათვის ბუფერული ზონის გახსნას სისხლისღვრის ესკალაცია მოჰყვება.

ბუში და მორი 19 მარტს შეხვდებიან

აშშ პრეზიდენტი ჯორჯ ბუში 19 მარტს შეხვდება ვაშინგტონში იაპონიის პრემიერ-მინისტრს იოსირო მორის. თეთრი სახლის პრესმდივნის არი ფლაიშერის ცნობით, ისინი განიხილავენ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო პრობლემებს, მათ შორის აზია-წყნაროკეანის რეგიონში უშიშროების საკითხებს, აგრეთვე, ორი ქვეყნის სამოკავშირეო ურთიერთობის განმტკიცების გზებს.

იაპონიის პრემიერის მომავალი ვიზიტი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს იმ ხმების ფონზე, რომ იოსირო მორი, შესაძლოა, გადადგეს, თუმცა ამ ხმებს აქარწყლებს თვით პრემიერი. ვაშინგტონის შეხვედრის შეთანხმებას საერთაშორისო მეთვალყურენი მიიჩნევენ იმის დასტურად, რომ მორი მართლაც არ აპირებს თავისი პოსტის დატოვებას.

მინისტრის ვიზიტისადმი გაცხოველებული ყურადღების კიდევ ერთი მიზეზია ჰავაის კუნძულების მიდამოებში ამ ცოტა ხნის წინათ მომხდარი ინციდენტი, რომლის დროსაც „გრინვილ" ამერიკულმა წყალქვეშა ნავმა გადარნა იაპონიის ტრალერი. აშშ ადმინისტრაციის ოფიციალური ბოდიშის მიუხედავად, ამ ტრაგიკულმა ამბავმა დიდი აღშფოთება გამოიწვია იაპონიაში და ჩრდილი მიაყენა ორი ქვეყნის ურთიერთობას.

14 წლის მკვლელს — სამუდამო პატიმრობა

ამერიკის ფლორიდის შტატის სასამართლომ 14 წლის ლაიონელ ტეიტს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა 6 წლის გოგონას ტიფანი იუნიკის მოკვლისათვის.

ტეიტი გახდა ყველაზე ახალგაზრდა განსასჯელი, რომლისთვისაც ოდესმე გამოუტანიათ ასეთი მკაცრი მსჯავრი შეერთებულ შტატებში. იგი გაასამართლეს როგორც მოზრდილი, და პროცესმა მთელ ამერიკაში ცხარე კამათი გამოიწვია.

ტეიტის დამცველი ამტკიცებდა, რომ განსასჯელი თავის მსხვერპლს უჩვენებდა ორთაბრძოლის ხერხებს და ბაძავდა პროფესიონალ სპორტსმენებს, რომელსაც ტელევიზორით უყურა. მაგრამ მოსამართლემ გადაწყვიტა, რომ ტეიტმა გამოიჩინა გულგრილობა და სისასტიკე, და განაცხადა, რომ მას არ შეეფარდება ვადამდელი განთავისუფლება.

მკვლელობა მოხდა 1999 წლის 28 ივლისს, როდესაც ტეიტი 12 წლისა იყო. იმ დღეს დედამისი ტიფანისთან დატოვეს გადიად. ქალმა გადაწყვიტა, ცოტა ხნით წაეძინა მას შემდეგ, რაც გოგონა და შვილი ავახშმა. რამდენიმე ხნის შემდეგ ტეიტმა დედა გააღვიძა და უთხრა; გოგონა აღარ სუნთქავსო. გავიდა კიდევ რამდენიმე დღე და ტეიტმა პოლიციელებს განუცხადა, რომ შემთხვევით დაარტყმევინა თავი ტიფანის მაგიდაზე, როდესაც ისინი ჭიდაობდნენ. მაგრამ გოგონასათვის მიყენებული ჭრილობების ხასიათმა თვით ლაიონელ ტეიტის დამცველებიც კი დაარწმუნა, რომ ეს უბრალოდ, საბედისწერო შემთხვევა არ ყოფილა.

დისკავერის შეპირაპირებამ წარმატებით ჩაიარა

მეორე ხანგრძლივმოქმედი ექსპედიცია, რუსი კოსმონავტის იური უსაჩოვის მეთაურობით, შაბათს მივიდა საერთაშორისო კოსმოსურ სადგურში.

მრავალგზისი კოსმოსური ხომალდის დისკავერისა და საერთაშორისო კოსმოსური სადგურის შეპირაპირება თბილისის დროით 9,39-ზე მოეწყო. თავდაპირველად ნავარაუდევი იყო, რომ შეპირაპირება ერთი საათით ადრე დაიწყებოდა, მაგრამ გადაიდო სადგურში წამოჭრილ უწესივრობათა გამო. 9 საათზე სადგურის ეკიპაჟმა შეაკეთა ერთ-ერთი მზის ბატარეა, რომელიც ხელს უშლიდა ოპერაციას, და შეუდგა შეპირაპირების განხორციელებას.

რვა დღის განმავლობაში პირველი ხანგრძლივმოქმედი ექსპედიციის ეკიპაჟი უილიამ შეპარდი, იური გიძენკო და სერგი კრიკალიოვი, — რომლებიც ორბიტაზე 2000 წლის 2 ნოემბრიდან მუშაობენ, თავიანთ ვახტს გადასცემენ იური უსაჩოვს, ჯეიმს ვოსს და სიუზენ ჰელმს.

მეორე ექსპედიციის დროს დისკავერის ეკიპაჟი ორჯერ გავა ღია კოსმოსში — 11 და 13 მარტს.

18-ში დასრულდება ხანგრძლივი ექსპედიციების ეკიპაჟების გამოცვლა, შეპარდი, გიძენკო და კრიკალიოვი გადავლენ დისკავერზე, რომელიც 20 მარტს თბილისის დროით 10.10-ზე უნდა დაჯდეს კანავერალის კოსმოდრომზე.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით უძღვებიან
არჩილ მანჯგალაძე, კახა ქორიძე.

ციხხალი ამბები

„ლიონთან" გამანადგურებელი (0:3) მარცხის შემდეგ „ბავარიის" ფეხბურთელებს საჯაროდ კრიტიკის ქარ-ცეცხლი დაატეხა კლუბის პრეზიდენტმა ფრანც ბეკენბაუერმა. მისი თქმით, ისეთი თამაში, როგორიც

გუნდმა აჩვენა, შეიძლება გამოდგეს ვეტერანებთან შეხვედრაში, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ჩემპიონთა ლიგის მატჩში. თითოეული რგოლის მოქმედება რაღაც საშინელებას ჰგავდა. ასეთი თამაშით ჩვენ მომავალში არაფრის იმედი არ უნდა გვქონდეს, — ბობოქრობდა ფეხბურთის ვეტერანი.

ბეკენბაუერის მიმართ საპასუხო კრიტიკით გუნდის კაპიტანი შტეფან ეფენბერგი გამოვიდა. მისი თქმით, გუნდის პრეზიდენტმა მეტისმეტად გადააჭარბა, რადგან ამდენი წარმატებების შემდეგ, ამ მარცხის გამო, მას ფეხბურთელები ასე საჯაროდ არ უნდა გაეკრიტიკებინა.

შვედეთის ქალაქ არეში მიმდინარე შეჯიბრებაში სამთო სათხილამურო სპორტში, გიგანტური სლალომის მორიგი ეტაპი მოიგო



28 წლის ჰერმან მაიერმა (1 წუთი და 15 წამი) და მსოფლიო თასს დაეუფლა. ეს ავსტრიელი სპორტსმენის კარიერაში მეოთხე დიდი წარმატებაა. იგი თავისი ტიტულებით ლეგენდარულ ინგმარ სტენმარკს გაუთანაბრდა.

ფეხბურთი

ლიდერებს სარმა დაუდეს

ფეხბურთელთა XII ეროვნული ჩემპიონატის XX ტურში აღსანიშნავი ფაქტი მოხდა: ხანგრძლივი პაუზის შემდეგ კვლავ ერთმანეთის მხარდამხარ ირჯებოდნენ ახლო წარსულში საქართველოს ეროვნული ნაკრების დაცვის ბურჯები კახი ცხადაძე და მურთაზ შელია. რაღა გასაკვირია, რომ ასეთი დუეტით გაძლიერებულმა გათამაშების ერთპიროვნულმა ლიდერმა თბილისის „ლოკომოტივმა" სტუმრად გოლი არაფერში დაუთმო ღირსეულ მეტოქეს — ფოთის „კოლხეთს" და მნიშვნელოვანი ქულა მოიპოვა — 0:0.

მისი უახლოესი მდევარი, ქვეყნის ჩემპიონი ქუთაისის „ტორპედო" რუსთავში კარგახანს აგებდა შეხვედრას „გორდასთან", თუმცა ბოლო წუთებზე მაინც მოახერხა ანგარიშის გათანაბრება — 1:1.

დიდი ბრძოლა გაჩაღდა თბილისურ დერბიში „მერანი" — „დინამო", რომელსაც „სინათლის" სტადიონმა უმასპინძლა. შესვენებამდე ახალი მთავარი მწვრთნელის გოჩა ტყებუჩავას დამოძღვრილი „დინამოს" ახალგაზრდული შემადგენლობა, სადაც ჭაბუკები — სვანაძე და მანწკავაც დაბრძენებული ვეტერანებივით გამოიყურებიან, აკადემიურ სტილში უმკლავდებოდა ავჭალელებს. მეტიც — გუნდის ბომბარდირმა ზირაქიშვილმა დიდებულად გამოიყენა სახვაძისა და ზამთარაძის ზუსტი გადაცემები — 2:0.

საუკეთესო ექვსეულში დასამკვიდრებლად შეუპოვრად მებრძოლმა ოთარ გაბელიას შეგირდებმა მხოლოდ II ტაიმში მიაგნეს საკუთარ თამაშს და გოდერძიშვილის „დუბლით" იხსნეს მატჩი — 2:2, კიდევ ორ ეპიზოდში კი მინაშვილმა და ბაჯელიძემ ბათიაშვილის (მან ტრავმირებული გრიმიკაშვილი შეცვალა) კარის ძელს მოახვედრეს ბურთი. დავძენთ, რომ რამდენიმე საეჭვო გადაწყვეტილებით „გამორჩეულმა" მსაჯმა კრიჭაშვილმა 70-ე წუთზე მინდვრიდან გააძევა დინამოელი მიქაძე, მასპინძლებმა კი ტრავმირებული ფოცხვერიასა და მუხინის გარეშე იასპარეზეს.

„შევარდენის" სტადიონზე გამართული „იბერია" — „სიონის" უფერული ბურთაობის ბედი ბოლნისელთა სასარგებლოდ დავითაშვილისა და გაბისონიას გოლებმა გადაწყვიტა — 2:0, დანარჩენი გუშინდელი შეხვედრები კი ასე დასრულდა: „დილა" — „ბათუმი" 0:4, „ვიტ-ჯორჯია" — თსუ 2:0.

„ლოკომოტივი" — 50, „ტორპედო" — 43 (19 თამაშიდან), „დინამო" — 42, „ვიტ-ჯორჯია" — 36, „კოლხეთი" — 30, „მერანი" — 28 (19 თამაშიდან), „ბათუმი" — 25, „სიონი" — 22, თსუ „გორდა" — 18-18, „დილა" — 15, „იბერია" — 3 ქულა.

* * *

გაუწყებთ უეფას თასის გათამაშების პირველი მეოთხედფინალური შეხვედრების შედეგებს:

„ბარსელონა" — „სელტა" 2:1,

„კაიზერსლაუტერნი" — „ეინდჰოვენი" 1:0,

„ალავესი" — „რაიო ვალეკანო" 3:0,

„პორტუ" — „ლივერპული" 0:0.

საპასუხო რაუნდი 15 მარტს გაიმართება.

კალათბურთი

ფავორიტებმა იმარჯვეს

გუშინ ვერის ბაღში მდებარე ბავშვთა კალათბურთის სასახლეში გაიმართა საქართველოს კალათბურთელ ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის მორიგი ტურის ოთხი მატჩი.

„ქუთაისი" — სსუ 69:68

საინტერესო გამოდგა უმაღლეს ლიგაში დარჩენისათვის მებრძოლი „ქუთაისის" და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდების შეხვედრა. ორივე ტაიმის განმავლობაში მოვლენები ელვის სისწრაფით იცვლებოდა. თავიდან სათამაშო უპირატესობას სოხუმელები ფლობდნენ, მერე ინიციატივა ხელთ იგდეს რიონისპირელებმა და პირველი ტაიმი 6 ქულის სხვაობით მოიგეს 38:32.

შესვენების შემდეგ ქუთაისელთა უპირატესობა 12 ქულამდეც გაიზარდა, მაგრამ სოხუმელებმა — სორდიამ და ფენდერავამ ქუთაისელებს მთელი,ნაჯაფი წყალში ჩაუყარეს ზედიზედ ჩაგდებული სამქულიანების წყალობით. საფინალო სასტვენამდე ორი წამით ადრე ანგარიში თანაბარი იყო — 68:68. ქუთაისელთა ბოლო იერიშისას სოხუმელები დაჯარიმდნენ. შანიძეს მხოლოდ ერთი ტყორცნა გამოუვიდა ზუსტი, მაგრამ გამარჯვებისთვის ესეც საკმარისი აღმოჩნდა. რიონისპირელებმა გათამაშების ცხრილში მეტად საჭირო ორი ქულა ჩაიწერეს.

„დინამო" — ბპკ 82:73.

ლაძაბულად წარიმართა თბილისის „დინამოს" და ბათუმის პედაგოგიური კოლეჯის კალათბურთელთა შეხვედრა. გამარჯვებული აქაც ბოლო წუთებში გაირკვა. „დინამომ" ეს ორთაბრძოლა ცხრაქულიანი უპირატესობით მოიგო.

„აზოტი" — სტუ „ჯეოსელი" 93:78.

სამწუხაროდ, მატჩი თავიდანვე დუნედ წარიმართა, თუმცა ერთგვარ უპირატესობას ქვეყნის ვიცე-ჩემპიონები ფლობდნენ. სტუდენტებს შეხვედრის მეორე ნახევარშიც არ უცდიათ მდგომარეობის გამოსწორება. გაიმარჯვა „აზოტმა" 93:78.

„შევარდენი" — „მაქაბი" 78:86.

ყველას ეგონა, რომ „მაქაბი" იოლად დაჯაბნიდა „შევარდენს", მაგრამ ამ უკანასკნელმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწია მეტოქეს. პირველი ნახევრის შემდეგ ძნელი სათქმელი იყო, რომელი გუნდი მოიპოვებდა გამარჯვებას, რადგან „მაქაბი" მხოლოდ ორი ქულით იგებდა მატჩს.

მეორე ტაიმში „შევარდენმა" მას შემდეგ დაყარა ფარ-ხმალი, რაც 5-5 პერსონალური შენიშვნის გამო მოედანი დატოვეს ჩხეიძემ და ნოზაძემ. გაიმარჯვა „მაქაბიმ" 86:78.

კობა ხატისაშვილი, ნინო პატაშური.

მხატვრული ტანვარჯიში

კვალიფიკაციას იმაღლებენ

ვიქტორია ვახტანგაძე რამდენიმე წლის წინათ თავად იყო მოქმედი სპორტსმენი — საქართველოს პირველობებზე ეცილებოდა მეტოქეებს კვარცხლბეკზე ასასვლელად. 9 წლისა ეზიარა ნინო თევზაძესთან მხატვრული ტანვარჯიშის საიდუმლოს, მერე ნელი სალაძესთან ვარჯიშობდა. ახლა კი თავად არის ახალგაზრდების დამრიგებელი, თუმცა, რომ შეხედავ, შეგირდებისგან ვერც გამოარჩევ — უწინდებურად მოხდენილი და მოქნილია.

ვიკას მოსწავლეებიდან განსაკუთრებით აღნიშნის ღირსია ანა ალექსიშვილი, ერთ-ერთი პერსპექტიული მხატვრული ტანმოვარჯიშე. შარშან მან ქვეყნის ჩემპიონატზე მრავალჭიდში მე-2 ადგილი დაიკავა ინგა თავდიშვილის შემდეგ, რაც, უდავოდ, დიდი წარმატებაა. წლეულს ოქტომბერში ვენა მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა მსოფლიო ჩემპიონატს მასპინძლობს. გაუთვალისწინებელი რამ თუ არ მოხდა, ალექსიშვილსაც მოუწევს ავსტრიის დედაქალაქში ასპარეზობა.

საქართველოდან, როგორც ვიქტორია ვახტანგაძემ მითხრა, სამ სპორტსმენს აქვს უფლება, გამოვიდეს მსოფლიო ჩემპიონატზე. მართალია, ნიჭიერი ტანმოვარჯიშეებიც გვყავს, მაგრამ მსოფლიო ვარსკვლავებთან გასაჯიბრებლად მათ ჯერჯერობით არც ძალა ეყოფათ და არც გამოცდილება. არის ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაც: ამ ასპარეზობაზე საკუთარი მაღალკვალიფიციური არბიტრი თუ არ გვყოლა, შესაძლებელია შენი სპორტსმენი დაჩაგრონ. ამიტომ ქართველი მწვრთნელები, რომლებიც ამავე დროს მსაჯის მოვალეობასაც ასრულებენ, ცდილობენ კვალიფიკაცია აიმაღლონ. უკვე გაუწყეთ, რომ საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ელისო ბედოშვილმა და ბელა კობალაძემ უკვე გაიარეს სათანადო კურსები და, შესაბამისად, „ბრევე-4" და „ბრევე-3" კატეგორიის მისაღები ლიცენზიები აქვთ. ამ ცოტა ხნის წინათ ანალოგიური სემინარები ტარტუში (ესტონეთი) ვიქტორია ვახტანგაძემაც გაიარა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 70 წარმომადგენელთან ერთად. წარმატებით ჩააბარა გამოცდებიც, რომელსაც მხატვრული ტანვარჯიშის ცნობილი სპეციალისტი, სპორტის ამ სახეობის საერთაშორისო ფედერაციის ტექნიკური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი ირინა ვინერი ხელმძღვანელობდა. ახლა მთავარია, ვიკამ ორი საერთაშორისო ტურნირი იმსაჯოს და საერთაშორისო კატეგორიის არბიტრის წოდებასაც („ბრევე-4") მიანიჭებენ. იმედია, თბილისის მერიის ტურიზმისა და სპორტის სამსახურის და მასთან არსებული ტანვარჯიშულ სახეობათა სპეციალიზებული სკოლის ხელმძღვანელები, რომელთა დახმარებითაც გაემგზავრა ვახტანგაძე ესტონეთში, ახალგაზრდა მწვრთნელსა და არბიტრს მომავალშიც აღმოუჩენენ თანადგომას.

ვაჟა დანელია.

ათლეტიზმი

ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად

„გოლიათი" — ტალანტთა კლუბი

V ნაწილი

დღეს ჩვენი სტუმარია ათლეტურ კლუბ „გოლიათის" (მწვრთნელები უჩა ქორიძე და ივანე ამონაშვილი) წარმომადგენელი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის I კურსის სტუდენტი ოთარ ბერიანიძე. დაიბადა 1982 წელს, არის საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და თასის მფლობელი სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში.

ამჯერად იგი ასრულებს მკერდისა და მხრის კუნთების ვარჯიშს.

1. **პანტელების აჭიმვა მკერდიდან** (სურ. 1). აჭიმვა სრულდება დახრილი სკამიდან. ვარჯიშს ეთმობა 6 მისვლა 10-10 გამეორებით.

2. **პულ-ოვერი პანტელით** (სურ. 2). ათლეტს მაქსიმალურად გადააქვს პანტელი თავსუკან, შემდეგ აფიქსირებს გამართულ ხელებზე მკერდის წინ. სრულდება 4-6 მისვლა 10-12 გამეორებით.

3. **განმკლავი ტრენაჟორზე** (სურ. 3, 4).

ათლეტი ორივე ხელით ეწევა ტრენაჟორის სახელურებს ერთმანეთთან შეხებამდე. რეკომენდებულია 4 მისვლა 12-12 გამეორებით.

ზურაბ ჟავჟანიძე.
ნაზი გოგიშვილის ფოტო.

ყოველი მხრიდან

ჩილავერტს ციხე ემუქრება

ხულიგნობისათვის სამთვიანი პატიმრობა ემუქრება პარაგვაის ნაკრების მეკარეს ხოსე ლუის ჩილავერტს. თუმცა როდის მოიხდის ამ სასჯელს — საკითხავია. ის ახლა ევროპაში, საფრანგეთის „სტრასბურგში" თამაშობს.

თუ არგენტინის მთავრობა მოითხოვს, მაშინ ფეხბურთელი კანონს დაემორჩილება — მან ხომ ქვეყნის ჩემპიონატის ერთ-ერთ მატჩში მეტოქის მოთამაშეს სცემა.

შტეფი გრაფიც „გააცურეს"

სახელგანთქმული ჩოგბურთელი ქალი შტეფი გრაფი იმათ რიცხვში მოხვდა, ვინც ამერიკელმა აფერისტებმა „გააცურეს", და მისი 600 ათასი დოლარიც იმ 50 მილიონს მიუმატეს, რაც მათ ხალხის მოტყუებით ჩაიჯიბეს.

უსინდისო საქმოსნებს ლეგენდარულმა სპორტსმენმა თავისი ფული ფასიანი ქაღალდების ოპერაციებისათვის ანდო.

სპორტის რედაქცია

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 58. კვირა, 11 მარტი, 2001 წელი.

ტექსტი და მკითხველი

ენა თუ მაღლობს, ერიც მაღლდება

„ლიტერატურულმა საქართველომ“ შარშან გამოაქვეყნა დალი ფანჯიკიძის „ვარიაციები ქართული მასმედიის თემაზე“, აკაკი ხინთიბიძის „რა ენა წახდეს“ და ლალი ავალიანის „რა ქართული ესმის ჩემთა ყურთა“. სამივე ეს წერილი ქართული ენის დაცვასა და მის მოვლა-პატრონობას ეხება. ავტორები ჭირისუფლური გულშემატკივრობით გვესაუბრებიან, მშობლიური ენა თუ როგორ ხშირად იბლალება და მახინჯდება პრესასა თუ სატელევიზიო გადმოცემებში. აკ. ხინთიბიძე პირდაპირ აცხადებს: „ჩვენი ენა თანდათან კნინდება, ძველ ეშხსა და ლაზათს კარგავს, კანცელარიული ხდება, ძირითადად მხოლოდ საკომუნიკაციო ფუნქციით იფარგლება“. („ლიტერატურული საქართველო“, 11.VIII.2000).

ხსენებული ავტორების შეშფოთება სატელევიზიო გადმოცემებისა და პრესის მიმართ მართებული და დროულია. ამ თემაზე შეიძლება კიდევ უფრო მძაფრი და უკომპრომისო წერილები დაიწეროს, თუმცა აკ. ხინთიბიძის ზოგად დასკვნას ჩვენ ვერ გავიზიარებთ. პატივცემულ ავტორს შევახსენებთ, რომ „ხალხის მიერ იმანენტურად შექმნილ ფაქტურას ენისას აყალიბებს და მიმართულებას აძლევს მწერალი (კონსტანტინე გამსახურდია, „რჩეული თხზულებანი“, ტ. VI, 1963, გვ. 584). დიახ, მწერალია სალიტერატურო ენის შემოქმედი, ქომაგი და ჭირისუფალი. ასე იყო ყოველთვის, ასეა ახლაც.

მიუხედავად დუხჭირი პირობებისა, ჩვენი გამოჩენილი მწერლები ახერხებენ, შექმნან და გამოაქვეყნონ ორიგინალური ქმნილებანი, აგრეთვე, თარგმანები, რომელთა მეშვეობითაც ქართული ენის განვითარების დიდ ტრადიციებს აგრძელებენ და აღრმავებენ. მაგალითად, ჩვენ დიდად გაგვახარა რაბლეს „გარგანტუა და პანტაგრუელის“ გურამ გოგიაშვილისეულმა თარგმანმა, რომლის ორი ნაწილი ადრე ცალკე წიგნად გამოქვეყნდა, ახლახან კი მე-5 წიგნიც დაისტამბა („საუნჯე“, №2, 2000).

რაბლეს ხსენებულ რომანს ფრანგები მშობლიური ენის მცირე ენციკლოპედიას უწოდებენ. მასში ოსტატურადაა შეხამებული წარჩინებულთა დარბაისლური მეტყველება მდაბიო ხალხის ფრაზეოლოგიასთან, ფოლკლორულ მასალაზე დაყრდნობით, წარმოჩენილია წარსულის შთამბეჭდავი სურათები, წეს-ჩვეულებანი, იუმორითა და გონებამახვილობით შეფერადებული ყოველდღიური ცხოვრების ნიუანსები. განსაკუთრებით აღსანიშნავია რომანის ლექსიკური სიმდიდრე და მრავალფეროვნება.

გ. გოგიაშვილი რაბლესთან „შესაჭიდებლად“ დიდხანს ემზადებოდა. იგი სამოცდაათიან წლებში გაზეთ „კომუნისტის“ მთავარი რედაქტორის მოადგილედ მუშაობდა. მისი ინიციატივითა და მთავარი რედაქტორის დავით მჭედლიშვილის მხარდაჭერით, გაზეთმა სახალხო ლაშქრობა მოაწყო დევიზით: „შევკრიბოთ ჩვენი კუთხის სიტყვები“. ცნობილმა მეცნიერებმა: არნოლდ ჩიქობავამ, ვარლამ თოფურიამ, ივანე ქავთარაძემ და სხვებმა გამოაქვეყნეს წერილ-მოწოდებანი, კუთხური სიტყვები თუ როგორ უნდა შეკრებილიყო. პასუხად გაზეთის რედაქციას მრავალი წლის განმავლობაში მისდიოდა დიდძალი მასალა, რომლის საუკეთესო ნიმუშები სისტემატურად ქვეყნდებოდა.

გიორგი მატბერაშვილის წამხედურობით, რომელმაც „თეალადური ქართულის ჭაშნიკი“ გამოსცა, ჩვენ შევკრიბეთ და შევადგინეთ „მერჯეულური ქართულის ჭაშნიკი“ და ხსენებული გაზეთის რედაქციას გადავეცით. ეს მასალა გამოიყენეს. ახლა რაბლეს რომანის ქართულ თარგმანს რომ ვეცნობოდი, ჩემი შეკრებილი რამდენიმე სიტყვა ამოვიკითხე, რამაც ისე გამახარა, თითქოს ძველ ნაცნობებს შევხვედროდე.

როგორც აღვნიშნეთ, რაბლეს რომანს მხატვრულად ამაღლებს და შინაარსობრივად ამდიდრებს ეროვნული ფოლკლორული მოტივებისა და წეს-ჩვეულებანის ოსტატური გამოყენება. მათი ქართული შესატყვისობანი რომ მოენახა, გურამმა ქართული ფოლკლორი სპეციალურად შეისწავლა. იგი გამოქვეყნებულ წიგნებს და ჟურნალ-გაზეთებს არ დასჯერდა, გაეცნო ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორულ არქივს, სადაც მილიონზე მეტი ტექსტი ინახება.

რაბლეს რომანის ქართულ თარგმანზე შეიძლება სადისერტაციო ნაშრომი დაიწეროს, ჩვენ მხოლოდ ზოგიერთი დაკვირვებით შემოვიფარგლებით.

უპირველესად, უნდა შევეხოთ სტილის საკითხს. სტილის სფეროში ერთფეროვნება სალიტერატურო ენას აღარიბებს, ნაირგვარობა კი – ამდიდრებს. თარგმანში ბუნებრივად წარმოგვიდგება მაღალფარდოვან და დინჯ, დარბაისლურ სტილთა მონაცვლეობა. პირველის მაგალითი: „რა მთილო და წაიკითხა უსტარი ესე, პანტაგრუელსა ცა გაეხსნა, აწ კიდევ უფრორე ვისწავლით, ამოიჭრა გულისა ფიცარზედ, და, თუ რომ მოიხილავდით, ვითარ რუდუნებდა და წარემატებოდა, უცილოდ იტყოდით, რაჲა წიგნთა შთანმთქმელი ტვინი მისი და რაჲა ხმელსა მანანასა წაკიდებული ცეცხლიო, რამეთუ ისე რიგად დაუშრომელი და მოცადი იყო იგი“.

ახლა მეორე ამონარიდს მოვუსმინოთ: „ყოველნი თანასწორნი შვილნი ერთ ბუნებისა და მხოლოდ ბედისგან გვჭირს, ზოგისა ბამბა რომ ჩხრიალებს და ზოგისა კაკალიცა არა. თუმცა სათნოება მუდამ აბუებულია, სათნოიანი ხალხი კი ათვალწუნებული, რადგან კაცი ოდენ მაშინღა ხდება კაცური, ოდეს განუტევებს უკანასკნელსა სულსა“.

საჭიროების შემთხვევაში მთარგმნელი იყენებს ხალხური ზღაპრის ინტონაციასაც: „ბევრი იფრინა, თუ ცოტა იფრინა, დედა მტრედსა ორი საათიც არ დასჭირვებია, რომ უზარმაზარი სივრცე გადაეკვეთა“.

ყოველი ენის სიმდიდრე და სიუხვე სინონიმებია. მიხეილ ჯავახიშვილი ერთგან წერს: „არსად ესოდენ არ მოჩანს ენის სიმდიდრე და მოქნილობა, როგორც სწორედ სინონიმებში“.

რაბლეს რომანი სინონიმების სიუხვით გამოირჩევა, თუმცა გოგიაშვილისეული თარგმანი ამ მხრივ, მგონი, კიდეც აჭარბებს.

„ექიმი, რომელსაცა გამოხედვა პირქუში, კუშტი, უხამსი, კატონური, ცივი, უკმეხი, უკმაყოფილო, გაჯავრებული, მოღუშული აქვს, გულსა სტკენს სნეულსა, ხოლო ექიმი, რომელსაცა გამომეტყველება მხიარული, მშვიდი, ალერსიანი, გულღია, მომღიმარი აქვს, სნეულსა გულს უხარებს“, წერია ერთგან, მეორეგან ვკითხულობთ: „გენუელთ ნუ ჰყურებთ, რომელნიცა პირდაპირ დილიდანვე სიავიანთ სენაკთა და ანგარანთა შინა ყველაფერსა წინასწარ განიხილავენ, განსჯიან, აწონ-დაწონიან, იმ დღესა რა უნდა იმამაძაღლონ, ვინ უნდა გააბრიყვონ, გააცურონ, გააპამპულონ და მოაღორონ“.

ზემოქმედება რომ გაამძაფროს, მთარგმნელი სინონიმებში ზოგჯერ ანდაზას ჩაურთავს ხოლმე: „ცოლი მომიკვდა, ბატონო, ქვეყნისა უმჯობესი, თანამწოლი, თანამეცხედრე, ულლისა გამწევი. არცა დიდი ცომი უნდოდა, არცა ასი ლიტრა საფანელი“. აქ უეჭველად გაგვახსენდება ანდაზა: „ცოლსა დიდი ცომი უნდა, ასი ლიტრა საფანელიო“. რაკი სიტყვა ანდაზაზე ჩამოვარდა, გვინდა ფოლკლორის ამ მცირე ჟანრზეც შევჩერდეთ. მთარგმნელი ანდაზას შემოქმედებითად იყენებს, ტექსტში ისე ბუნებრივად ჩართავს ხოლმე, სათქმელი შინაარსობრივად მდიდრდება და ახალ ემოციურ დატვირთვასაც იძენს. „კაცს თავს აჭრიდნენ და გაიძახოდა, შუბლზე მუწუკი მაქვს, არ მატკინოთო...“ პანტაგრუელი ამ ანდაზას ასე ცვლის: „ასეა თუ ისე, კაცსა ჯერეთ თავი უნდა მოაჭრა და მერმე მუწუკი არ ატკინო, ვინაიდან ვისაცა ნიფხავი უკულმა აცვია, არცა ჭკუასა იხმარს წაღმა“.

გარგანტუა თავის შვილს ბარათს უგზავნის, სადაც, სხვათა შორის, ვკითხულობთ: „ვინაიდან რისამე დასაწყისი ნახევარი საქმეა, ხოლო ცნობილი ანდაზისა მიხედვით, რასაცა დავთესავთ, იმასა მოვიმკით, მეცა ავდექი და, რათა შავი აზრნი ჩამომეშორებინა, იფრინდად მალიკორნი გამოგიგზავნე“.

გვხვდება ხალხური წყევლის ფორმულებიც. ერთი მაგალითი: „ყოველთა უწმინდურთა კერძიმცა გაემხდარიყავი სულიან-ხორციანადა და ფაშვიან-ფუშიანადა ან არადა ტყვია ჩამესხას გულში, თუ ერთი რამ ნატყუარი წარვთქვი“.

ცალკე უნდა გამოვყოთ იდიომატური და ფრთიანი გამოთქმები, რომანში ძვირფასი თვლებივით რომაა გაბნეული. გარგანტუას ცოლი პანტაგრუელის შობადობას გადაჰყვება. გარგანტუა მყისვე განაცხადებს: „ლოგინი უნდა განვიახლო. აკი თქმულა კიდეცა, ვაიმეო და სხვაიმეო“. მასპინძელი პანტაგრუელს სთხოვს ჯერ ნუ წახვალო. ის უპასუხებს: „ზურგის ქარი ქრის, უნდა გამოვიყენოთ, თორემ ჩადგება და მერე დაადექი და უყარე კაკალი“. ფრიად აღშფოთებულმა ვიიონმა დასძინა, აი, ნახავთ, ღმერთმა რა უყოს მაგ კუდედსაო, სულ მოკლე ხანში ბერაში თუ არ გატაროსო“.

მთარგმნელი სიტყვის ბუნებრივი მიმოქცევის ოსტატია, ეხერხება სიტყვების იმგვარი გათამაშება, რომელიც ზოგჯერ გარკვეულ მხატვრულ ხერხად აღიქმება. მოვიტანთ რამდენიმე ამონარიდს. პანტაგრუელი საფრანგეთის რეგიონებში მოგზაურობს. ერთ მივარდნილ სოფელში უჩვეულო ამბის მოწმე გახდა: ჭაბუკები ადამიანს ცოცხლად წვავდნენ. პანტაგრუელმა სასოწარკვეთით შესძახა: „ამისთანა სიკვდილი ღმერთმა მაშოროს, ისედაც ბუნებითა ფიცხი ვარ, რაღა კოცონზედა გაფიცხება მინდაო!“

„ჩხუბსა და კრტიმალობასა არასოდესა ერიდებიან ოდენ ვიგინდარა სოფისტნი, სორბონელ-სურბუნელნი, სორბონელ-ჯორბენელნი, სორბონელ-ღორბონელნი, სორბონელ-ქორბონელნი, სორბონელ-მძორბონელნი, სორბონ-მოსავნი, სორბონრქოსანნი, სორბონქოსანნი, გამოსორბონელებულნი“.

„უქარმა, უმტმან და უმტისა უმტმა ემმაკმა დალახვროს ეს ემმაკეული რქამბული, ესა!“

როგორც ცნობილია, ენის სიმდიდრე და მრავალფეროვნება მისი ლექსიკური შემადგენლობით განისაზღვრება. ჩვენ იშვიათად წაგვეკითხავს ლექსიკით ისეთი უხვი და მდიდარი თარგმანი, გოგიაშვილმა რომ წარმოგვიდგინა. ამის დამადასტურებლად შეგვიძლია დავასახელოთ მხოლოდ ერთი თავი: „რას სწირავენ და უზორავენ გასტროლატნი თავიანთ ყოვლადშემძლე ღმერთსა“. აქ დასახელებულია საჭმლისა და სასმელის ხუთასამდე სახეობა, რომლის ნახევარიც არაა აღნუსხული ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში. საილუსტრაციოდ მინდა მცირე ამონარიდი გავაცნოთ: „არამც და არამც არ იკლებდნენ არანაირ სასმელ-დასალევსა. დიდრონ-დიდრონ ვერცხლისა ჯამფილა-ორთომელთ პირთამდე ავსებდნენ, აპირთავებდნენ, ალიცლიცებდნენ, აპაპინებდნენ და აპილთუმებდნენ, მერმეთ ზედ აყოლებდნენ: ღორისა სუკსა ბარდიანსა, ცრუტსა, ანუ მჟავიანთა ნამზად ჭარხალსა, ოფიტონსა, ანუ ლორსა, კახაჯსა, ბიეკთ, ბაჭია კოტორთ, ქედანთ და ვეიძინთ, ტურპანგარიელთ, ქოჩორა ოყართ, ყურყუმელათ... ახლა თევზეულთ მოვუსმინოთ: ანჩოუსთ, დამარილებულ თინუსთ, ნიჟარიან ხამანწკათ, სკაროსთ, კარედთ, პალტუსთ, კოლაკთ, ცქიმურა თევზთ, ეკლურათ“...

მთარგმნელი ზრდადაუსრულებელ კაკაბს კაკაბუნას უწოდებს, ხოხობს ხოხობუნას, ფარშავანგს ფარშავანგუნას... ასეთი დაყოფა ჩვენ საინტერესოდ მიგვაჩნია.

სანამ საუბარს გავაგრძელებდეთ, გვინდა არნოლდ ჩიქობავას ერთ მოსაზრებას შევეხოთ. იგი წერს: „სალიტერატურო ენა ვერ ამოწურავს სიტყვათა მარაგს. მრავალია ისეთი სიტყვა, რომელიც არ დასჭირვებია მწერალს და ამიტომ არ ჩანს წიგნის მეტყველებაში, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში იხმარს და სიტყვა ლიტერატურის ფაქტი გახდება“.

ვფიქრობთ, რაბლეს რომანის თარგმანში ნახმარი ზოგიერთი დიალექტური სიტყვა სალიტერატურო ქართულში დამკვიდრდება. ასეთებია: მიხტალი-ჩხუბი, მაჯაგი-მძლავრი, მოღონიერებული, მიმტკუნება-ცემა, რტყმევა, გადაპარჭიკება-მოკვდინება, პარჭიკისა ჩოხა ჩაიცვა-მოკვდა, გასისინდა-ძალიან გაძღა, გამოიბუსკნა-გამოძღა, ბაჯაჯგუნა-დაბალი, ბაჩა, დაუსისტიკინა-შეუტია, შეებრძოლა...

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში „გულიდან“ წარმოქმნილი 260 სიტყვაა, გულკოიტი კი არ გვხვდება. არადა, კარგი სიტყვა კია. მერჯევში „გულკოიტს“ ეძახიან ავ, უჟმურ, უკარება ადამიანს.

მთარგმნელი ახალი სიტყვების შექმნასაც ცდილობს: „დაბერძაღლებული“, „დახელფეხებული“ (მოკურცხლა დახელფეხებულმა).

თარგმანის შეფასებისას ხშირად პარალელები მოაქვთ ხოლმე, დედანი თუ რამდენად ზუსტადაა გადმოცემული. ჩვენ ეს საჭიროდ არ ჩავთვალეთ, რადგან თარგმანი მდიდარია ენობრივად და თანაც ისე ბუნებრივად იკითხება, შეიძლება იფიქრო, ავტორმა რომანი ქართულად დაწერაო.

დასასრულ, გვინდა შესავალში დასახელებული წერილები გავიხსენოთ. მათი ავტორების პესიმიზმი ჩვენ უსაფუძვლოდ მიგვაჩნია. ავის მზრახველთა და არაკეთილ მოსურნეთა მიერ ათვალწუნებული ქართული მწერლობა კვლავაც მძლავრობს და მოქმედებს. ამიტომ მშობლიურ ენას გადაგვარება და დაკნინება არ ემუქრება. თუმცა დამშვიდების საბაბიც არა გვაქვს. ვალდებული ვართ, პრესაში თუ სატელევიზიო გადმოცემებში დედაენისადმი ყოველი უსულგულო და აგდებული დამოკიდებულება ვამხილოთ, მზის სინათლეზე გამოვიტანოთ.

ნოდარ შამანაძე.
„ლიტერატურული საქართველო“
9-15 მარტი, 2001 წელი.

პრესა

„ოზურგეთის გაზეთი“ – XX საუკუნის მატიანე

მარშანდელი წელი, XX საუკუნე და ათასწლეული ოზურგეთელებმა საზეიმოდ გააცილეს. ამ ეპოქალურ მოვლენასთან დაკავშირებით არაერთი შთამბეჭდავი ღონისძიება გაიმართა, რომელთა მიზანი იყო, ადამიანებს ცხადად შეეგრძნოთ ჟამის სიდიადე, დროის მარადიული მდინარება. ამ თვალსაზრისით, ძალზე საყურადღებო გამოდგა 48-გვერდიანი „ოზურგეთის გაზეთის“ გამოცემა. ამ საკმაოდ სოლიდური მოცულობის სპეციალურმა გამოშვებამ მართალია ამომწურავად ვერ მოიცვა გურიის მთავარი ქალაქის საკმაოდ მრავალფეროვანი და მრავალმხრივი ისტორია, მაგრამ ამ გამოცემით ფრიად საშური საქმე გაკეთდა – მკითხველმა საუკუნის სამახსოვრო მიიღო საკმაოდ საინტერესო გაზეთი.

„ოზურგეთის გაზეთის“ იდეის ავტორი და გამომცემელია საქართველოს პარლამენტის წევრი ილია თავბერიძე, იგი საგაზეთო წინათქმაში წერს: „ამ ქვეყნად არაფერი არ იკარგება. არც ჩვენ გვინდა დაიკარგოს და ისტორიის მტვერი წაეყაროს მას, რაც ასე ფასეულია. ამიტომ გაჩნდა იდეა – გარკვეულად შეგვეჯამებინა XX საუკუნის ცხოვრება ოზურგეთში, რომელიც ქვეყნის ცხოვრების ანაბეჭდია, მაგრამ თან ახლავს თავისი მკაფიოდ გამოხატული ინდივიდუალიზმი, მოვლენათა დინამიზმი და, რაც მთავარია, გურულებისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები. ცოტა ძნელია, პრეტენზია გამოაცხადო და საუკუნის მატიანე გამოსცე, თუნდაც ერთი რაიონის, ქალაქის ცხოვრებისა. მასალები უამრავია, მაგრამ მოსაძიებელი, დასაზუსტებელი. ეს საკმაოდ რთული საქმეა, ვერ მოერევი. არც გვიფიქრია. ჩვენც თავისებური ფორმა შევარჩიეთ – მუზეუმებსა და არქივებში მოპოვებული მასალების გარდა, შევეცადეთ ჟურნალისტის თვალით დანახული მოვლენები, ადამიანები და მათი საქმეები შეგვეკრიბა. ორმოცდარვა გვერდზე განაწილებული სათქმელი სწორედ ეპოქის სულით ცოცხლობს. წერილი, პუბლიკაცია თუ არა, გაზეთის გვერდებს გაყოლილ ქრონიკებში არ დარჩენილა არც ერთი მნიშვნელოვანი მომენტი, ფაქტი, რომელიც ჩვენთვის ცნობილი გახდა და იგი არ აგვესახა.

გაზეთში საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს ქრონიკას – წლების მიხედვით აღნუსხულია XX საუკუნის მანძილზე ოზურგეთში მომხდარი საყურადღებო ამბები; ინტერესით იკითხება შედარებით შორეული ისტორიები – გურული ფირალები, გურული ცხენოსნები ოკეანის გაღმა, გრიგოლ გურიელის სიქველენი, პირველი გურული მეწარმის სოლომონ ჭეიშვილის მოღვაწეობა, როკვისა და გალობის გურული ოსტატები, ექვთიმე თაყაიშვილის, ატატო მებურიშვილის და სხვათა ცხოვრების სურათები, ასევე ჩვენი თანამედროვეების – აკაკი ბაქრაძის, ანზორ ერქომაიშვილის, იოსებ კეჭაყმაძის, მიშა შავიშვილის, გიორგი სალუქვაძის მოღვაწეობის ამსახველი მასალები. გაზეთის ფურცლებზე ადგილი ფართოდ აქვს დათმობილი იმ ოზურგეთელებს, რომლებიც წარმატებით მოღვაწეობენ პოლიტიკის, ბიზნესის, კულტურისა და სხვა სფეროებში.

ამ დღეებში ოზურგეთის მუზეუმთა გაერთიანების სხდომათა დარბაზში გაიმართა „ოზურგეთის გაზეთის“ საკმაოდ წარმომადგენლობითი პრეზენტაცია, რომელსაც ესწრებოდნენ გაზეთში გამოქვეყნებულ პუბლიკაციათა ავტორები, გაზეთის დამფინანსებლები და გამომცემლები. აქ იყვნენ სახელისუფლებო სტრუქტურების, ოზურგეთის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. პრეზენტაციაზე მრავალი თბილი სიტყვა ითქვა ახალი გამოცემის თაობაზე. გამოითქვა სურვილი, რომ „ოზურგეთის გაზეთი“ არ დარჩეს ერთჯერად გამოცემად, რადგან ბუნებრივია, გაჩნდა მოთხოვნილება სრულად აისახოს ოზურგეთის ისტორიის ღირსსახსოვარი მოვლენები და შეიქმნას რაიონის საინტერესო მატიანე.

თამაზ ხარაიშვილი,
„სრ“ საკ. კორ.

სკოლა

მოსწავლეთა რიცხვი მცირდება

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, შენობათა 90 პროცენტზე მეტი, რომლებშიც ქვეყნის სახელმწიფო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებია განთავსებული, კაპიტალურ შეკეთებას საჭიროებს. სკოლების შენობათა თითქმის 25 პროცენტი კი ავარიულია. ქვეყნის განათლების სამინისტროს არა აქვს სახსრები შექმნილი ვითარების გამოსასწორებლად.

საგულისხმოა, რომ 2000-2001 სასწავლო წელს სახელმწიფო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ათი ათასით ნაკლები მოსწავლეა რეგისტრირებული, ვიდრე შარშან.

საქინფორმი.

მსოფლიო ბანკის საქართველოს ჯანდაცვის პროექტის საკოორდინაციო ბიურო

აცხადებს კონკურსს ტექნიკური დახმარებისა და სწავლების სფეროში შესყიდვების კოორდინატორის თანაშემწის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად. შესყიდვების კოორდინატორის თანაშემწე იმამავებს საკოორდინაციო ბიუროს შესყიდვების ჯგუფში მის ორ წევრთან ერთად. მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით განხორციელებული საქართველოს ჯანდაცვის პროგრამა მოიცავს მიმდინარე საქართველოს ჯანდაცვის პროექტს, საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის პროგრამას და პირველად ჯანდაცვაზე ორიენტირებულ ჯანდაცვის მეორე პროექტის მოსამზადებელ ეტაპს. ამ პროგრამის მიზნების მისაღწევად შესყიდვების კოორდინატორის თანაშემწეს მოუწევს მჭიდრო თანამშრომლობა საკოორდინაციო ბიუროს, ჯანდაცვის სამინისტროსა და მსოფლიო ბანკის პერსონალთან.

შესყიდვების კოორდინატორის თანაშემწის ძირითადი უფლება-მოვალეობანი იქნება:
❖ მუშაობა შესყიდვების ჯგუფის წევრებთან ერთად შესყიდვების პროგრამის მიზნების დროულად და ეფექტურად მიღწევის უზრუნველსაყოფად.
❖ ტექნიკური დახმარების სამუშაოთა დაგეგმვაში, შერჩევასა და მონიტორინგში აქტიური მონაწილეობა, რომელშიც შედის:
➢ სამუშაოთა აღწერილობების შემუშავება,
➢ კონსულტანტთა სამუშაოებისათვის დავალებათა აღწერილობის განხილვა,
➢ კონსულტანტთა შერჩევის მსოფლიო ბანკის მიერ დადგენილი პროცედურების დაცვა,
➢ კონსულტანტთა ხელშეკრულებათა მომზადება და მათთან საკონტრაქტო მოლაპარაკება,
➢ კერძო კონსულტანტთათვის დახმარების გაწევა (მგზავრობის, სამუშაო პირობების, შეხვედრების ორგანიზება და სხვ.),
➢ საკონსულტაციო სამუშაოთა განხორციელების ზედამხედველობა მათი მიზნების შესრულებისა და წარმოდგენილი ცალკეული რეკომენდაციებისა თუ საკითხების ოფიციალურ პირთა მიერ გათვალისწინების უზრუნველსაყოფად.
❖ სასწავლო პროგრამების კოორდინირება, რომელშიც შედის:
➢ ყოველი საქმიანობის პროგრამების მიზნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;
➢ მონაწილეთა საჭირო კვალიფიკაციის უზრუნველყოფა;
➢ სასწავლო პროგრამების, სემინარებისა და კონფერენციების შესახებ ინფორმაციის მიღება და გავრცელება;
➢ სასწავლო პროგრამების, სემინარებისა და კონფერენციების ჩატარების შემდეგ მონაწილეთაგან ანგარიშების მიღების უზრუნველყოფა.
❖ აუცილებელი საკონსულტაციო და დამტკიცების პროცედურების (საკოორდინაციო ბიუროს ხელმძღვანელობის, ჯანდაცვის სამინისტროს და მსოფლიო ბანკის ჩათვლით) თანმიმდევრობის უზრუნველყოფა.
❖ ოფიციალური ურთერთობების მიზნებისათვის ქართულ-ინგლისური და ინგლისურ-ქართული თარგმნის უზრუნველყოფა.
❖ ბანკთან ურთიერთობის უზრუნველსაყოფად საჭირო დოკუმენტაციის თარგმნა და ბანკში გაგზავნა.

კვალიფიციურ კანდიდატს მოეთხოვება საუნივერსიტეტო განათლება, გამოცდილება რთული სამუშაოების დაგეგმვასა და განხორციელებაში, კოლექტიური გამოცდილება, **Microsoft Office**-ში მუშაობის უნარი, **Microsoft Word**-ის, **Ecxell**-ისა და **Project**-ის კარგი ცოდნა, ინგლისური თარგმნის (კვალიფიციური თარჯიმნობის) უზრუნველყოფა. სასურველია საერთაშორისო ორგანიზაციებში მუშაობის გამოცდილება, შესყიდვებსა და ხელშეკრულებათა სფეროებში მუშაობის გამოცდილება, და/ან საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში გათვითცნობიერებულობა.

მსურველებმა წარმოადგინეთ განცხადება, ავტობიოგრაფია და მოსაზრებები დასმული ამოცანების შესრულებასთან დაკავშირებით (**Covering letter**) ქართულ და ინგლისურ ენებზე შემდეგ მისამართზე, არაუგვიანეს 2001 წლის 26 მარტისა.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; მსოფლიო ბანკის საქართველოს ჯანდაცვის პროექტის საკოორდინაციო ბიურო.

თბილისი, გამსახურდიას გამზირი, 30, მე-5 სართული, ოთახი 500, ტელ.: (995 32) 33-19-34, 33-18-39, 29-44-07.
ფაქსი: (995 32) 29-44-07.

მსოფლიო ბანკის საქართველოს ჯანდაცვის პროექტის საკოორდინაციო ბიურო

აცხადებს კონკურსს შესყიდვების კოორდინატორის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად. შესყიდვების კოორდინატორი იმაშავებს საკოორდინაციო ბიუროს შესყიდვების ჯგუფში მის ორ წევრთან ერთად. მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით, განხორციელებული საქართველოს ჯანდაცვის პროგრამა მოიცავს მიმდინარე საქართველოს ჯანდაცვის პროექტს, საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის პროექტს და პირველად ჯანდაცვაზე ორიენტირებულ ჯანდაცვის მეორე პროექტის მოსამზადებელ ეტაპს. ამ პროგრამის მიზნების მისაღწევად შესყიდვების კოორდინატორს მოუწევს მჭიდრო თანამშრომლობა საკოორდინაციო ბიუროს, ჯანდაცვის სამინისტროსა და მსოფლიო ბანკის პერსონალთან.

შესყიდვების კოორდინატორის ძირითადი უფლება-მოვალეობანი იქნება:
❖ პროექტის საკოორდინაციო ბიუროს შესყიდვის ფუნქციების მართვა საკრედიტო შეთანხმებისა და ბანკის მიერ დადგენილი პროცედურების დაცვით, რომელშიც შედის:
✓ პროექტის დირექტორის ხელმძღვანელობით სამუშაოების, საქონლის და მომსახურების ჩამონათვალის და განრიგის მომზადება.
✓ პროექტის შესყიდვის დაგეგმვა.
✓ შესყიდვის დოკუმენტაციის მომზადება.
❖ პროექტით გათვალისწინებული აღჭურვილობის, ავეჯის, მასალების, სამშენებლო სამუშაოებისა და ტექნიკური დახმარების კლასიფიკაციის, შეძენის, მოწოდების, მიღების, კონტროლისა და შეფასების მართვა, რომელშიც შედის:
✓ სამუშაოების და საქონლის საერთაშორისო შესყიდვის მთლიან პროცესში მონაწილეობის მიღება.
✓ ტექნიკური დახმარების შესყიდვის მთლიან პროცესში მონაწილეობის მიღება.
✓ ხელმოწერის შემდეგ კონტრაქტების ადმინისტრირება.
✓ სამშენებლო სამუშაოების შესყიდვისათვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადება.
✓ პროექტებით გათვალისწინებულ განვითარებასა და სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვაში მონაწილეობის მიღება.
✓ შემოტანილი საქონლის მიღებისას საბაჟოს ოფისში ბიუროს სახელით წარდგენა.
✓ აღჭურვილობისა და საქონლის ინსპექციისა და მიღებისათვის დანიშნული ტექნიკური პერსონალის დახმარება.
✓ შესყიდვების მონიტორინგისათვის საჭირო დოკუმენტაციის სისტემატიზაცია და შენახვა.
✓ მთავრობისათვის, მსოფლიო ბანკისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის წარსადგენი პერიოდული განხილვების და ანგარიშების მომზადება.
❖ აუცილებელი საკონსულტაციო და დამტკიცების პროცედურების (საკოორდინაციო ბიუროს ხელმძღვანელობის, ჯანდაცვის სამინისტროსა და მსოფლიო ბანკის ჩათვლით) თანმიმდევრობის უზრუნველყოფა.
❖ ოფიციალური ურთიერთობების წარმართვისათვის ქართულ-ინგლისური და ინგლისურ-ქართული თარგმანის უზრუნველყოფა.
❖ ბანკთან ურთიერთობის უზრუნველსაყოფად საჭირო დოკუმენტაციის ინგლისურ ენაზე მომზადება და ბანკში გაგზავნა.

კვალიფიციურ კანდიდატს მოეთხოვება ტექნიკურ სფეროში საუნივერსიტეტო განათლება, გამოცდილება (ეროვნული/საერთაშორისო) შესყიდვების მომცველ კონკურსის, კონტრაქტირებისა და საქონლის იმპორტირების სფეროში. **Microsoft Office**-ში მუშაობის უნარი, **Microsoft Word**-ის, **Ecxell**-ისა და **Project**-ის კარგი ცოდნა, ინგლისური თარგმნის (თარჯიმნობის) უზრუნველყოფა. სასურველია საერთაშორისო ორგანიზაციებში მუშაობის გამოცდილება, და/ან საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში გათვითცნობიერებულობა.

მსურველებმა წარმოადგინეთ განცხადება, ავტობიოგრაფია და მოსაზრებები დასმული ამოცანების შესრულებასთან დაკავშირებით (**Covering letter**) ქართულ და ინგლისურ ენებზე შემდეგ მისამართზე, არაუგვიანეს 2001 წლის 26 მარტისა.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; მსოფლიო ბანკის საქართველოს ჯანდაცვის პროექტის საკოორდინაციო ბიურო.

თბილისი, გამსახურდიას გამზირი, 30, მე-5 სართული, ოთახი 500, ტელ.: (995 32) 33-19-34, 33-18-39, 29-44-07.
ფაქსი: (995 32) 29-44-07.

№ 58. კვირა, 11 მარტი, 2001 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორშაბათი 12 მარტი

08.00 ალიონი 09.30 ტელესერიალი „ძილის წინ“ 09.50, 20.50 სერიალი „ქამელეონი“ 10.25 ფორტუნა 11.05 სერიალი „სენ-ტროპე“ 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 მრავალსახეობა 13.00 ნაშუადღევს 14.05 პირველად იყო სიტყვა 14.40 მოსკოვი-თბილისი 15.15 მხ.ფ. „როცა უკანასკნელად ვნახე პარიზი“ 17.05 კალათბურთი. „მაქაბი“ (თბილისი) - სთუ 17.50 რამპა 18.00 ვესტნიკი 18.15 სერიალი „სენ-ტროპე“ 19.05, 01.55 ვიდეოპატრული-02 19.15 მაესტრო 19.25 ჯანმრთელობა 19.40 ბასტი-ბუბუ 21.40 XX საუკუნე 22.05 ჩვენი ფეხბურთი 22.40 ტელესერიალი „ძილის წინ“ 23.50 კომუნიკატორი 00.25 მხ.ფილმი „ვალენტინის დღე“

19.00 ინფორმაცია 19.30 იყო და არა 20.00 სერიალი „ფსიქოპატორი“ 20.30 სარკმელი ზეცაში - „ცხოვრება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა“ 21.00 მოკლ. მხ.ფილმი 21.30 დასაწყისი 21.55 კინოს ისტორიები 22.00 ინფორმაცია 22.15 სუპერ-მატჩი 22.45 ჰიტ-პარადი 22.55 მხ.ფ. „შიშველი მახა“

07.00 მუსიკა. 07.30 ტექს ავერი, ფიფქია 08.00 კურიერი. დარდუბალა 08.55 სერიალი „ბლანკოს ქვრივი“ 09.50 ჩემპიონთა ლიგის კვირის მიმოხილვა 10.40 სერიალი „ფეხბურთელი სიმბა“ 11.10 სერიალი „სამანტა“ 12.00, 15.00 კურიერი 12.15 მულტსერიალი 13.30 მხ. ფილმი 18.00, 21.00, 23.00, 02.25 კურიერი 18.20 „ფეხბურთელი სიმბა“ 18.50 სერიალი „ჰერაკლე“ 20.05 სერიალი „სამანტა“ 21.50 ტელევიქტორინა „ვის უნდა ოცი ათასი“ 00.05 მხ.ფ. „უკანასკნელი ჯვაროსნული ლაშქრობა“. რეჟ. სტივენ სპილბერგი. მთ. როლებში ჰარისონ ფორდი, შონ კონერი. 02.35 კლასიკა

იბერია

მიმდინარეობს არხის რეორგანიზაცია 08.00, 20.00 ანონსები, მუსიკა 08.05, 20.05 მულტფილმი 08.30, 20.30 ალსავალი 08.35, 10.35, 12.30, 20.35, 22.15, 00.20 მუსიკა 08.40 მხ.ფ. "ფულის ფერი" 10.40 მხ.ფ. "პირადი მცველი ქალიშვილისათვის" 20.40 მხ.ფ. „მართლმსაჯულების აღსრულება“ 22.20 მხ.ფ. „ონეგინი“

ევრიკა

10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 „ვესტი“ 10.15 მხ.ფ. „მთიელი“ 11.30 მუსიკალური კოლაჟი 12.15 ვარსკვლავები გვამცნობენ 13.45, 15.20 ძველი კინო კლასიკა მხ. ფილმი 18.30 ზღაპრის ტელედარბაზი 19.00 ექსტრაორდინალური 20.00 მსოფლიო სპორტი 21.30 ტალანტები და თაყვანისმცემლები 22.30, 00.15 მხ.ფ. „კარგები და ცუდები“

10.00 „ბისი“. მხ.ფ. „დიდი ლებოვსკი“ 11.40, 17.35, 19.15, 20.00, 21.45, 23.35 კლიპ-მიქსი 14.00 კონცერტი 16.00 მულტფილმები 17.50 „სწ.მედია“ მხ.ფ. „ბუნდი“ 19.30 მორწმუნის ძლევამოსილი ხმა 20.15 პროგრამა „ა“ მხ.ფ. „უკუნეთის მბრძანებელი“ მთ. როლებში ჯეფ ფეიხი, კეროლ ალტი 22.00 „ბრავო“ მხ.ფ. „ზრდასრული ცხოვრება“ მთ. როლში ტიმ როტი 23.50 „ღამურა“ მხ.ფ. „სხვა ადამიანი“ მთ. როლში ჯონ ლიტგოუ 01.40 ნონ-სტოპი

09.00, 11.55, 13.05, 21.55 მუსიკა 09.15 მულტფილმი „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“ 09.55 მხ.ფ. „ლეგენდა ბეგარ ვენისზე“ 12.15 ინტელექტკლუბი „რა? სად? როდის?“ 13.20 მხ.ფ. „მეზავერი“ 15.00, 18.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღის ამბები“ 15.20, 18.45 შემეცნებითი პროგრამა „დისქავერი“ 16.00 მხ.ფ. „ლამაზმანი“ მთ. როლებში: ჯულია რობერტსი, რიჩარდ გირი 18.15 მულტფილმი „ფიფქია“ 20.25, 23.55 ხუთი წუთი ეკონომიკა 21.00 დოკ. ფილმი „ჩერჩილების ოჯახი“ 22.15 მხ.ფ. „უკანასკნელი დონი“ მთ. როლში დენი აიელი 23.00 ტელემილიონი 00.15 მხ. ფილმი „მკვლელი“ მთ. როლში ბრიჯიტ ფონდა.

19.00, 01.00 „დღეს“ 19.30 სპორტული პროგრამა „მსოფლიოს სტადიონებზე“ 20.00 მხ.ფილმი „გალელელი ასტერიქსი“ 21.10 დოკ. ფილმი 22.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ 22.40 მხ.ფ. „მეცეკვე“ 00.30 მუსპროგრამა 01.30 მხ.ფ. „ბუნდი“

სამშაბათი 13 მარტი

08.00 ალიონი 09.30 ტელესერიალი „ძილის წინ“ 09.50, 17.50 უთუოდ 09.50, 20.50 სერიალი „ქამელეონი“ 10.25 ჩვენი ფეხბურთი 11.00 სერიალი „სენ-ტროპე“ 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 გლობუსი 12.45 ჯანმრთელობა 13.00 ნაშუადღევს 14.05 სპა 14.25 მაესტრო 15.10 მხ.ფ. „იქაშაქაშე ჰოლივუდი, იქაშაქაშე“ 16.30 მესაკუთრე 16.45 ინტერმეცო 17.05 50-50 18.00 ვესტნიკი 18.15 სერიალი „სენ-ტროპე“ 19.05, 02.50 ვიდეოპატრული-02 19.15 მაესტრო 19.25 ოვერტაიმი 19.40 ბასტი-ბუბუ 21.40 დრო და ადამიანები. ი. გუტენბერგი 21.55 ჩვენი ენა ქართული 22.00 „100 გრადუსი“ 22.40 ტელესერიალი „ძილის წინ“ 23.50 „ჯეოპოპი“ 00.30 მხ.ფილმი „ანა კარენინა“

19.00 ინფორმაცია 19.30 იყო და არა იყო რა 19.50 „მელორე და პრინცესა“ (ტელეზღაპარი) 20.00 სერიალი „ფსიქოპატორი“ 20.30 სტუდია „რე“ 21.30 დუ-შაში 22.00 ინფორმაცია 22.15 წარსულის ტერიტორია 22.45 ჰიტ-პარადი 22.55 კინომონატრება 23.05 მხ.ფ. „ჯადოქარი“

07.00 მუსიკა 07.30 ტექს ავერი, ფიფქია 08.00, 12.00, 15.00 კურიერი 08.55 სერიალი „ბლანკოს ქვრივი“ 09.50 ტელევიქტორინა „ვის უნდა ოცი ათასი“ 10.40 სერიალი „ფეხბურთელი სიმბა“ 11.10 სერიალი „სამანტა“ 12.15 მულტსერიალი 13.30 მხ. ფილმი 18.00, 21.00, 23.00, 02.30 კურიერი 18.20 სერიალი „ფეხბურთელი სიმბა“ 18.50 სერიალი „გურმანთა მეგზური“ 19.15 „პერეკრესტოკი“ 19.50 სერიალი „სამანტა“ 21.50 სერიალი „სამნი“. 23.40 ჩემპიონთა ლიგა. „მილანი“ - „დეპორტივო“ 01.40 სიმფსონები 02.00 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 02.40 კლასიკა

იბერია

